პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით:

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 12—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 24. ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან — 30 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებებზე გარდა განცხადების ფასისა იღების 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- ინგლისში გაფიცულია 6.000 მემაღაროე.
- გოტოს ლექცია საბჭოთა კავშირის შესახებ.
- გარდაიცვალა ინგლისის ლიბერალების ბელადი-ასკვიტი.
- სროლა პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე.
- საბჭოთა ნავთი გერმანიაში.
- უმუშევართა დემონსტრაცია ფილადელფიაში.
- ამხ. ლუკაშინი დაინიშნა შრომის და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ აღმშენებლობის კომისიის თავმჯდომარედ.
- წყალდიდობა დონის-როსტოვში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათი, 16 თებერვალი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 39 (2082)

საქართველოს კომკავშირის მე-9 ყრილობა

საქართვ. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ ა|წ.
27 თებერვალს რუსთველის თეატრის დარბაზში გაიხსნება
სრულიად საქართველოს
ა. ლ. კ. კ. კავშირის მე-9 ყრილობა

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1. პოლიტიკური მოხსენება—ამხ. მ. კახიანი
2. ცენტრალურ კომიტეტის საანგარიშო მოხსენება—მ. გობეჩია
3. ბავშთა შორის მუშაობა—**მარიამ ორახელაშვილი** და **ქ. ბუჯიაშვილი**
4. კომკავშირის მუშაობა სოფლად—**გ. ჯაპახიძე**
5. ხელმძღვანელ ორგანოების და ა|კ. და საკ. კომკავშირის ყრილობის დელეგატების არჩევნები

საქ. ა.ლ.კ.კ. ცეკას კ|მ მდივანი: **მ. გობეჩია**

საკავშირო ლენინურ კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით

ამიერ-კავკასიის კომკავშირის მორიგი მეხუთე ყრილობა

დანიშნულია

1928 წ., 8 აპრილისათვის ქ. ბაქოში

დღის წესრიგი:

1. პოლიტიკური მოხსენება—მომხსენებელი ამხ. **მ. ორახელაშვილი**
2. ს. ლ. კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ანგარიში—მომხსენებ. ამხ. **რახმანოვი**
3. კომკავშირის ამოცანების შესახებ ეკონომიურ-საგანმანათლებლო მუშაობის სფეროში—მომხსენ. ამხ. **ეგოროვი**
4. ბავშთა შორის მუშაობის შესახებ—მომხსენებ. ამხ. **ზუბელინი** და **ფროლოვი**
5. ს. ლ. კომკავშირის ა. კ. საოლქო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა: კომკავშირის 400 ნამდვილ წევრისგან ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმით. სათათბირო ხმის მქონე დელეგატების ნორმის შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული.

ს. ლ. კომკავშირის საოლქო
კომიტეტის მდივანი **რახმანოვი**

სოფლად მუშაობა

დაიხურა საქ. კომპარტიის ა. კ. საოლქო კომიტეტთან შემდგარი თათბირი სოფლად მუშაობის შესახებ. თათბირმა განიხილა სოფლად ჩვენს წინაშე მდგომარი ამოცანები და მათ გადასაჭრელად კონკრეტიული ღონისძიებანი გამოიმუშავა.

ძირითადი ამოცანა, რომელიც მე-15-ე პარტყრილობამ დასახა სოფლად მუშაობის დარგში,—ესაა სასოფლო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა. რა თქმა უნდა, ეს ამოცანა ჩვენს წინაშე წამოჭრილია იმ თავიდანვე, მაგრამ დღემდე მისი ფართო მასშტაბით განხორციელებისათვის მატერიალური პირობები არ გაგვაჩნდა, და ჩვენ უმთავრესად და პირველ ყოვლისა ჩაბმული ვიყავით დანგრეული მეურნეობის აღდგენის საქმეში. ეხლა კი საერთოდ შეიქმნა ნიადაგი, როცა უშუალო სოციალისტური მშენებლობა შეიძლება დავსვათ, როგორც პრაქტიკული სადღეისო ლოზუნგი.

ეს კი ჰგულისხმობს დაქსაქსულ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა განსაზოგადოებას. სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია—ასეთია ჩვენი მთავარი ამოცანა. ჩვენ გლეხური მოსახლეობა უნდა შევაკავშიროთ არა მარტო საქონლის ბრუნვის დარგში (მოხმარების დებულება და სასოფლო-პროდუქტების გასაღება) არამედ, რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. მთელი საწარმოო პროცესის მხრივ. არსებულ კომუნების, სამანქანო, მიწის საზომად დამმუშავებელ ამხანაგობების და სხვა სახის გაერთიანებათა ფორმების განმტკიცება იდეურად, ორგანიზაციულად და მატერიალურად. მათი ქსელის გაფართოვება, მიწათმოწყობის გამოყენება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის და მრავალი სხვა—აი საითკენ უნდა იყოს ჩვენი საქმიანობა მიმართული. აქ საჭიროა დიდი სითრთხილე, თანდათანობა და ადგილობრივი პირობების საფუძვლიანი გათვალწინება. ჩვენ გლეხობას არა სიტყვით, არამედ საქმით უნდა დავუმტკიცოთ კოლექტიურ მეურნეობის უპირატესობა ინდივიდუალურზე, უნდა დავუმტკიცოთ, რომ სიღატაკე და ჩამორჩენილობა მან შეიძლება დასძლიოს და კეთილდღეობას მიაღწიოს მხოლოდ მეურნეობის კოლექტივიზაციის გზით.

მეორე მხრივ, სოფლად სოციალისტურ მშენებლობაზე მტკიცე კურსის აღება ნიშნავს ენერგიულ შეტევას კაპიტალისტურ ელემენტებზე. ჩვენი ამოცანაა—კულაკობის დაუძლურება და აღმოფხვრა, რაც პირველ ყოვლისა უნდა შევძლოთ ეკონომიური მეთოდებით, კულაკობის გარიყვით, სამეურნეო სარბიელიდან ღარიბ გლეხობის განთავისუფლებით მისი ეკონომიურ გავლენისაგან. ამ გლეხობისათვის ყოველგვარ დახმარების მიჩენით, რომ ის წელში გასწორდეს და კოლექტიურ ნიადაგზე მოეწყოს.

კულაკობის ექსპლოატაციას განსაკუთრებით მოჯამაგირე გლეხობა განიცდის. მოჯამაგირეთა რიცხვი ჩვენშიაც დიდია. ისინი ნაკლებად არიან შეკავშირებულნი პროფკავშირებში და მათი ხვედრითი წონა პარტიულ ორგანიზაციებშიაც ძალიან მცირეა. ამასთან მათ შორის სუსტად წარმოებს კულტურული მუშაობა. ყველა ამის გამო მოჯამაგირეთა შრომის დაცვა ძალზე მოიკოჭლებს. ა. კ. საოლქო კომიტეტის ამას წინედ გამოქვეყნებული დადგენილება ამომწურავ ღონისძიებებს მიგვითითებს მოჯამაგირეთა შორის მუშაობის დარგში და სოფლის პარტორგანიზაციები მტკიცედ უნდა შეუდგნენ მათ გატარებას ცხოვრებაში.

ჩვენ წინაშე სოფლად მდგარ ამოცანების წარმატებით გადაჭრა მხოლოდ მაშინ მოხერხდება, თუ გლეხობის მშრომელ ფენების პოლიტიკურ და სამეურნეო აქტივობა ფართედ გაიშლება. ამიტომ მათ ჩაბმას საბჭოებში, კოოპერატივებში და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. აუცილებლად უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, როცა გლეხობის ღარიბი ფენები ამ ორგანიზაციებში ცხოველ მონაწილეობას მიიღებენ და იქ ხელმძღვანელ როლს ითამაშებენ. კერძოდ საჭიროა გადაჭრილი ზომების მიღება გლეხ ქალების მისაზიდად საზოგადოებრივ მუშაობაში.

სასოფლო თათბირის დღის წესრიგში ცალკე იდგა საკითხი რევოლიუციონურ კანონიერების შესახებ. ამ დარგში თუმცა მიღწევები თვალსაჩინო გვაქვს, მაგრამ ჯერ კიდევ ხშირია კანონიერების დარღვევის და ბიუროკრატიულ გადამახინჯების შემთხვევები. სამოსამართლო აპარატი უფრო უნდა დავუახლოვოთ მშრომელ მოსახლეობას და მასში განვამტკიცოთ საბჭოთა უფლებრივი შეგნება. ამ მიზნით, სხვათა შორის, აუცილებელია სახალხო მსაჯულთა სათანადო შერჩევა და საბჭოებთან სამოსამართლო სექციების მოწყობა.

სოფელი ეკონომიურად და კულტურულად იზრდება. გლეხობა სულ უფრო და უფრო მეტ აქტივობას იჩენს. ამასთან ჩვენს წინაშე, როგორც ვსთქვათ, უშუალოდ სდგას სოფლის სოციალისტური გარდაქმნის ამოცანა. ყველაფერი ეს კი სოფლის პარტორგანიზაციებიდან და თვითეულ კომუნისტისაგან მოითხოვს მეტ მომზადებას, რომ სოციალისტურ მშენებლობას ჯეროვანი ხელმძღვანელობა გაუწიონ. პოლიტიკური და წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა სოფლელ კომუნისტებ შორის, ყურადღების ცენტრის გადატანა სამეურნეო-კულტურულ საკითხებზე, სოფლის სხვადასხვა ორგანიზაციების მუშაობის წარმართვა სოციალიზმის მიმართულებით — ასეთია ჩვენ სოფლელ ამხანაგების ამოცანა. ამასთან სოფლის პარტორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ თავის რიგების შევსებას მოჯამაგირე და ღარიბ გლეხობის მოწინავე ელემენტებით, რაც მათ სოციალურ შემადგენლობას უფრო გააჯანსაღებს და გაადვილებს პარტიის ეხლანდელ სამეურნეო და პოლიტიკურ ამოცანების გადაჭრას.

პურის დამზადების კამპანიის პირველი შედეგები და პარტიის ამოცანები

თებერვლის წინად ჩვენ სერიოზულად გაგვირთულდა პურის დამზადების საქმე. თუ 1927 წლის იანვრისათვის ჩვენ მოვახერხეთ 428 მილიონი ფუთი პურის დამზადება, 1928 წლის იანვრისათვის 300 მილიონ ფუთამდე ძლივს მივაღწიეთ. მაშასადამე, 1927 წლის იანვართან შედარებით 1928 წლის იანვრისათვის 128 მილიონი ფუთი დაგვაკლდა.

პურის დამზადების გართულების გამომწვევ მიზეზთა შორის შემდეგი უნდა დავასახელოთ:

გაიზარდა და გამდიდრდა სოფელი. გაიზარდა და გამდიდრდა, პირველ ყოვლისა, კულაკი. სამი წლის მოსავალმა ამაოდ არ ჩაიარა. არამარცვლეულ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა, მესაქონლეობისა და გარემუშაობის შემოსავლების გადიდებამ, ამავე დროს, მრეწველობის საქონლის მიწოდების შედარებითმა უკან ჩამორჩენამ საშუალება მისცა გლეხობას, მეტადრე კი კულაკს, რომ შეენახათ პური და მისი ფასი აეწიათ.

მართალია, კულაკი პურის მთავარი პატრონი არ არის, მაგრამ სოფლის მეურნეობაში ის ავტორიტეტით სარგებლობს, მას კავშირი აქვს ქალაქის სპეკულიანტთან, რომელიც პურში მეტ ფასს აძლევს, და შეუძლია გაიყოლიოს საშუალო გლეხი პურის ფასის გადიდებაში და ჩვენი ფასების პოლიტიკის ჩაშლაში, რამდენადაც მას წინააღმდეგობას არ უწევენ პურის დამამზადებელი ორგანიზაციები.

შემდეგ. ჩვენი დამამზადებელი ორგანიზაციები თავის მოწოდების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდნენ. პურის დამამზადებელმა ორგანიზაციებმა ბონიფიკაცია და ფასებზე ყოველგვარი „კანონიერი" დანართები ბოროტად გამოიყენეს; იმის მაგიერ, რომ ლაგამი ამოედოთ სპეკულიაციისათვის, მათ აღვირახსნილი კონკურენცია გაუმართეს ერთმანეთს, არღვევდნენ დამამზადებელთა მთლიან ფრონტს, პურს აძვირებდნენ და ძალაუნებურად ხელს უწყობდნენ სპეკულიანტებსა და კულაკებს, რომ ჩაეშალათ საბჭოთა პოლიტიკა ფასების დარგში, გაეუარესებინათ ბაზარი და შეენელებინათ პურის დამზადება. მართალია, პარტიას შეეძლო საქმეში ჩარეულიყო და ბოლო მოეღო ამ დეფექტებისათვის. მაგრამ ის დაიმედებული იყო წინა წლების დამზადების საქმის წარმატებით დაგართული დისკუსიით; ამიტომ გვერდი აუქცია ამ დეფექტებს იმ იმედით, რომ პურის სტიქიური დენა დაფარავდა ყველა დეფექტს. უფრო მეტის თქმაც შეიძლება: ბევრი პარტიული ორგანიზაცია პურის დამზადებას ფორმალურად მოეპყრა, როგორც უცხო რამ საქმეს, და დაივიწყა, რომ დამზადების დეფექტებისათვის, ისევე, როგორც ყველა სამეურნეო და კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობის დეფექტებისათვის, პასუხისმგებლობა მუშათა კლასის წინაშე, პირველ ყოვლისა, პარტიას დაეკისრებოდა.

შემდეგ. ბევრი რაიონის სოფლებში ჩვენი პარტიის ხაზი გამრუდებული აღმოჩნდა. ხშირად შემცდარად ხორციელდებოდა პარტიის ძირითადი ლოზუნგი: „დაეყრდნე ღარიბ გლეხობას, მჭიდრო კავშირი გააბი საშუალო გლეხთან, ერთს წუთსაც არ შეანელო კულაკთან ბრძოლა". პარტიულმა ორგანიზაციებმა ისწავლეს კავშირის გაბმა საშუალო გლეხობასთან, რაც პარტიისათვის უდიდესი გამარჯვებაა, მაგრამ მათ ყველგან ვერ მოახერხეს მუშაობის მოწესრიგება ღარიბ გლეხთა შორის. რაც შეეხება კულაკობასთან და კულაკთა საფრთხესთან ბრძოლას, უნდა ვსთქვათ, რომ ამ დარგში ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სრულებითაც ვერ გააკეთეს ყველაფერი, რაც უნდა გაეკეთებინათ. სხვათა შორის, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ჩვენს პარტიულ და სხვა ორგანიზაციებში უკანასკნელ დროს გაჩნდნენ ერთგვარი, პარტიისათვის უცხო ელემენტები, რომლებიც ვერ ხედავენ კლასებს სოფლად, არ ესმით ჩვენი კლასობრივი პოლიტიკის საფუძველი, ცდილობენ ისეთი გეზი მისცენ მუშაობას, რომ სოფლად არავის აწყენინონ, მშვიდობიანად იცხოვრონ კულაკთან და, საერთოდ, შეინარჩუნონ პოპულიარობა სოფლის „ყველა ფენის" თვალში. ცხადზე-უცხადესია, რომ ასეთი „კომუნისტების" არსებობა ვერ გააუმჯობესებდა ჩვენს მუშაობას სოფლად, ვერ შეზღუდავდა კულაკობის ექსპლოატატორულ მიდრეკილებას და პარტიის გარშემო ღარიბ გლეხობას ვერ შეამჭიდროებდა.

ყოველსავე ამას რომ დავურთოთ ჩვენი მუშაობის ისეთი შეცდომები, როგორიცაა მრეწველობის საქონლის გადაზიდვა სოფლად, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სიმცირე, სოფლიდან იქ დაგროვილი თავისუფალი თანხების მიღების მოუხერხებლობა და სხვა, მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება ის პირობები, რომლებმაც პურის დამზადების საქმეში გართულება გამოიწვია.

სიძნელეთა ლიკვიდაციისათვის საჭირო იყო, პირველ ყოვლისა, ფეხზე დაგვეყენებია პარტიული ორგანიზაციები და მიგვეთითებია, რომ პურის დამზადების საქმე მთელი პარტიის საქმეა. მეორე: საჭირო იყო სპეკულიაციისათვის ლაგამი ამოგვედო და გაგვეჯანსაღებია ბაზარი სპეკულიანტსა და კულაკობის სპეკულიანტურ ელემენტებზე შეტევით, ხოლო საამისოდ გამოგვეყენებია საბჭოთა კანონები მასიური მოხმარების საქონლის სპეკულიაციის წინააღმდეგ (სისხლის სამართლის კოდექსის 107 მუხ. და სხვ.). მესამე: საჭირო იყო სოფლიდან იქ დაგროვილი თანხების მიღება და ამ მიზნით გამოგვეყენებია კანონები თვითდაბეგვრის, საგლეხო სესხის და არაყის ხდასთან ბრძოლის შესახებ. მეოთხე: საჭირო იყო პარტიული ორგანიზაციების კონტროლ ქვეშ მოგვექცია ჩვენი დამამზადებელი ორგანიზაციები, გვაეძულებინა ისინი, რომ შეეწყვიტათ ერთმანეთთან კონკურენცია და დაგვევალებინა მათთვის საბჭოთა პოლიტიკის გატარება ფასების დარგში. ბოლოს: საჭირო იყო ბოლო მოგვეღო პარტიული ხაზის გამრუდებისათვის პრაქტიკულ მუშაობაში სოფლად, მთავარი ყურადღება მიგვექცია კულაკთა საფრთხესთან ბრძოლის ამოცანისათვის და ვალდებული გაგვეხადა პარტიული ორგანიზაციები, რომ „განევითარებინათ შეტევა კულაკობის წინააღმდეგ" (იხ. პარტიის მე-15 ყრილობის რეზოლიუცია „სოფლად მუშაობის შესახებ").

პარტია სწორედ ასე მოიქცა, შესაფერი დირექტივები მისცა ორგანიზაციებს და საამისოდ პარტიული ძალების მობილიზაცია მოახდინა. ლაპარაკი იმის შესახებ, ვითომც, ჩვენ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას ვაუქმებდეთ, ვაწესებდეთ სურსათის გაწერას და სხვ., მხოლოდ კონტრ-რევოლიუციონური ლაყბობაა, რომლის წინააღმდეგ საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა. ახალი ეკონომიური პოლიტიკა ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველი არის და იქნება ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე. ახალი ეკონომიური პოლიტიკა ნიშნავს საქონლის ბრუნვას და კაპიტალიზმის დაშვებას იმ პირობით, რომ სახელმწიფო იტოვებს ვაჭრობის მოწესრიგების უფლებასა და შესაძლებლობას პროლეტარიატის დიქტატურის თვალსაზრისით. უამისოდ ახალი ეკონომიური პოლიტიკა იქნებოდა კაპიტალიზმის აღდგენა; ეს არ სურთ გაიგონ კონტრ-რევოლიუციონერ მოლაქლაქეებს, რომლებიც ლაყბობენ ხოლმე ახალი ეკონომიური პოლიტიკის გაუქმების შესახებ.

ჩვენ ახლა სრულის საბუთით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მიღებული ღონისძიებანი და პურის დამზადების გაფართოებული კამპანია უკვე დაგვირგვინდა პარტიის პირველი აშკარა გამარჯვებით. პურის დამზადების ტემპი ყველგან გაძლიერდა. იანვარში დამზადებული პური ორჯერ აღემატება დეკემბერში დამზადებულს.

თებერვალში დამზადების ტემპი კიდევ უფრო ძლიერია. დამზადების კამპანიამ შეამოწმა ჩვენი ორგანიზაციები—პარტიული, საბჭოთა და კოოპერატიული,— გაუადვილა მათ გადაგვარებული ელემენტებისაგან განთავისუფლება და მოუმატა ახალი რევოლიუციონერი მუშაკები. ცხადი ხდება დამზადების კამპანიის დეფექტები და მათი თავიდან აცილების გზა. სოფლად პარტიული მუშაობის გაუმჯობესება და გადახალისება სწარმოებს, ისპობა პარტიული ხაზის გამრუდება. სუსტდება კულაკის გავლენა, ცხოველდება მუშაობა ღარიბ გლეხთა შორის, ძლიერდება საბჭოთა საზოგადოებრიობა სოფლად და იზრდება საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტი გლეხობის ძირითად მასებში, მათ შორის ღარიბი გლეხობის რიგებში.

მაგრამ ზემოთ აღნიშნულ წარმატებებთან ერთად პარტიის დირექტივების ასრულების პრაქტიკაში ადგილი აქვს მთელ რიგ დამახინჯებებს და გადახრებს, რომლებსაც შეუძლია ახალ სიძნელეთა შექმნა, თუ ისინი აღმოფხვრილი არ იქნა. ასეთ დამახინჯებებს და გადახრებს ეკუთვნის ზოგიერთ ადგილებში წარმოებული ცდები უშუალოდ საქონლის გაცვლაზე გადასვლისა და გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის იძულებით განაწილებისა, დაპატიმრებათა ბოროტად გამოყენება, ზედმეტი პურის უკანონო კონფისკაცია და სხვ.

პურის დამზადების კამპანიის გამოცდილებიდან გამომდინარეობს, რომ პარტიის უახლოესი ამოცანები შემდეგია:

უწინარეს ყოვლისა შეუსუსტებლად უნდა გაგრძელდეს პურის დამზადების გაძლიერების კამპანია და რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, შესრულდეს პურის დამზადების წლიური გეგმა.

უნდა გაძლიერებულ იქნას ბრძოლა კონვენციურ ფასების აწევის ყოველგვარ პირდაპირ და არაპირდაპირ საშუალებებთან.

გადაჭრით უნდა იქნას აღმოფხვრილი კონკურენცია პურის დამამზადებელ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანოებს შორის და ნამდვილად უნდა იქნას უზრუნველყოფილი ბრძოლის მთლიანი ფრონტი კერძო შემსყიდველისა და კულაკის წინააღმდეგ, რომლებიც ეწევიან სპეკულიაციას ფასების აწევით.

უნდა გაგრძელდეს შეტევა კულაკებზე—რომლებსაც ნამდვილად აქვთ ზედმეტი პურის მარაგი, ეს შეტევა უნდა გატარდეს მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა კანონიერების ნიადაგზე (კერძოდ, განსაკუთრებით ბოროტ ელემენტების წინააღმდეგ, რომლებსაც მაგალითად აქვთ ორი ათასი ფუთი ან მეტი გასასყიდი პური, გამოყენებულ უნდა იქნას რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-107 მუხლი და უკრაინის კოდექსის შესაფერი მუხლები); მაგრამ ეს და ამის მზგავსი ზომები არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეეხოს საშუალო გლეხობას.

კანონის თანახმად სპეკულიანტებისაგან და კულაკობის სპეკულიანტურ ელემენტებისაგან ჩამორთმეულ ზედმეტი პურის 25 პროცენტი უნდა გადაეცეს ღარიბ გლეხობას გრძელვადიანი კრედიტის პირობებში, სათესლე და საჭირო შემთხვევაში, სამომხმარებლო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

საჭიროა გადაჭრით აღმოფხვრილ იქნას ის გადახრები და დამახინჯებანი პურის დამზადების კამპანიის გაძლიერების პრაქტიკაში, რომლებიც ცალკე შემთხვევებში გადადის სურსათის გაწერის მეთოდების გამოყენებაზე.

გლეხობისაგან სახელმწიფოს მიმართ მათი დავალიანების (სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, დაზღვევის პრემიების, სესხების და სხ. ნარჩენები) გადახდევინების დროს უნდა გაგრძელდეს შეტევა სოფლის შეძლებულ, განსაკუთრებით კულაკურ ფენებზე, ღარიბ გლეხობას კი და აუცილებელ შემთხვევებში ხელმოკლე საშუალო გლეხებს უნდა მიეცეს შეღავათები.

თვითდაბეგვრის დარგში, სასოფლო-სამეურნეო გადასახადთან შედარებით, სოფლის კულაკური და შეძლებული ფენების დაბეგვრაში უნდა გამოყენებულ იქნას უფრო მაღალი პროგრესია. თვითდაბეგვრისაგან უნდა განთავისუფლებულ იქნას სოფლის უღარიბესი ფენები და შეღავათები მიეცეს ხელმოკლე საშუალო გლეხებს და წითელ არმიელების ოჯახებს. თვითდაბეგვრის კამპანიის დროს ყველგან უნდა წამოვაყენოთ საზოგადოებრივი ინიციატივა და ამ საქმეში ფართოდ მივიზიდოთ ღარიბი გლეხობა, კომკავშირელი, დელეგატი-ქალები და სოფლის ინტელიგენცია, თვითდაბეგვრით შეკრებილი თანხები უნდა გამოყენებულ იქნას სასტიკი მიზნობრივი დანიშნულებით, ეს თანხები არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიხარჯოს აპარატის შესანახად, სოფლის ყრილობებზე კონკრეტულად უნდა იქნას განხილული და დამტკიცებული ამ თანხების გამოყენების ობიექტები, ხარჯთაღრიცხვები და სხვა, და მათ ხარჯვას უნდა გაეწიოს ფართო საზოგადოებრივი კონტროლი.

გადაჭრით უნდა იქნას აღმოფხვრილი საგლეხო სესხის გავრცელების ადმინისტრატიული ზომები (გლეხებისათვის პურის საფასურად სესხის ობლიგაციების მიცემა, სესხის იძულებითი გაწერა მეურნეობებზე და სხვ.), მთელი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ გლეხებს განემარტოს, თუ რამდენად ხელსაყრელია მათთვის საგლეხო სესხი. აგრეთვე გამოყენებულ უნდა იქნას სოფლის საზოგადოებრივ ორგანიზაციების გავლენა და ძალა საგლეხო სესხის ობლიგაციების გასავრცელებლად სოფლის მდიდარ ფენებშიაც.

შეუსუსტებელი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ დაკმაყოფილებულ იქნას პურის დამამზადებელ რაიონების მოთხოვნილება სამრეწველო საქონელზე. აღმოფხვრილი უნდა იქნას პურის სამრეწველო საქონელზე უშუალო გაცვლის პირდაპირი და არაპირდაპირი ფორმები, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში მწვავე—დეფიციტურ საქონლის გაცემაში შეღავათები მიეცეს კოოპერაციის პაის მეპატრონეთ და კოოპერატიულად შეუკავშირებელ გლეხებს მათ მიერ პურის გაყიდვის დროს.

დასასრულ, პურის დამზადების კამპანიის მსვლელობაში უნდა გაგრძელებულ იქნას პარტიულ, საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციების შემოწმება და ენერგიული წმენდა, განიდევნოს იქიდან უცხო, მიტმასნილი ელემენტები, რომლებიც უნდა შეიცვალონ ნაცვად პარტიულ და შემოწმებულ უპარტიო მუშაკებით.

ყველა ორგანოების მუშაობის შემდგომ გაძლიერებასთან ერთად პურის დამზადების გეგმის სავსებით შესასრულებლად, ყველა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ მუშაობას თესვის კამპანიის ისე მოსამზადებლად, რომ მან უზრუნველყოს საგაზაფხულო ნათეს სივრცის გაფართოება.

ცალკე სპეკულიანტურ და კულაკურ ელემენტების აგიტაციას ნათესების შემცირების სასარგებლოდ, უნდა დაუპირდაპირდეს შემჭიდროებული, მწყობრი და ორგანიზაციული კამპანია ღარიბ გლეხობის ნათესების სივრცის გაფართოების სასარგებლოდ, ამასთანავე განსაკუთრებული დახმარება უნდა გაეწიოს კოლექტიურ მეურნეობებს.

„პრავდა", 15 თებერვალი.

კუკი მემაღაროეთა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ

საარჩევნო კამპანია პოლონეთში.-სოციალისტების და კომუნისტების შეტაკება

გლეხთა აჯანყება კუნძულ კრიტზე

კუკი გაფიცვისაკენ მოუწოდებს მემაღაროებს

ლონდონი, 14 თებერვ. „სანდეი უორკერ"-ის თანამშრომელთან საუბარში, კუკმა განაცხადა, რომ საჭიროა ტრედიუნიონების კონგრესის და მუშათა პარტიის გაერთიანებულ საგანგებო კონფერენციის მოწვევა სამთამადნო მუშათა მდგომარეობის განსახილველად. კუკმა აღნიშნა, რომ **სამთამადნო მუშები ეკონომიურ გაჭირვებას განიცდიან არა მარტო ინგლისში, არამედ აგრეთვე საფრანგეთში, გერმანიაში, ბელგიაში, შეერთებულ შტატებში. კუკის აზრით, საჭიროა სამთამადნო მუშათა საერთაშორისო გაფიცვის გამოცხადება მაღაროებში შვიდი საათის სამუშაო დღის მისაღწევად.** განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ნოტინგამშირი, სადაც მაღაროების პატრონებმა დახურეს მაღაროები და მათ გახსნაზე თანახმა არიან მხოლოდ სამუშაო ხელფასის შემცირების პირობით. ამასთანავე კუკმა აღნიშნა, რომ ალფრედ მონდის წერილს სამრეწველო მშვიდობიანობის შესახებ ხელს აწერს აგრეთვე ნოტინგამშირის რამოდენიმე მაღაროს მეპატრონე. (ადს)

დამოუკიდებელ მუშათა პარტიის კონფერენციები

ლონდონი, 14 თებერვალი. ინგლისის სხვადასხვა ოლქებში მიმდინარეობს დამოუკიდებელ მუშათა პარტიის საოლქო კონფერენციები. კონფერენციები უკვე შესდგა შოტლანდიაში, უელსში, ლონდონში, ლანკაშირში და იორკშირში.

ერთ ერთი მთავარი საკითხი, რომელიც ირჩევა კონფერენციებზე, არის საკითხი მრეწველობაში მშვიდობიანობის დამყარების შესახებ. შოტლანდიის, უელსის და ლონდონის კონფერენციებზე მიღებულია რეზოლიუცია სამრეწველო მშვიდობიანობის წინააღმდეგ. ლონდონის ოლქის კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ პარტიას „ძლიერ აფიქრებს ის პოზიცია, რომელიც დაიჭირეს პროფესიონალურ მოძრაობის ბევრმა ლიდერებმა საკითხში სამრეწველო მშვიდობიანობის შესახებ".

ლონდონის კონფერენციაზე ირჩეოდა აგრეთვე საკითხი განიარაღების შესახებ. ამ საკითხის შესახებ მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც ესალმება საბჭოთა მთავრობის კონკრეტიულ წინადადებებს საყოველთაო განიარაღების შესახებ და მოუწოდებს ინგლისის მთავრობას ხელი შეუწყოს ამ წინადადებებს (ადს).

„შეთანხმება" საფრანგეთსა და ესპანეთს შორის

პარიზი, 14 თებერვალი. გაზეთების ცნობით, საფრანგეთსა და ესპანეთს შორის მიღწეულია შეთანხმება ყველა ალაგის საკითხებში ტანჟერის შესახებ, გარდა შეთანხმებისა, მოქმედების ვადის საკითხისა. საფრანგეთი დათმობაზე წავიდა ესპანეთის მიმართ საკითხში. მუნიციპალური რეჟიმის რეფორმის შესახებ ტანჟერში. გაზეთების აზრით, შეთანხმება მისაღებია ინგლისისა და იტალიისათვის.

შენიშვნა: ტანჟერი გამოცხადებულია საერთაშორისო ნეიტრალურ ზონად, რომელიც იმყოფება მაროკოს სულთანის სუვერენიტეტის და საერთაშორისო მმართველობის ქვეშ. გიბრალტარის სრუტესთან მდებარე ტანჟერის სტრატეგიული და სავაჭრო მნიშვნელობა ქმნის სახელმწიფოების მუდმივ მეტოქეობას ტანჟერის მმართველობის საკითხში. კერძოდ ესპანეთი საფრანგეთთან მოლაპარაკებაში აყენებდა მოთხოვნილებას ტანჟერზე ესპანეთის პროტექტორატის ცნობის შესახებ. ცნობიდან ჩანს, რომ ესპანეთმა ამ მიზანს ვერ მიაღწია (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

ლი-ტი-სინი გომინდანის მდგომარეობის შესახებ

შანხაი, 14 თებერვ. კანტონის დიქტატორმა ლი-ტი-სინმა გომინდანის მდგომარეობის შესახებ განაცხადა, რომ გომინდანი ამჟამად დაყოფილია წვრილ ჯგუფებათ და რომ თვითეული ჯგუფი მხოლოდ საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობს. ლი-ტი-სინმა დაუმატა, რომ მას „შეუძლებლად მიაჩნია გომინდანის ყველა ჯგუფების გაერთიანება მთლიან ორგანიზაციაში". (ადს)

სათათბიროდ ფინ-იუ-სიანთან

ტოკიო, 14 თებერვალი. გაზეთების ცნობით, ჩან-კაი-ში გაემგზავრა კაიფინში ფინ-იუ-სიანსა და ენ-სი-შანის წარმომადგენლებთან სათათბიროდ. (ადს)

აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის გარშემო

პეკინი, 14 თებერვალი. ინგლისმა, საფრანგეთმა, იაპონიამ და შეერთებულმა შტატებმა პროტესტი განაცხადეს იმის გამო, რომ ჩან-ძო-ლინმა გააუქმა გრძელვადიანი იჯარის უფლება მიწის ნაკვეთებზე, რომლითაც უცხოელები სარგებლობდნენ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის რაიონში. ამ პროტესტის შესახებ, პეკინის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა **უ-ცზიანმა** განაცხადა: „ჩვენ გვსურს დავიბრუნოთ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზა და ამიტომ გვინდა რკ. გზის რაიონში საადგილ - მამულო ურთიერთობის შეცვლა. ამ რაიონში მიწის ნაკვეთების იჯარით აღებაში დაინტერესებულია მხოლოდ იაპონია და ოთხი სახელმწიფოს პროტესტი გამოწვეულია იაპონიის გავლენით". (ადს)

მემაღაროეთა გაფიცვა ჩრდ.-დასავლეთ ბოჰემიაში

პრაღა, 14 თებერვალი. 30 ათასი მემაღაროეს გაფიცვა უცვლელად გრძელდება. ჟანდარმერიის შემადგენლობის მნიშვნელოვანმა გაძლიერებამ გაფიცვის რაიონში გამოიწვია აღელვება გაფიცულთა შორის, რომელთაც სამაგალითო დისციპლინას ბურჟუაზიული პრესაც კი ხაზგასმით აღნიშნავს. ქვანახშირის ზოგიერთი მაღაროები დაკავებული აქვს ჟანდარმერიას. ცენზურა არ უშვებს მემაღაროეთა არც ერთ მოწოდებას; ამ მოწოდებებში მაღაროს მუშები მოუწოდებენ რკინისგზელებს უარი სთქვან შტრეიკბრეხერების საშუალებით ამოღებულ ქვანახშირის გადაზიდვაზე.

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მემაღაროეთა გაფიცვა წარმოადგენს არა მარტო ბრძოლას სამუშაო ხელფასის გადიდებისათვის, არამედ ბრძოლაა რვა საათის სამუშაო დღის დასაცავად, და მოუწოდებს ჩეხო-სლოვაკიის ყველა მუშებს სოლიდარობა გამოუცხადონ გაფიცულ მემაღაროელებს. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ორგანო „რუდე პრავო"-ს კონფისკაცია უყვეს მემაღაროეთა გაფიცვისადმი მიძღვნილ წერილისათვის (ადს).

გოტოს ლექცია საბჭ. კავშირის შესახებ

ტოკიო, 14 თებერვალი. გოტომ წაიკითხა პირველი საჯარო ლექცია საბჭოთა კავშირის შესახებ. გოტოს ეს გამოსვლა მოაწყვეს იაპონია - საბჭოთა კავშირის საზოგადოებამ და გაზეთ „ტოკიო ასახი"-მ. **ლექციამ დამსწრე საზოგადოებას მისცა საბაბი გამოეაშკარავებია მხურვალე სიმპატიები საბჭოთა კავშირის მიმართ. ბილეთები ერთ დღეში გაიყიდა. მიუხედავად დიდი წვიმისა, დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი,** როცა გოტო აღნიშნავდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის წარმატებებს, მისი სიტყვა მქუხარე ტაშით უფარებოდა.

„ყველაზე დიდი შთაბეჭდილება,— სთქვა გოტომ, ჩემზე მოახდინა საბჭოთა კავშირის ბელადების იმ დიდმა მუშაობამ, რომელსაც ისინი აწარმოებენ **სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის, აგრეთვე დიდათ დამაინტერესა ქვეყნის მართვა - გამგეობის სისტემამ, რომელიც მეცნიერულ პრინციპებს ემყარება".**

შემდეგ გოტომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ **საერთაშორისო მშვიდობიანობისათვის აუცილებელია, რათა საბჭოთა კავშირმა დაიკავოს თანასწორუფლებიანი ადგილი ერების ოჯახში და რომ იაპონია განსაკუთრებით დაინტერესებულია ამაში, ვინაიდან მიილტვის შორეულ აღმოსავლეთის მშვიდობიანი განვითარებისაკენ.** (ადს)

მღელვარება კუნძულ კრიტზე

ვენა, 14 თებერვალი. საბერძნეთიდან მიღებული ცნობებით, კუნძულ კრიტზე, დაიწყო სერიოზული მღელვარება, რომელსაც ამავე დროს მოჰყვა მღელვარება ათინის გარნიზონში. **კრიტზე მღელვარებამ მიიღო კრიტის გლეხობის შეიარაღებულ აჯანყების ხასიათი. გლეხობამ წამოაყენა მოთხოვნილება მთელ რიგ გადასახადების გაუქმების, გადასახადის შეუტანლობის გამო დაპატიმრებულთა განთავისუფლების და იაფი კრედიტის შესახებ.**

ზოგიერთი ცნობებით, გლეხთა მოძრაობას მეთაურობს **კუდურასი,** პანგალოსის კაბინეტის ყოფილი იუსტიციის მინისტრი თითონ პანგალოსი დაპატიმრებულია: კუნძულ კრიტზე მღელვარების დაწყების შემდეგ საბერძნეთის მთავრობამ პანგალოსი გადაიყვანა სხვა კუნძულზე.

ინგლისი არჩევნების წინ

ინგლისის კომპარტიის კანდიდატები საპარლამენტო არჩევნებში

ლონდონი, 14 თებერვალი, ინგლისის კომპარტიამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში თავის კანდიდატებად ასახელებს პარტიის 9 წევრს, მათ შორის **მერფისა და საკლატვალას. ხუთი კომუნისტის კანდიდატურას აყენებენ მუშათა პარტიის ის ადგილობრივი ორგანიზაციები, რომლებიც გამორიცხულ იქნენ მუშათა პარტიიდან** იმის გამო, რომ მათ არ შეასრულეს მუშათა პარტიის ლივერპულის ყრილობის დადგენილება კომუნისტების გამორიცხვის შესახებ. (ადს)

კამათი თემთა პალატაში

ლონდონი, 14 თებერვ. თემთა პალატაში მეფის სიტყვის გარშემო გამართულ კამათის დროს, მუშათა პარტიის დეპუტატმა კლაინსმა განაცხადა, **რომ ბოლდუინის მთავრობამ უსირცხვილოთ დაარღვია 1924 წლის არჩევნების წინ მოცემული დაპირება, რომ ის გადასჭრის უმუშევრობის საკითხს, თუ კვლავ დაუბრუნდა ხელისუფლებას.** „მთავრობის ხაზი — განაცხადა კლაინსმა — მდგომარეობს იმაში, რომ დაემალოს საბრალმდებლო აქტს ისეთი ცალიერი სიტყვების საშუალებით, როგორიცაა „კაპიტალის დაბეგვრა, დამატებითი გადასახადი, სოციალიზმი" და სხვ.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

მოსკოვი, 15 თებერვალი. კომინტერნის აღმასკომის მე-IX პლენუმზე დამთავრდა კამათი ამხ. **ბუხარინის** მოხსენების გარშემო, რომელიც მან გააკეთა საკავშირო კომპარტიისა და კომინტერნის ოპოზიციის შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღო მრავალმა დელეგატმა. პლენუმი შემდეგ გადავიდა დღის წესრიგის მეორე პუნქტის — „პროფკავშირების საკითხის" განხილვაზე. მომხსენებლად ამ საკითხის შესახებ გამოვიდა ამხ. **ემბერ დრო**. (ადს)

უკრაინის კომპარტიის ცეკას დეპეშა

მოსკოვი, 15 თებერვალი. უკრაინის კომპარტიის (ბ) ცეკამ კომინტერნის აღმასკომს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც გამოთქმულია რწმენა, რომ „ყველა ძმური კომპარტიები და მთელი კომუნისტური ინტერნაციონალი გადამჭრელ წინააღმდეგობას გაუწევენ კონტრ - რევოლიუციონურ საერთაშორისო ტროცკიზმის გამხრწნელ გავლენას და დასახავენ ჩინეთის, ინგლისის, საფრანგეთისა და კოლონიალური ქვეყნების ძმური კომპარტიების შემდგომი ბრძოლის სწორ ხაზს. (ადს)

ასკვიტი გარდაიცვალა

ლონდონი, 14 თებერვალი. გარდაიცვალა ლორდი ოქსფორდ-ასკვიტი, ინგლისის ერთ ერთი უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე, ლიბერალურ პარტიის ყოფილი ბელადი (ადს).



ჰერბერტ ჰენრი ასკვიტი

ჰერბერტ ჰენრი ასკვიტი, ლიბერალური პარტიის ბელადი, დაიბადა 1852 წელს, დაამთავრა ოქსფორდის უნივერსიტეტი. შესანიშნავი ორატორული ნიჭით უზრუნველყო თავისთვის ვექილის კარიერა, რომელიც პარლამენტარული მოღვაწეობით შესცვალა. როგორც ვექილმა სახელი გაითქვა განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა იკისრა ირლანდიელი ნაციონალისტების დაცვა. პარლამენტის წევრად ასკვიტი არჩეულ იქნა 1886 წელს, როგორც ლიბერალი. მისმა გამოსვლებმა პარლამენტში მიიპყრეს ყურადღება მოხუც გლადსტონისა, რომელმაც მას 1892 წელს ჩააბარა შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელი. ახალმა მინისტრმა „ბრწყინვალედ" შეასრულა თავისი დანიშნულება: იგი სასტიკად გაუსწორდა გაფიცულ მემაღაროელთ ფედერსტონში, სადაც მისი ბრძანებით ჯარმა ტყვია დაუშინა გაფიცულთა მიერ შტრეიკბრეხერების წინააღმდეგ გამართულ დემონსტრაციას. გლადსტონის შემდეგ ასკვიტი გახდა ლიბერალების ყველაზე უფრო პოპულიარული ბელადი. ლიბერალურ კაბინეტს ხელისუფლება შერჩა მხოლოდ სამ წელიწადს, რის შემდეგ სახელმწიფოს სათავეში იდგნენ ათი წლის განმავლობაში კონსერვატორები. ამ ხნის განმავლობაში ასკვიტი პარლამენტში მეთაურობდა ოპოზიციას. ინგლის—ბურების ომის დროს ასკვიტმა უღალატა ლიბერალების ტრადიციას და მხარი დაუჭირა ბურებთან ომს. ამის გამო 1905 წელს, როდესაც გამარჯვება ხვდა ლიბერალურ პარტიას, იგი არ აირჩიეს პრემიერად. პრემიერობა წილად ხვდა **კამპელ-ბანერმანს,** რომელიც ბურებთან ომის წარმოების სასტიკი მოწინააღმდეგე იყო. მაგრამ მან ამ კაბინეტში მაინც მიიღო ფინანსთა მინისტრის პორტფელი. კამპელის გარდაცვალების შემდეგ ასკვიტი გახდა პრემიერი. მისი პრემიერობა გაგრძელდა რვა წელიწადს, თუმცა კაბინეტის მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო არა იგი, არამედ ლოიდ-ჯორჯი.

მსოფლიო ომის დაწყების წინ იგი, გამოვიდა ომის მომხრეთ და მოითხოვდა მის ძლევამოსილად დამთავრებას. 1915 წელს იგი იძულებული გახდა პატრიოტული ელემენტების ზეგავლენით კონსერვატორებთან და მუშათა პარტიასთან ერთად შეედგინა კოალიციონური მთავრობა, მაგრამ მალე 1916 წელს ლოიდ-ჯორჯმა კონსერვატიული პრესის დახმარებით აღმოაჩინა ასკვიტის მოულოდნელი ცოდვები სამხედრო იარაღების მომარაგების საქმეში და აიძულა იგი გადამდგარიყო. ამის შემდეგ ასკვიტს არ ღირსება სამინისტრო პორტფელიც, ხოლო 1918 წელს იგი პარლამენტის წევრადაც არ ყოფილა არჩეული. ამგვარად 20 წლიანი სამინისტრო კარიერის შემდეგ იგი აღმოჩნდა უსაქმოდ, უმეგობროდ და სავსებით გამარტოებული.

სპარსეთის ვაჭრების მონაწილეობა საბჭოთა შერეულ საზოგადოებებში

თეირანი, 14 თებერვ. გაზეთი „იკდამ" წერილში „ჩრდილოეთის ვაჭრობა", ეხება რა საკითხს სპარსეთის ვაჭრების მონაწილეობის შესახებ სააქციონერო საზოგადოებებში — „პერსაზნევტ"-ში, „შარკ"-ში, „რუსპერსახარ"-ში და სხვ., სწერს:

„პირველად, როცა ეწყობოდა ეს ფირმები, ჩვენ ვფიქრობდით, რომ ისინი მონოპოლიას გამოაცხადებენ ვაჭრობაზე და აიძულებენ სპარსელ ვაჭრებს შესწყვიტონ გარიგებები იმ საქონელზე, რომლებსაც ისინი ასაღებენ. მაგრამ ამ ბოლო დროს ვაჭრების ჯგუფი შევიდა კომპანიაში ამ ფირმებთან და თანამშრომლობს მათთან. ეს თანამშრომლობა იძლევა ისეთ სარგებელს, რომელიც ყოველგვარ მოლოდინს აღემატება. ეს დაწესებულებები მიზნად ისახავენ სპარსეთის ვაჭრების ჩაბმას თანამშრომლობაში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მომავალში სპარსელები კიდევ მეტ სარგებლობას მიიღებენ ამ დაწესებულებათაგან". (ადს)

საკლატვალა ინგლისის აღმოსავლეთის პოლიტიკის შესახებ

ლონდონი, 14 თებერვალი. ინგლისის პარლამენტის კომუნისტმა დეპუტატმა საკლატვალამ, რომელიც გამოვიდა მეფის სეფე-სიტყვის გარშემო გამართულ კამათში, გააკრიტიკა მთავრობის პოლიტიკა აღმოსავლეთის ქვეყნების და კერძოდ სპარსეთის მიმართ.

„ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრო—განაცხადა საკლატვალამ—აწარმოებს ძალდატანების პოლიტიკას სპარსეთის მიმართ. ის ძლიერ ზრუნავს იმაზე, რომ გამოინახოს შესაფერი პიროვნება, აშკარად მტრულად განწყობილი სპარსეთის მთავრობის მიმართ, რათა გახადოს იგი ვითომდა დამოუკიდებელ ძალაუფლების მქონედ განსაზღვრულ ტერიტორიაზე, რომელიც ცოტად თუ ბევრად ახლო მანძილზე იქნება სპარსეთის საზღვრის იქით მდებარე ნავთის ბუდობებიდან" (საკლატვალას მხედველობაში აქვს მოსული) (ადს).

საიმონის კომისიის წინააღმდეგ

ლონდონი, 14 თებერვალი. დელიდან (ინდოეთი) მიღებული ცნობით, სრულიად ინდოეთის კონგრესის (ეს კონგრესი წარმოადგენს ინდოეთის ყველა პოლიტიკური პარტიების საკრებულოს) და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობა **ამუშავებს ინდოეთის კონსტიტუციის პროექტს, რომელიც დაუპირდაპირდება საიმონის კომისიის მიერ შედგენილ პროექტს (ადს).**

კალკუტა საიმონის „შესახვედრად" ემზადება

ლონდონი, 14 თებერვალი. კალკუტაში ინგლისის საპარლამენტო კომისიის მოსვლას 20 თებერვალს მოელიან. ბენგალელი ნაციონალისტების ლიდერებმა მოწოდება გამოუშვეს ინგლისის საქონლის საყოველთაო ბოიკოტის შესახებ. კოლკუტაში საიმონის კომისიის მოსვლის დღეს ნაციონალისტური ორგანიზაციები მასიურ დემონსტრაციებს აწყობენ (ადს).

ლიბერალური პარტიის

შესწორება უარყოფილია

ლონდონი, 14 თებერვალი. თემთა პალატამ 306 ხმის უმეტესობით. წინააღმდეგ 140 ხმისა უარჰყო მეფის სეფე-სიტყვის პასუხის შესწორება, რომელიც შეიტანა ლიბერალურმა პარტიამ.

ლიბერალური პარტიის შესწორება შეიცავს მთავრობის კრიტიკას, იმის გამო, რომ მან უმუშევრებს სამუშაო არ აღმოუჩინა ნაციონალური რესურსების განვითარებისა და საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზაციის საშუალებით (ადს).

ინგლისში გაფიცულია

6000 მემაღაროე

ლონდონი, 14 თებერვალი. მემაღაროები უიტბერნში და ხარტონში (დერგემი) გაიფიცნენ ნიშნად სოლიდარობისა ბოლდოვის მაღაროების მუშებისადმი, რომელთაც ადმინისტრაციამ ლოკაუტი გამოუცხადა. ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ თანახმაა განაახლოს მუშაობა მაღაროებში მხოლოდ იმ პირობით, თუ დადებულ იქნება ინდივიდუალური ხელშეკრულებანი. **დერგემში გაფიცულია და ლოკაუტი აქვს გამოცხადებული 6.000 მემაღაროეს (ადს).**

ვირტ-იმბუშის პოლემიკა

ბერლინი, 14 თებერვალი. მემაღაროეთა ქრისტიანულ კავშირის ბელადის — **იმბუშის** სასტიკმა გალაშქრებამ ცენტრის პარტიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ გამოიწვია ვირტის საპასუხო გამოსვლა.

ვირტი უსაყვედურებს იმბუშს იმას, რომ ის ცდილობს ცენტრის პარტია დაუქვემდებაროს პროფკავშირების ვიწრო ამოცანებს, და აღნიშნავს, რომ იმბუში იხრება ეკონომიური სოციალიზმისაკენ.

ვირტის აზრით, იმბუშის წინაშე უნდა დაისვას საკითხი — შეიძლება თუ არა მუშათა ინტერესების დაცვა, პროფკავშირების მთლიანობის გარეშე.

დაბოლოს ვირტი მიდის ასეთ დასკვნამდე: ცენტრის პარტიის უკანასკნელმა პლენუმმა დაგვანახვა, რომ პარტიის სოციალისტური ნაწილი ცდილობს პარტიის შემაკავშირებელი პოლიტიკური და სხვა ძაფების გაწყვეტას. საეჭვოა, რომ დიდხანს გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა. (ადს)

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის კოალიციურ მთავრობას დაშლა მოელის

ბერლინი, 15 თებერვალი. მმართველი პარტიების საფრაქციათაშორისო კომიტეტმა აღნიშნა, რომ მოლაპარაკება სასკოლო კანონის საკითხის კომპრომისული მოწესრიგების შესახებ უნაყოფო გამოდგა. შექმნილი მდგომარეობის პოლიტიკური შედეგები მოლაპარაკების საგნადაა გადაქცეული მთავრობის წევრთა და მმართველი პარტიების ლიდერებს შორის.

ბერლინი, 15 თებერვალი. გამოქვეყნდა ერთი ცნობა, საიდანაც სჩანს, რომ მთავრობის კრიზისს გადამწყვეტი მომენტი დაუდგა. ოფიციოზურ ცნობაში ნათქვამია, რომ სასკოლო კანონის საკითხის შესახებ მმართველი პარტიების საფრაქციათაშორისო კომიტეტის დადგენილებას იგი მიიღებს 15 თებერვალს. შემდეგ ნათქვამია, რომ კანცლერმა მარქსმა მოხსენება წარუდგინა ჰინდენბურგს შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

ცნობა, რომელიც გამოაქვეყნა ცენტრის პარტიამ, მდგომარეობას ისევ სკეპტიკურად უყურებს. თუ სასკოლო კანონის საკითხის გარშემო შეთანხმება მოუხერხებელი იქნება ნათქვამია ცნობაში—მაშინ კოალიცია დაშლილად ჩაითვლება. ამ შემთხვევაში აუცილებელი იქნება ახალი არჩევნების დანიშვნა მოკლე ხანში (ადს).

სკანდალი რუმინიის პარლამენტში

ვენა, 15 თებერვალი. სამშაბათს რუმინიის პარლამენტში კვლავ დიდი შეტაკება მოხდა მთავრობის პარტიასა (ლიბერალები) და ოპოზიციის შორის. კონფლიქტის საბაბად შეიქნა 30 სხდომიდან გამორიცხვა ნაციონალურ გლეხთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერის—ვაიდა-ვოევოდასი პარლამენტის 10 თებერვლის სხდომაზე. როდესაც პარლამენტმა დაადასტურა დადგენილება ვაიდა-ვოევოდის გამორიცხვის შესახებ, ნაციონალურ-გლეხთა პარტიის დეპუტატებმა დაამტვრიეს ყუთი, რომელშიაც აგროვებენ ბარათებს ფარული ხმის მიცემის დროს და მიიწიეს ლიბერალების სკამებისა და მთავრობის ლოჟისაკენ. სხდომა დაიხურა წარმოუდგენელ ხმაურობის დროს. ნაციონალურ-გლეხთა პარტიამ დაადგინა ბოიკოტი გამოუცხადოს პარლამენტს ვაიდა-ვოევოდის გამორიცხვის ვადის გასვლამდე.

წითელფრონტელები დღესასწაულობენ წითელი ჯარის ათი წლისთავს

ბერლინი, 15 თებერვალი. წითელი ჯარის არსებობის ათი წლის თავთან დაკავშირებით, წითელფრონტელების კავშირის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებში ჩატარდა საღამოები მოხსენებებით წითელი ჯარის მოქმედებისა და წითელფრონტელების კავშირის შესახებ.

ფორდი საბჭოთა კავშირის ცნობის მომხრეა

ლონდონი, 15 თებერვალი. ამერიკის ერთ-ერთმა სააგენტომ გამოაქვეყნა ფორდთან საუბარი. ფორდი მოითხოვს საბჭოთა კავშირის ცნობას და წინასწარმეტყველებს, რომ საბჭოთა კავშირი შეიქმნება ერთი უძლიერესი ბაზარი მსოფლიოში.

დაპატიმრებანი სამხრეთ-სლავიაში

ვენა, 14 თებერვალი. სამხრეთ სლავიიდან მიღებული ცნობით, ოსიეკში (სლოვენია) კომუნისტურ პროპაგანდისათვის დააპატიმრეს მუნიციპალიტეტის მრჩეველი, დამოუკიდებელ პროფკავშირთა გამოჩენილი მუშაკი, **დიური** (ადს).

სამხედრო წესები საბერძნეთში

ვენა, 15 თებერვალი. ათინიდან იტყობინებიან, რომ „საბერძნეთის მთავრობამ დაეყრდნო რა აჯანყების საშიშროებას, გამოაცხადა სამხედრო წესები". მიღებულია უსასტიკესი პოლიციური ღონისძიებები. კუნძულ კრიტზე, სადაც რევოლიუციონური მოძრაობა განსაკუთრებით ვითარდება, გაიგზავნა ახალი სამხედრო ძალები.

საარჩევნო ტერორი პოლონეთში

ვარშავა, 15 თებერვალი. კომპარტიის ვილნოს საოლქო კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ბრალს სდებს პოლიციას მუშურ-გლეხურ ბლოკის სიის რწმუნებულ შვარცბლატის მოკვლაში.

უბეტის საქმე

ნიუ-იორკი, 14 თებერვალი. ვაშინგტონიდან მიღებული ცნობით, შეერთებულ შტატების გარეშე საქმეთა მინისტრი არ აპირებს პასუხის გაცემას საბჭოთა მთავრობის პროტესტზე სერგეი უბეტისათვის კომპენსაციის მიცემის შესახებ (ადს).

საარჩევნო სიების გაუქმება

ვარშავა, 15 თებერვალი. საოლქო საარჩევნო კომისიამ ბელოსტოკში გააუქმა ბელორუსიის გრომადის მომხრეთა და აგრეთვე მუშურ-გლეხურ გაერთიანების საარჩევნო სიები.

როსტოვში მატარებლების მოძრაობა განახლდა

დონის-როსტოვი, 15 თებერვალი. სადგურის რაიონის ტერიტორია წყლისაგან განთავისუფლდა. ტემერნიკა კალაპოტში ჩადგა, თუმცა წყლის დონე რამდენადმე ნორმალურზე მეტია. სამგზავრო მატარებლების მოძრაობა სრულიად განახლდა 15 თებერვალს დილით (ადს).

ამხ. ლუკაშინის დანიშვნა

მოსკოვი, 15 თებერვალი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა განთავისუფლებულ იქნეს ამხ. კსიორი მშენებლობის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობიდან და ამ კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს ამხ. ლუკაშინი.

საბჭ. ნავთი გერმანიაში

ბერლინი, 14 თებერვალი. 9 თებერვალს ბერლინში შესდგა სააქციო საზოგადოება „დეროპის" (გერმანული საზოგადოება, რომელიც ანაწილებს რუსეთის ნავთის პროდუქტებს) დამფუძნებელი კრება. (ადს)

დემონსტრაციის გარეკვა

ნიუ-იორკი, 14 თებერვალი. ფილადელფიაში შესდგა უმუშევართა დემონსტრაცია, რომელიც მოაწყო ამერიკის კომპარტიამ. პოლიციამ გარეკა დემონსტრაცია და დააპატიმრა 12 მონაწილე. (ადს)

სროლა პოლონეთ ლიტვის სადემარკაციო ხაზზე

კოვნო, 14 თებერვალი. პოლონეთ-ლიტვის სადემარკაციო ხაზზე სროლა აუტეხეს ერთმანეთს პოლონეთისა და ლიტვის სანაპირო ჯარისკაცებმა. მიზეზი ისაა, რომ პოლონეთის მიერ დაჭერილი ლიტვის ტერიტორიის ორი მცხოვრები და ხუთი პოლონელი ჯარისკაცი გადავიდნენ სადემარკაციო ხაზზე, ვითომდა, იმ განზრახვით, რომ გადაეტანათ ლიტვის ტერიტორიაზე მოჭრილი რამდენიმე ხე. (ადს).

წყალდიდობა

არტემოვსკი, 15 თებერვალი. თოვლის სწრაფი დნობის გამო არტემოვსკის ოლქის მთელ რიგ რაიონებში დაიწყო წყალდიდობა. წყალდიდობა ძლიერია კრამატორის რაიონში, სადაც მდინარე ტორეცმა დიდ მანძილზე გადალახა ნაპირები. დღეს 12 საათზე წყლის დონემ მდინარეში აიწია 375 სანტიმეტრამდე. წყლის დონის კიდევ აწევა საფრთხეს უმზადებს კრამატორის ლითონის ქარხანას. კონსტანტინოვკაში წყალი შეიჭრა მდ. ტორეცის ნაპირად მდებარე ლითონის ქარხნებში და რამდენიმე სახლში. მუშაობა ქარხანაში შეწყვეტილია.

მარიუპოლი, 15 თებერვალი. მდ. კალმიუსმა წალეკა მარიუპოლის დაბლობი ნაწილი. სასწრაფოდ ეწყობა მცხოვრებთათვის დახმარების აღმოჩენის საქმე.

წყალდიდობა დონის როსტოვში

დონის როსტოვი, 15 თებერვალი. 14 თებერვალს, ღამე კოკისპირული წვიმის გამო ძალიან ადიდდა მდინარე ტემერნიკა. დილის 5 საათზე რკინის გზის სადგურის რაიონი დაფარა წყალმა, რომლის დონე ზოგიერთ ქუჩაზე ერთ მეტრს აღწევდა. წყალმა აავსო ათზე მეტი დაწესებულება, რამდენიმე ქარხანა და ფაბრიკა, მათ შორის ამხ. კალინინის სახელობის ქაღალდის ფაბრიკა, სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის სადგური როსტოვი და ნაწილობრივ ჩრდილოეთ-კავკასიის რკინის გზის სადგური. სამგზავრო მატარებლების გასვლა სადგურ როსტოვიდან შეჩერებულია. მოსული მატარებლები ჩერდება სადგურ ნარიჩნაიაზე. მოსახლეობა ნავებით გადაჰყავთ ლენგოროდოკში და წყლით გავსებულ ქარხნებში. წყალდიდობასთან საბრძოლველად მოხდა 200 მუშის მობილიზაცია. ამფეთქებელი რაზმები მთელ ღამეს მუშაობდნენ ტემერნიკისა და დონის ყინულის ამოფეთქებლად.

14 თებერვალს, დღისით წყალმა რამდენადმე იკლო, თუმცა სადგურის რაიონის ქარხნები და დაწესებულებანი ისევ წყლითაა დაფარული. შესდგა საგანგებო სამეული წყალდიდობასთან საბრძოლველად. სპეციალისტების აზრით, წყალდიდობა უმთავრესად გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ტემერნიკის კალაპოტი არ გაწმენდილა (ადს).

ამხ. მიხა ცხაკაიას დეპეშა

„ხორურდაინ ჰაიასტანის" რედაქციას

ვინაიდან საშუალება არა მაქვს სათანადო წერილით გავაშუქო საბჭოთა ყოველდღიური სომხური გაზეთის ხელმძღვანელი როლი და მნიშვნელობა ახლო აღმოსავლეთის ავანპოსტზე; ვუგზავნი მხურვალე სალამს და გულითად სურვილებს თავისი მშობლიური კომუნისტური გაზეთის მკითხველებს—მუშებსა და გლეხებს, მის ასოთამწყობებს, კორექტორებს, თანამშრომლებს, რედაქტორებს და სხვა ხელმძღვანელებს, ვისურვებ ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელთა ორგანიზაციულ და იდეურ შემჭიდროებას წარმოების, მრეწველობის და მიწათმოქმედების ინდუსტრიალიზაციისა და რაციონალიზაციის საფუძველზე და მით მე-2000 ნომრის შემდეგ სოციალიზმის მშენებლობის კიდევ უფრო მეტად გაძლიერებას წითელ ჰაიასტანში, რომელიც ძმურადაა დაკავშირებული ამიერკავკასიის და მთელი ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირის ყველა ერებთან.

გაუმარჯოს „ხორურდაინ ჰაიასტანს"! უფრო მაღლა და მაღლა შეურყეველი და შეუცვლელი ლენინიზმის—რევოლიუციონური მარქსიზმის—კომუნიზმის მუდამ წითელი დროშა!

ძირს დაშნაკებთან, მენშევიკებთან და მუსავატელებთან ერთად ახალი მენშევიკები — ტროცკისტები!

მიხა ცხაკაია.

სექციათა ბიუროების კონფერენცია

მეორე დღე

კამათი სექციათა მუშაობის გარშემო

სექციათა ბიუროების კონფერენციის მეორე სხდომაზე გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა ამხ. გლადოვსკის და სექციათა წარმომადგენლების მოხსენებათა გარშემო. ორატორები უმთავრესად ეხებოდნენ სექციის წევრთა და მიმაგრებულ აქტივის მუშაობის საკითხებს.

ამხ. ადამია აღნიშნავს, რომ შეუძლებელი ხდება სექციების მუშაობის ნაყოფიერების გამორკვევა იმის გამო, რომ არ არსებობს აღრიცხვა იმისა, თუ როგორ შედეგებს იძლევა სექციების მიერ გამოტანილი დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება.

ამხ. იაშვილი ეხება ამ საკითხს და საჭიროდ სცნობს შემოღებული იქნეს კომისიების და წევრების მიერ ჩატარებულ მუშაობის რეალური შედეგების აღრიცხვა. იგივე ორატორი მოითხოვს, რომ მეტი ყურადღებით მოეკიდნენ ამა თუ იმ წარმოება-დაწესებულებაზე მიმაგრებულ აქტივს და მხედველობაში მიიღონ მის მიერ გამოტანილი დასკვნები; წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭოს წევრს ეკარგება ფასი და მნიშვნელობა თავის ამომრჩევლების თვალში. ამხ. იაშვილი საჭიროდ სცნობს აგრეთვე გარკვევით ჩამოყალიბდეს მიმაგრებულ წევრის ფუნქციები.

ამხ. ნ. ქიქოძე აღნიშნავს რა განათლების სექციის წარმატებით მუშაობას უკანასკნელ ხანებში—ამბობს, რომ აქტივის მუშაობამ თავის დროზე ნაყოფი ვერ გამოიღო იმიტომ, რომ მათ არ იცოდნენ ვისთვის მიემართათ და რა ეკეთებინათ. მუშაობა თვით სექციის წევრებს შორის ვერ არის წესიერად განაწილებული. ზოგი ქარბად არიან დატვირთული საქმეებით, ხოლო ზოგი კი სავსებით თავისუფალია ყოველგვარი სამუშაოებიდან.

ამხ. მგელაძეც აღნიშნავს, რომ აქტივის არჩევის მიზანი ჯერ-ჯერობით მიღწეული არ არის. მათ მიერ ამა თუ იმ წარმოების თუ დაწესებულების შესახებ გამოტანილი დასკვნები და ამ დასკვნების მიხედვით სექციის მიერ მიღებული დადგენილება ხშირად შედეგებს არ იძლევა, რაც ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს იმ წარმოება-დაწესებულების მუშებზე, რომელზედაც სექციის წევრია მიმაგრებული.

ამხ. ახალბედაშვილი აღნიშნავს, რომ სექციების მუშაობა არ არის შეთანხმებული. ისეთი საკითხები კი, რომელნიც მოითხოვენ ყველა სექციების გაერთიანებულ ღონისძიებას და საერთო დამუშავებას—მრავალია. ასეთი საერთო ხასიათის საკითხების შესასწავლად ორატორს საჭიროდ მიაჩნია მოეწყოს სექციათა საერთო კომისიები.

ამხ. კოზლოვსკი მიუთითებს, რომ სექცია ამომრჩეველთა მასასთან დაახლოებას შესძლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავის მუშაობის დღის წესრიგში დასვამს რეალურ-პრაქტიკულ საკითხებს და თავის მიერ მიღებულ დადგენილებებს ნამდვილად გაატარებს ცხოვრებაში. ამისთვის კი საჭიროა, რომ სექციის მუშაობას მიეცეს გეგმიანი ხასიათი. ბიურო წინასწარ უნდა ამუშავებდეს სექციაში გასარჩევ პრაქტიკული საკითხების გეგმას და მას განსახილველად უდგენდეს თვით სექციას. სექციის წევრების არჩევას სხვადასხვა კომისიებში ორატორის აზრით, უნდა ქონდეს არა შემთხვევითი, არამედ გეგმიანი ხასიათი. ორატორს საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე შემოღებულ იქნეს სხვადასხვა ქალაქის საბჭოებისა და სექციების გამოცდილების გაცვლა-გამოცვლა ერთმანეთს შორის.

ამხ. ლაშქარაშვილს, წინააღმდეგ გლადოვსკის აზრისა, მიზანშეწონილად მიაჩნია განყოფილების გამგეთა მოხსენებების დასმა სექციის სხდომაზე, მაგრამ ამავე დროს იგი საჭიროდ სცნობს სექციის წევრთაგან შემდგარ კომისიების მუშაობას განყოფილების გამგის მიერ მოხსენებულ ფაქტების შესამოწმებლად და კონტროლის გასაწევად.

ამხ. ხიხარულიძე აღნიშნავს, რომ ზოგიერთმა მიმაგრებულმა თავისი მოვალეობა ისე გაიგო, როგორც განყოფილების ადმინისტრატიულ ფუნქციებში შეჭრა, რასაც ყურადღება უნდა მიაქციოს სექციების ბიურომ და წინდაწინ გაითვალისწინოს მიმაგრებულ წევრების მათი დანიშნულება.

ამხ. ს. დოლიძე აცხადებს, რომ გლადოვსკის არ მიუღია სწორი ცნობები თბილისის საბჭოს სექციების მუშაობის შესახებ და ამიტომ სექციების დახასიათებაც სავსებით სწორი ვერ იყო. აღნიშნავს რა სექციების მიღწევებს, ორატორი ჩამოთვლის პრაქტიკულ ხასიათის ამოცანებს, რომელთაც უახლოეს ხანში სექციებმა უნდა მიაქციონ ყურადღება.

ამხ. აკოპოვის სიტყვა

ამხ. აკოპოვი დასკვნებს უკეთებს ორატორთა მიერ გამოთქმულ შენიშვნებს და ამბობს, რომ კონფერენცია მოკლებული იყო საკითხების კონკრეტულ შინაარსს, რაც აიხსნება გამოუცდელობით და ტრადიციის უქონლობით. შემდეგში ბიუროების კონფერენცია დასვამს უფრო პრაქტიკული ხასიათის საკითხებს, როგორიცაა მაგ. მიმაგრებულთა მუშაობა, სადეპუტატო მაგიდების საქმიანობა და სხვა. შემდეგ ორატორი გადადის სექციების მუშაობის პრაქტიკულ ამოცანებზე და ამბობს, რომ სექციები უნდა ერიდონ ერთი და იმავე პირის დატვირთვას სამუშაოებით და შემოიღონ წესით შრომის თანაბარი განაწილება წევრთა შორის. საბჭოს ამა თუ იმ წევრის მიმაგრება ძალდატანებით რომელიმე სექციაზე, მიუღებელია. თვით სექციამ თავისი აქტიური მუშაობით, პრაქტიკული საკითხების შერჩევით უნდა მიიზიდოს და დააინტერესოს წევრი. თუ სექცია შესძლებს ყოველდღიური საჭიროებითი საკითხების შერჩევას, წევრები თავის-თავად, ძალდაუტანებლად ჩაებმებიან მის მუშაობაში. სხვადასხვა განყოფილებების და დაწესებულებების ხელმძღვანელებს მართებთ უფრო მეტი ყურადღებით მოეკიდონ მიმაგრებულ წევრების მუშაობას. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებათა ხელმძღვანელების მხრით ადგილი აქვს მიმაგრებულ წევრებისადმი გულგრილობას და უყურადღებობას, წევრის მოვალეობაა გული არ გაიტეხოს და ხელი არ აიღოს თავის მოვალეობაზე. სექციის, აღმასკომის პრეზიდიუმისა და თვით საბჭოს დახმარებით მან უნდა შესძლოს იმ ღონისძიებების გატარება ამა თუ იმ დაწესებულების მიმართ, რომელიც მას საჭიროდ მიაჩნია. პარალელიზმი სხვადასხვა სექციების კომისიების მუშაობის შორის, ამხ. აკოპოვის დასკვნით, დღევანდელ პირობებში საშიში არ არის. პირიქით, ზოგიერთ შემთხვევაში ამ პარალელიზმს სარგებლობის მოტანა შეუძლია.

შემდეგ ორატორი ეხება ბიუროების მუშაობას და ამბობს, რომ მათ არა აქვთ მუშაობის საერთო გეგმა განსაზღვრული პერიოდისთვის. სექციის მუშაობა არ უნდა იყოს დამოკიდებული მისი ხელმძღვანელი—თავმჯდომარის ავკარგიანობაზე. ბიუროებმა უნდა შექმნან მუშაობის ისეთი სისტემა, რომლის დროსაც ყოველი წევრი ინიციატივის უნარის მქონე და აქტიური იქნება. ამხ. აკოპოვის აზრით ბოლო უნდა მოეღოს აგრეთვე სექციის მუშაობის კარჩაკეტილობას. საჭიროა საერთო ხასიათის საკითხების განსახილველად იკრიბებოდეს სექციების პლენუმი, თვით სექციების მოხსენებები უნდა კეთდებოდეს აღმასკომის პრეზიდიუმში, საბჭოს პლენუმზე და წარმოებებში, სამ თვეში ერთხელ იმართებოდეს სექციათა ბიუროების კონფერენცია და სხვა.

გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლის მიხედვით რეზოლიუციის გამოსატანად კონფერენციამ აირჩია კომისია, რომელსაც დაევალა აგრეთვე სექციათა შორის გამართულ კონკურსის ხელმძღვანელობა.

როგორ მიმდინარეობს სესხის რეალიზაცია

საუბარი ამხ. საფაროვთან

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ, ა. კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის სავალუტო განყოფილების გამგე ამხ. საფაროვმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

სესხის რეალიზაციის მოსამზადებელი მუშაობა მთელ ამიერ-კავკასიაში დამთავრებულია, გარდა მთიან ადგილებისა (საქართველოში და სომხეთში), სადაც დიდი თოვლის და ცუდი გზების გამო სესხის რეალიზაცია დაიწყება გაზაფხულზე.

ყველა მნიშვნელოვან ადგილებში და პუნქტებში მოწყობილია რეალიზაციის დამხმარე კომისიები და ინსტრუქტორთა კადრები. რეალიზაციას აწარმოებენ რწმუნებულები და კონტრაგენტები, რომელთა მუშაობამ, მიღებული ცნობების თანახმად, უკვე საგრძნობი ნაყოფი გამოიღო.

ადგილებიდან მიღებულია ცნობები, რომ 10 თებერვლისათვის ხელის მოწერით გასაღებულია ამიერ-კავკასიაში 1.000.000 მანეთის ობლიგაციები.

ეს თანხა ბევრად უფრო დიდი იქნებოდა, რომ კამპანიის დაწყებისას ხელთ გვქონოდა ობლიგაციების მეტი რაოდენობა. ობლიგაციების უქონლობის გამო, ბევრ ადგილას იძულებულნი შეიქნენ დროებით შეეჩერებინათ სესხზე ხელის მოწერა.

მოსკოვიდან მიღებული გვაქვს ცნობა ტელეგრაფით, რომ ამ დღეებში მოგვაწვდიან ობლიგაციების საკმაო რაოდენობას.

თებერვლის დამლევისათვის დაიწყება სესხზე რეალიზაციის ინტენსიური პერიოდი და გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ 1 მარტისათვის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში სესხი გასაღებული იქნება ამიერ-კავკასიისათვის მიკუთვნებული რაოდენობის 60 პროც. გადამეტებით.

როგორც მიღებულ წერილობითი ცნობები, აგრეთვე ადგილებიდან ჩამოსული პასუხისმგებელი ამხანაგები ერთხმად ადასტურებენ გლეხობის დიდ ინტერესს სესხისადმი.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ კამპანია, რომელიც განსაზღვრულია სამი თვის ვადით, თავიდანვე ფართოდ გაიშალა მთელ ამიერ-კავკასიაში.

ეს გარემოება იმის თავდებია, რომ ამიერკავკასიის გლეხობა მხარში ამოუდგება ქალაქის მუშებს და თავის მცირე მონაგარით ზურგს გაუმაგრებს ჩვენი სოფლის ინდუსტრიალიზაციის საქმეს.

თბილისის მაზრაში

თბილისის აღმასკომთან არსებულ საგლეხო სესხის გავრცელებისათვის ხელის შემწყობ კომისიის ცნობით, სესხის რეალიზაციის კამპანია თბილისის მაზრაში წარმატებით მიმდინარეობს. თემებში ეწყობა გლეხთა კრებები, რომლებზედაც შუქდება სესხის მნიშვნელობა და სწარმოებს სესხზე ხელის მოწერა.

ზოგ თემებში სესხზე ხელის მოწერა სწარმოებს კოლექტიურად. გლეხები დიდი ხალისით იძენენ სესხის ობლიგაციებს. სესხის კამპანიაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ კომკავშირლები, ადგილობრივ მომუშავე ინტელიგენტები და განსაკუთრებით გლეხი-ქალები.

თითქმის ყველა თემებში იმართება გლეხქალთა კრებები, რომლებზედაც გამოაქვთ დადგენილებები სესხის ობლიგაციების ფართოდ გავრცელების შესახებ.

ზოგიერთ თემებში (მაგალითად იოგის, ძეგვიშის, საგარეჯოს, ილბულაის და ბოგვის თემებში), მიღებული სესხის ობლიგაციები სავსებით გასაღებული იქნა კამპანიის პირველ დღეებშივე. გლეხები მოითხოვენ სესხის ობლიგაციების დამატებით გაგზავნას.

სესხის განაღდება უზრუნველყოფილია

(წერილი სენაკიდან)

საგლეხო მეურნეობის განმტკიცების სესხის მასალები მაზრაში საერთოდ დაგვიანებით მივიღეთ, მაგრამ მიღებულ იქნა სასწრაფო ზომები მისი გავრცელებისათვის სოფლად გლეხობაში და ქალაქად მუშა-მოსამსახურეებში.

ამ სესხის განაღდებისათვის შექმნილმა სამაზრო კომისიამ შეიმუშავა სათანადო გეგმა სესხის მთლიანად გასაღებისათვის. თემ-აღმასკომებს დაეგზავნა საჭირო ინსტრუქცია და მიეცა მითითებანი. ამუშავებულ იქნა სამომხმარებლო და საკრედიტო კოოპერაცია. პროფკავშირებმა თავიანთ ხაზით დაიწყეს სათანადო მუშაობა.

თემებში მიმაგრებულ იქნენ პასუხისმგებელი ამხანაგები საჭირო აგიტაციის საწარმოებლად და მოსახლეობის ასი პროცენტით ჩასაბმელად სესხის გავრცელების საქმეში.

სულ მაზრაში უნდა გავრცელდეს 40.000 მანეთის ობლიგაცია. აქედან ერთი მესამედის დროებითი მოწმობები უკვე მიღებულია და დანაწილებული თემებს შორის. საერთოდ სესხის რეალიზაცია უფრო ჩქარი ტემპით იწარმოებდა, რომ ცუდი ამინდები არ უშლიდეს ხელს აგიტკამპანიის წარმოებას.

აქედანვე სჩანს, რომ გლეხობა და მუშა-მოსამსახურეები მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ სესხის გავრცელების საქმეში და ჩვენს მაზრაში არ დარჩება არც ერთი გლეხი, არც ერთი მუშა-მოსამსახურე უობლიგაციოთ.

ბ. უჩანეიშვილი.

გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს

საგარეჯო, გარე-კახეთი.

საგლეხო სესხის ობლიგაციების გასასაღებლად თემკომის მდივანი ამხ. გ. გოგოლაშვილი იღებს ენერგიულ ზომებს. 2-დან 6 თებერვლამდე მან გააკეთა რამდენიმე მოხსენება სესხის მნიშვნელობაზე. ქოხ-სამკითხველოში მოწვეული იქნა დელეგატ-ქალების კრება, რომლებმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ობლიგაციების გასაღების საქმეში. მოწვეულ იქნა აგრეთვე თემაღმასკომის შენობაში უპარტიო გლეხთა აქტივის კრება. გამოყოფილია 36 კაცი ობლიგაციების გასასაღებლად.

ერთი სიტყვით ჩვენი თემის გლეხობა მხურვალე მონაწილეობას იღებს ობლიგაციების გასაღებაში.

საჭიროა სხვა თემებმაც მიბაძოს საგარეჯოს მაგალითს.

გ. თამაზაშვილი.

პროფ. ნ. კახიანის გარდაცვალება



გუშინ, საღამოს 9 ს. და 20 წუთზე, გარდაიცვალა პროფ. ნიკოლოზ სავლეს ძე კახიანი. განსვენებული ავად გახდა 10 თებერვალს, უნივერსიტეტის კლინიკაში რთული ოპერაციის გაკეთების შემდეგ დაბრუნდა სახლში და შემდეგ აღარ ამდგარა. ავადმყოფობის პირველ დღეებში გრიპის ნიშნები იყო, მაგრამ კვირას გამოირკვა, რომ მარცხენა ფილტვში დაწყებულია ანთებითი პროცესი.

განსვენებულს მკურნალობდნენ პროფ. ალადაშვილი, ვირსალაძე, მიქელაძე და ექ. კ. ლორთქიფანიძე, კონიაშვილი, რუსიშვილი და სხ.

სიკვდილის დღეს ორგანიზმის საერთო დასუსტება დაიწყო დღის 2 საათიდან. დაუსუსტდა მაჯისცემა და გულის მუშაობა. ავადმყოფმა იგრძნო სიკვდილის მოახლოება და მოითხოვა მორფის შეშხაპუნება.

პროფ. კახიანის გარდაცვალების ამბავი სწრაფად მოედო მთელ ქალაქს. ცხედართან თავი მოიყარეს განსვენებულის მეგობრებმა, პროფესორებმა, ჯანმრთელობის დარგში მომუშავეებმა და ნათესავებმა.

მოკლე ბიოგრაფია

პროფ. ნ. ს. კახიანი დაიბადა სოფ. ბაღდათში (ქუთ. მაზრა), 1884 წელს. საშუალო განათლება მიიღო ქალაქ ქუთაისში, ხოლო შემდეგ გაემგზავრა ოდესაში, სადაც წარჩინებით დაასრულა უნივერსიტეტი 1910 წელს. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს უნივერსიტეტის პროფესორებმა ყურადღება მიაქციეს მის იშვიათ ნიჭს ღოსტაქრობაში და დანიშნეს უნივერსიტეტის ნორმალურ ანატომიის კათედრაზე სამუშაოთ.

უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ იგი დატოვებულ იქნა იმავე კათედრის პროფესორად. 1916 წელს პროფ. კახიანს იწვევენ ეკატერინოსლავის უნივერსიტეტის ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრაზე სამუშაოთ.

1919 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტთან საექიმო ფაკულტეტის გახსნის გამო, იგი მოემგზავრება საქართველოში და მუშაობს ფაკულტეტის ტოპოგრაფიულ ანატომიისა და ოპერატიულ ქირურგიის კათედრაზე. 1921 წელს მასვე მიანდეს ზოგადი ქირურგიის პროპედევტიულ ქიმიის კათედრის ხელმძღვანელობა.

განსვენებულს დღემდე გამოცემული აქვს 18 სხვადასხვა სახელწოდების სამეცნიერო ნაშრომი ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე.

თათბირი სოფლად მუშაობის შესახებ

ამხ. ვარძიელის მოხსენება

14 თებერვლის საღამოს სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ვარძიელმა. მოხსენების თემა იყო: სასამართლოები და პროკურატურა ამიერკავკასიის სოფელში.

აღნიშნა რა, რომ პარტიის მიერ სოფლად წარმოებულ პოლიტიკის საკითხების განხილვის დროს არ შეიძლება არ შეეხო საბჭოთა პროკურატურას და სასამართლოს, ამხ. ვარძიელმა განაცხადა, რომ ქალაქებში მუშათა მასების და სოფლად გლეხობის სოციალურ-ეკონომიურ საჭიროებათა დაკმაყოფილების, ღარიბ და საშუალო გლეხობის კავშირის განმტკიცების და კულაკის იზოლიაციის საკითხებში ქვედა საფეხურის სამოსამართლო აპარატი და პროკურატურა მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მაგალითად ბრძოლა მთიურ გარიგებებთან, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი ჩვენს სოფლებში, აგრეთვე იმ გაფლანგველებთან, გაქურდვასთან, ბიუროკრატიზმთან, საქმის გაჭიანურებასთან და ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის დარგში, რომლებიც წარმოიშობა ყოფა-ცხოვრების პირობათა ნიადაგზე.

ჩვენი სასამართლოს მუშაობის სისუსტის ძირითადი მიზეზია სახალხო სასამართლოთა ქსელის ნაკლებობა. საქართველოში სახალხო სასამართლოს ერთ უბანზე მოდის 28-დან 30 ათასამდე მოსახლეობა, ხშირად 2—3 სახალხო სასამართლოს ჰყავს ერთი სასამართლოს აღმასრულებელი. სომხეთში უკანასკნელ წელში მდგომარეობა რამოდენიმედ გამოკეთდა. 1927 წელში ერთ სამოსამართლო უბანზე მოდიოდა 29.000 მოსახლეობა, ეხლა კი ერთ უბანზე მოდის—20.000. აზერბეიჯანში ერთ სასამართლო უბანზე მოდის 28-დან — 29 ათასამდე მოსახლეობა, ზოგან კი 35 ათასამდეც. ამას გარდა სახალხო სასამართლოების მუშაკებს აქვთ სუსტი კვალიფიკაცია.

სახალხო სასამართლოს მატერიალური მდგომარეობა ცუდია. ჯამაგირი რიგდება ხშირად რამოდენიმე თვის დაგვიანებით. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, შესაძლებელია მექრთამეობა და ნათლიმამობა.

სახალხო სასამართლოს ნორმალური მუშაობა დამოკიდებულია გამოძიების ორგანოების—მილიციის მუშაობის სწორ დაყენებაზე. მაგრამ მილიციის მუშაკები ხშირად ისეთ უვიც გამოკვლევებს ადგენენ, რომ საჭირო ხდება მათი უკან დაბრუნება შესწორებისა და დამატებებისათვის.

არ შეიძლება ითქვას, რომ პროკურატურა სათანადო სიმაღლეზე იდგეს. პროკურორებად ჩვენ ვნიშნავთ არასაკმაოდ მომზადებულ და კვალიფიციურ ხალხს. თავისი კვალიფიკაციით, პოლიტიკური და კულტურული დონით პროკურორი არ უნდა ჩამორჩებოდეს სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეს.

რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში და უკრაინაში თვითეულ მაზრაში ინიშნება ორ-ორი პროკურორი, ჩვენში კი თითო. ამიტომ პროკურორის უმთავრესი ყურადღება მიმართულია სამოსამართლო-საგამომძიებლო ზედამხედველობის საკითხებზე, რის გამოც თვალყურის დევნება ადგილობრივ ორგანოთა დადგენილებების კანონიერებაზე ორივე ფეხით მოიკოჭლებს.

რაც შეეხება ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლას, რომელიც წარმოადგენს უმთავრეს ამოცანას, ამჟამად სწარმოებს მუშაობა სამოსამართლო პროცესების განსამარტივებლად, სისხლის სამართლის და სამოქალაქო პროცესები მნიშვნელოვნად მარტივდება, რამაც უნდა შეამციროს სასამართლოებში საქმის გაჭიანურება და ბიუროკრატიზმი.

ჩვენი პროკურატურა სუსტად არის დაკავშირებული მასებთან. მაშინ, როდესაც რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში ერთ-ერთი სამაზრო პროკურორი მუდამ მოგზაურობს მაზრაში და ამოწმებს, თუ რამდენად ტარდება რევოლიუციონური კანონიერება, ჩვენ იძულებული ვართ ეს მუშაობა დავაკისროთ ერთ პროკურორს. ამ ნაკლის შევსება ჩვენ შეგვიძლია, თუ ამ საქმეში მივიზიდავთ მშრომელთა ფართო მასებს. პარტიის რესპუბლიკანურმა და სამაზრო კომიტეტებმა უახლოეს დროში უნდა შეიტანონ სოფლად მუშაობის გეგმაში ადგილობრივ ქვედა საფეხურის სასამართლო დაწესებულებათა გამოკვლევა.

ჩვენი სასამართლო მუშაკების სოციალური და პარტიული შემადგენლობა ასეთია: საქართველოში სახალხო მოსამართლეთა 87 პროცენტი—კომუნისტია, სომხეთში 28 სახალხო მოსამართლიდან 12 კომუნისტია.

სახალხო მოსამართლეთა სოციალური შემადგენლობა კი: საქართველოში—მუშები 48 პროცენტი, გლეხები 16 პროცენტი, ინტელიგენტები 36 პროცენტი. რაც შეეხება აზერბეიჯანს, აქ მუშები 13 ნახ. პროცენტია, გლეხები 31,6 პროცენტი და დანარჩენი—54 პროცენტი. პარტიულები—40 პროცენტი.

უნდა აღინიშნოს სახალხო მოსამართლეთა შემადგენლობის ცვალებადობა. საქართველოში, სომხეთში და აზერბეიჯანში ერთ სახალხო სასამართლოში თვიურად შემოდის დაახლოებით 130—135 საქმე, აქედან 10—15 საქმე განუხილავი რჩება და გადადის შემდეგ თვეში. ამნაირად სახალხო სასამართლოებში გროვდება განუხილავი საქმეები. სასამართლოების განტვირთვას დაგროვილ საქმეებიდან ხელს უწყობს ხშირი ამნისტიები. ამას გარდა, სპეციალური სამაზრო კომისიების საშუალებით ჩვენ მექანიკურად ვსპობთ მცირე მნიშვნელობის მქონე საქმეებს.

რაც შეეხება ადვოკატურას, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენი აპარატის სისტემაში, მარტო თბილისში გვყავს დამცველთა კოლეგიის 350 წევრი, მთელ საქართველოში კი დაახლოებით 450 კაცი, 75 სახალხო სასამართლოზე.

კამათი ამხ. ვარძიელის მოხსენების გარშემო

ამხ. ვარძიელის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ლომშტოიანმა, აშრაფიანმა, რუბენმა, ხანფერიანმა, სარუმოვმა; ალი ლიევმა, ესაიანმა, ტაგიევმა და ხუდოიანმა.

კამათში აღნიშნავდენ რომ საჭიროა აღებულ იქნეს კურსი მოსამართლეზე, რომელიც დაკავშირებულია მასებთან. ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეში საჭიროა საქმისწარმოების დაჩქარება და გამარტივება. სისხლის სამართლის პროცესუალური კოდექსი საჭიროა გადათვალიერებულ იქნეს იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება უფრო დაუახლოვდეს თანამედროვეობის მოთხოვნილებებს. ვინაიდან სასამართლოები სავსეა შრომის საკითხებზე აღძრულ საქმეებით, სამეურნეო ორგანოებმა უნდა აიღონ კურსი მუშა-მოსამსახურეებთან კონფლიქტების შემცირებაზე.

ადგილებზედ მომუშავენი აღნიშნავდენ აგრეთვე, რომ ბევრი მოსამართლეები სუსტად ერკვევიან საბჭოთა კანონმდებლობაში და ხშირად კანონის სიტყვა-სიტყვით გაგებით ქმნიან საქმის გაჭიანურებას და ბიუროკრატიზმს. საჭიროა დაარსებულ იქნეს მოსამართლეთა გადასამზადებელი კურსები ქალების მიზიდვით ამ კურსებზე. საქმის გაჭიანურების მოსპობის მიზნით საჭიროა სასამართლოს საქმეების წარმოების გამარტივება და კანონთა კოდექსის გადათვალიერება. კანონმდებლობის სუსტი პოპულარიზაციის გამო გლეხები ვერ ახერხებენ თავის უფლებების სასამართლოს წესით განხორციელებას იმ დროს, როცა კულაკებმა ისწავლეს საბჭოთა კანონმდებლობის გამოყენება თავის სასარგებლოდ. ამიტომ ერთერთი ძირითადი ამოცანაა ისეთ ბროშურების გამოცემა, რომლებშიაც პოპულიარული ენით განმარტებული იქნება საბჭოთა იუსტიციის ძირითადი პრობლემები, სასამართლოს საქმეთა წარმოება და კანონთა კოდექსი.

კამათში გამოსული ზოგიერთი ამხანაგები აღნიშნავდენ მაზრებში პროკურატურის მუშაკთა პერსონალურ შერჩევის გაუმჯობესების აუცილებლობას. დაწინაურებულ სახალხო მსაჯულთა მოსამართლეებათ მოსამზადებლისათვის საჭიროა გეგმიანი მუშაობის ჩატარება ამ დაწინაურებულებთან. არალეგალურ ვექილების საწინააღმდეგოთ მაზრებში უნდა შევქმნათ იურიდიული კონსულტაციები და სამოსამართლო დახმარების ბიუროები და აგრეთვე იურისკონსულტთა ინსტიტუტი სამაზრო აღმასკომებთან. მიუხედავად სათანადო ოფიციალურ კანონებისა, ამიერ-კავკასიის სოფელში აქამდის ადგილი აქვს ყოფა-ცხოვრების ზოგიერთ მხარეების გადმონაშთებს. საჭიროა ყურადღება მიექცეს მრავალცოლიანობის ფარულ ფორმებს, საჭიროა ბრძოლა საცოლეს გამოყიდვის წინააღმდეგ და სხვ.

ამხ. ვარძიელის საბოლოო სიტყვა

საბოლოო სიტყვაში ამხ. ვარძიელმა აღნიშნა, რომ კამათში გამოსულმა ორატორებმა მოგვცეს საყურადღებო მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩავატაროთ უახლოეს პოლიტიკურ ამოცანების დაკავშირება სასამართლოს ორგანოებთან. შეეხო რა ამხ. რუბენის მითითებას გლეხობას შორის კანონების პოპულიარიზაციის აუცილებლობის შესახებ, ამხ. ვარძიელმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკების იუსტიციის სახ. კომისარიატები უკვე შეუდგენ ამ მუშაობას.

შეეხო რა საკითხს პროკურატურის შესახებ, ამხ. ვარძიელი მუშაობის ამ დარგს ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად სთვლის. ის აღნიშნავს მუშკორთა დიდ როლს ადგილებზე რევოლიუციონურ კანონიერების გატარების საქმეში და აცხადებს, რომ საჭიროა პროკურატურის მუშაობის დაკავშირება მუშგლეხკორთა მოძრაობასთან.

ეხება რა ყოფა-ცხოვრების (ალიმენტების) საქმეს, ამხ. ვარძიელი საჭიროდ სცნობს მათი გარჩევის დაჩქარებას სასამართლოების მიერ. სასამართლოების მიერ საქმისადმი ფორმალურ და ბიუროკრატიულ მიდგომის დაძლევა, სისხლის სამართლის—პროცესუალურ კოდექსის გასწორება, სოფლად საბჭოთა კანონების ფართე პოპულარიზაციის პირობებში შესაძლებლობას მოგვცემს სრულად და წარმატებით გავატაროთ რევოლიუციონური კანონიერება სოფლად (ადს).

ქალთა შორის მომუშავე განყოფილებათა გამგეების თათბირი

გუშინ, 15 თებერვალს კომპარტიის (ბ) ცკას შენობაში გაიხსნა მუშა-გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყოფილებათა გამგეების თათბირი. სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცკას მ. გ. განყოფილების გამგე ამხ. გ. ჯაფარიძე. რეგლამენტის შემუშავებისა და დამტკიცების შემდეგ დილის სხდომაზე თათბირმა მიიღო შემდეგი დღის წესრიგი:

1) ახალქალაქის, ახალციხის და ქუთაისის სამაზრო კომ. ქალთა განყოფილებების ანგარიში. 2) 1927—28 წლის მოწვევის სადელეგატო კრებების მუშაობის შესახებ; 3) მკვიდრ მოსახლეობის და ეროვნულ-უმცირესობათა ქალთა ჩაბმა და დაწინაურება წარმოებაში; 4) ინტელიგენციასთან მუშაობის და ქალთა გათავისუფლების შესახებ; 5) ეროვნულ უმცირ. ქალთა შორის მუშაობა; 6) მოხსენება ბეჭდვითი სიტყვის შესახებ; 7) მოხსენება მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის შესახებ; 8) მოჯამაგირე და სეზონ. მომუშავე ქალთა შორის მუშაობის შესახებ.

თათბირმა საღამოს სხდომაზე მოისმინა ამხ. გ. ჯაფარიძის მოხსენება—1927—28 წლის მოწვევის სადელეგატო კრებების მუშაობის შესახებ.

წითელი არმიის არსებობის ათი წლის თავი*)

(თეზისები მომხსენებლებისათვის)

9. წითელი არმიის შევსების კლასობრივი ხასიათი, რომელიც პარტიის პროგრამითაა განსაზღვრული, გადაუხრელად იყო დაცული. ძირითადი კანონი სამხედრო სამსახურის შესახებ ამბობს: „საბჭოთა კავშირის იარაღით ხელში დაცვის საქმეს ანხორციელებენ მხოლოდ მშრომელები. არამშრომელ ელემენტებს ეკისრება სხვა სამხედრო ვალდებულებების შესრულება". წითელი არმიის რიგის შემადგენლობა შესდგება მუშებისა და გლეხებისაგან, რომლებიც არ ეწევიან სხვისი შრომის ექსპლოატაციას. არამშრომელი ელემენტი მოკლებულია საპატიო მოვალეობას—იარაღით ხელში დაიცვას მუშურ-გლეხურ ქვეყანა.

არმიის აღზრდა წარმოებს „სოციალისტური განათლების" საფუძველზე. ამ პრინციპზეა აგებული სკოლისა და სკოლის გარეშე მეცადინეობის მთელი შინაარსი. წითელ არმიაში არ არის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათის არც ერთი პროგრამა, არც ერთი პოლიტიკურ-განმანათლებელი ორგანიზაცია, რომელიც ძირითად მიზნად არ ისახავდეს ბოლშევიკურ, ლენინურ აღზრდას. 710 კლუბი, 5.891 ლენინის კუთხე, 1.494 ძირითადი და 8.052 მოძრავი ბიბლიოთეკა; 8.400.000 წიგნი, 6.677 კედლის გაზეთი, 73.344 სამხკორი, წითელი არმიის ბიბლიოთეკების 430.481 მკითხველი—ყოველივე ეს, თავისი მხრით, სოციალისტური განათლების დიდი კერაა. ასევე წითელი არმიის წესდებები, რომლებიც განსაზღვრავენ ყოფა-ცხოვრებასა და სწავლებას—დისციპლინარული, შინაგანი და საბრძოლო წესდებები, ტაქტიკის, ადმინისტრატიული და სხვა სახელმძღვანელოები,—ყველა ესენი მიზნად ისახავენ წითელი არმიის „კლასობრივ შემჭიდროებას" და „სოციალისტურ განათლებას".

პარტიულ ორგანიზაციებისა და კომკავშირის სწრაფი ზრდა (1925 წ.—53.000, 1927 წ.—130.000 კაცი) არმიაში წითელი არმიის სოციალისტური აღზრდის მაჩვენებელია.

დემობილიზაციაქმნილ წითელ არმიელების დიდი პროცენტი საბჭოთა, საზოგადოებრივ და კულტურულ ორგანიზაციების დაბალი საფეხურის აქტივში მოწმობს იმას, რომ წითელ არმიელი წითელ არმიიდან მიდის სოფელში როგორც საბჭოთა საზოგადოებრიობისა და კულტურის მოწინავე და პოლიტიკურად გათვითცნობიერებული გამავრცელებელი. 1927 წ. საბჭოთა არჩევნების დროს რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში, არასრული ცნობების მიხედვით, თემსაბჭოების თავმჯდომარეებად არჩეულ იქნა 66,7 პროც. დათხოვნილი წითელ არმიელები, სოფლის საბჭოების თავმჯდომარეებად—49,3 პროც., თემსაბჭოების წევრებად—49,0 პროც.

10. ბურჟუაზიულ სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, სადაც არმია გამოყოფილია მოსახლეობიდან და უპირდაპირდება მას, წითელი არმია მჭიდროდ არის დაკავშირებული მშრომელ მოსახლეობასთან.

ტერიტორიალური ნაწილები—მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განსაკუთრებით თვალსაჩინო, ცოცხალი განხორციელება—თამაშობენ კოლოსალურ როლს წითელი არმიის დაკავშირების საქმეში მშრომელ მოსახლეობასთან, პროლეტარიატის და ნახევრად პროლეტარიატის ორგანიზაციებთან.

შეკრებებს შუა წარმოებული მუშაობა—ტერიტორიალურ ნაწილების მომზადების ერთ-ერთი ფორმა—კავშირს აბამს სამხედრო ნაწილებს ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. სამხედრო მუშაობა შეკრებებს შორის უკავშირდება საერთო პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობას მუშათა კლუბში, ქოხ-სამკითხველოში. ამასთან ერთად ფართოდ გავრცელებულ შეფობას: კომკავშირის შეფობას ფლოტზე, პროფკავშირთა შეფობას, ქარხნების შეფობას სამხედრო ნაწილებზე, უმთავრესად ახალგაზრდა გლეხობისგან შემდგარ სამხედრო ნაწილების ექსკურსიებს ქარხნებში და ფაბრიკებში—ყოველივე ამას აქვს კოლოსალური მნიშვნელობა მუშათა კლასის გლეხობაზე ზეგავლენის საქმეში, ყოველივე ეს ემსახურება არმიის კავშირის განმტკიცებას პროლეტარიატთან.

საზოგადოებრივ ორგანიზაციების—რემედასის, თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების, ურწმუნოთა საზოგადოების და სხვ.—უდიდესი მუშაობა არმიაში უკავშირდება სამოქალაქო პროლეტარულ ორგანიზაციებს, ზრდის არმიას პროლეტარიატის იდეებისადმი ერთგულების პრინციპების მიხედვით, მშრომელთა მასებს კი ასწავლის თავის მუშურ-გლეხურ არმიისადმი ერთგულებას.

დახასრულ წითელ არმიელთა მუშაობა საბჭოებში, ფართო მონაწილეობა საარჩევნო და საანგარიშო კამპანიებში უდიდეს როლს თამაშობს წითელ არმიელთა მასის დაკავშირების საქმეში სახელმწიფო ხელისუფლებასთან, პროლეტარულ დიქტატურის ორგანოებთან.

11. საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-12 ყრილობის დირექტივები „წითელი არმიის აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების შესახებ საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის ძმობისა და სოლიდარობის იდეების ჩანერგვის მხრივ" და მითითება, რომ „მიღებულ იქნას პრაქტიკული ღონისძიებები ნაციონალურ სამხედრო ნაწილების მოსაწყობად, ყველა იმ ზომების დაცვით, რომლებიც საჭიროა რესპუბლიკების თავდაცვის უნარიანობის უზრუნველსაყოფად"—მტკიცედ ტარდება ცხოვრებაში.

ძირითად მიღწევას ის წარმოადგენს, რომ წითელი არმიის ყაზარმა მახლობელია ყველა ეროვნების წითელ არმიელებისათვის, მაშინ, როდესაც მეფის არმიის ყაზარმა უცხო და მტრული იყო არარუს ეროვნებებისათვის. ეს მიღწეულია, როგორც პოლიტიკურ აღზრდის მთელი სისტემის წყალობით, ისე ნაციონალურ ნაწილების ჩამოყალიბებით და ნაციონალურ განყოფილებათა შექმნით სამხედრო ნაწილების შემადგენლობაში.

ნაციონალური ნაწილები შექმნილია საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა სახელმწიფოში. ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში უკვე არსებობს სავსებით ჩამოყალიბებული დიდი სამხედრო შენაერთები: ქართული, სომხური, აზერბეიჯანის, თავისი მეთაურთა და პოლიტხელმძღვანელთა შემადგენლობით, ამ ნაწილებში სწავლება, სარდლობა და მართვა-გამგეობა სწარმოებს შესაფერ ნაციონალურ ენაზე. უკრაინის და ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში არსებობს ამხედრო ნაწილები, რომლებშიაც თანამიმდევრობით ტარდება უკრაინიზაცია და ბელორუსიზაცია.

ნაციონალურ რესპუბლიკებში, სადაც მოსახლეობა უწინ სრულებით არ მსახურობდა ჯარში (უზბეკისტანი, თურქმენისტანი, კაზახსტანი და სხვ.), ჩამოყალიბებულია ნაციონალური ნაწილები.

12. საკითხი ხელმძღვანელობის შესახებ მუშათა კლასის და მისი პარტიის მხრივ წარმოადგენს ძირითად საკითხს. პროლეტარულ ხელმძღვანელობის მტკიცედ და თანამიმდევრობით განხორციელების გარეშე არმია არ შეიძლება გახდეს პროლეტარიატის დიქტატურის დასაყრდენად. ამ საკითხში რევოლიუციონური არმიის ინტერესები ვერ მოითმენს ვერავითარ სისუსტეს, ვინაიდან პროლეტარულ ხელმძღვანელობის შესუსტება წარმოადგენს მუქარას, რომ არმია გადაიქცევა სხვა კლასის იარაღად.

უკვე მარტო ის ფაქტი, რომ წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობა 50 პროცენტით შესდგება პარტიის წევრებისაგან, რომ მუშების რიცხვი მეთაურთა შემადგენლობაში შეუწყვეტლივ იზრდება, რომ უპარტიო მეთაური ჩაბმულია პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობაში, ერთგულია საბჭოთა ხელისუფლების და იმყოფება ჩვენი პოლიტიკური გავლენის ქვეშ,—უკვე ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ პარტიის ხელმძღვანელობა არმიის მიმართ კი არ სუსტდება, არამედ, პირიქით, ძლიერდება. მაგრამ ისეთი მეთაურის არსებობის გარდა, რომელიც წარმოადგენს მუშათა კლასის ხელმძღვანელობის გაძლიერების ნიშანს, ამას აგრეთვე მოწმობს არმიის პარტიულ ორგანიზაციის მდგომარეობაც. პარტიულ ორგანიზაციის სოციალურ-კლასობრივი სახე, მისი ზრდის ტემპი და ხასიათი, მისი ავტორიტეტი წითელარმიელთა მასებში მოწმობს პარტიის დიდ გავლენას არმიაში. საკმაოა ითქვას, რომ პარტიული ორგანიზაცია 1925 წ. 1 იანვრიდან 1927 წლის 1 ივლისამდე პარტიის 57.687 წევრისა და კანდიდატიდან გაიზარდა 90.583-მდე; რომ გლეხურ არმიაში, სადაც მუშები შეადგენენ მხოლოდ 18,1 პროცენტს, პარტიულ ორგანიზაციათა 40.4 პროცენტით შესდგება მუშებისაგან. პარტიულმა ორგანიზაციამ არმიაში ისეთი მკვიდრი ადგილი დაიკავა მასების აღზრდისა და ხელმძღვანელობის საქმეში, დაიპყრო ისეთი დიდი მნიშვნელობა წითელი არმიის ბრძოლის უნარის განმტკიცების მთელ საქმეში, რომ უიმისოდ ამ საკითხების წარმატებით გადაჭრა წარმოუდგენელია. მისი სოციალური შემადგენლობა, მისი ზრდის ხასიათი, მისი ხელმძღვანელი ქვედა საფეხურის კადრები მოწმობს, რომ არმიაში არსებობს ისეთი პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც აქვს უნარი გაავრცელოს თავისი გავლენა წითელარმიელთა ფართო უპარტიო მასებზე, შეუძლია აქტიური როლი ითამაშოს წითელი არმიის ყოველმხრივ, როგორც ბრძოლის უნარის მხრივ, ისე პოლიტიკურად განმტკიცების საქმეში.

თუ ამას გარდა მხედველობაში მივიღებთ იმ ბოლშევიკურ სიმტკიცეს, რომელიც გამოიჩინა არმიის პარტიულმა ორგანიზაციამ ოპოზიციასთან ბრძოლაში (არმიის ორგანიზაციის მხოლოდ ნახევარ პროცენტზე ნაკლებმა გადაუხვია პარტიის სწორი ხაზიდან), გასაგები იქნება, რომ არმიის პარტიული ორგანიზაცია სავსებით ასრულებს იმ ამოცანას, რომელიც აღნიშნულია პარტიის პროგრამაში—„არმიაში შინაგანი კავშირის და შეგნებულ დისციპლინის დამყარების" ამოცანას.

პარტიის ხელმძღვანელობის გაძლიერებას არმიაში განსაკუთრებით მოწმობს არმიის პარტიულ-პოლიტიკურ ორგანოების როლი.

ამჟამად მიღწეულია ისეთი მდგომარეობა, როდესაც არმიაში არ არის არც ერთი ცოტად თუ ბევრად არსებითი და მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლის დამუშავებაში მონაწილეობას არ ღებულობდეს სათანადო პოლიტიკური ორგანო, არ არის წითელი არმიის ცხოვრებისა და სწავლების არც ერთი მხარე, რომელზედაც პოლიტიკური ორგანოები ვერ ახდენდნენ საჭირო პარტიულ გავლენას; არ არის არც ერთი ღონისძიება, რომლის წარმატებით გადასაჭრელად პოლიტორგანო არ იყენებდეს არმიის პარტორგანიზაციების მთელ ძალღონეს.

ერთ უფროსობაზე გადასვლა, პარტიულ მეთაურობის განთავისუფლება კომისრის ყოველდღიურ კონტროლისაგან, შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმ მუშაობის წყალობით, რომელიც ჩაატარეს პოლიტორგანოებმა მთელ პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად მეთაურის პოლიტიკურად მომზადების საქმეში და იმ წყალობით, რომ განვლილ წლების შემდეგ პარტიული ორგანიზაცია და ხელმძღვანელი პოლიტორგანოები გიგანტიურად განმტკიცდნენ. პოლიტორგანოების ფოლადისებური ქსელი წარმოადგენს მძლავრ და საიმედო იარაღს ჩვენი პარტიის ხელში. არმიის პარტორგანიზაციის ავტორიტეტი, არმიის პოლიტიკურ ორგანოების ავტორიტეტი და გავლენა, მეთაურთა შემადგენლობის პოლიტიკურად განმტკიცებასთან ერთად, სავსებით მოწმობს, რომ მუშათა კლასის და მისი პარტიის ხელმძღვანელი როლი ჩვენს არმიაში ურყევია.

13. ამასთან ერთად მთელი წითელი არმია მისი მეთაურთა შემადგენლობა და უბრალო მეომრები სწავლობენ სამხედრო საქმეს მისი თანამედროვე ფორმების და მოთხოვნილებების მიხედვით. წითელი არმია აწარმოებს თავის სამხედრო მზადებას თავის სამხედრო წესდებათა საფუძველზე (საველე წესდება, სამხედრო წესდება, ქვეითა ჯარის წესდება, ცხენოსან ჯარის სამხედრო წესდება და სხ.). მარტო ის ფაქტი, რომ მსოფლიოში პირველ მუშურ-გლეხურ წითელ არმიას მხედრობის სამხედრო მოქმედების ყველა საკითხზე აქვს თავისი წესდებები და ის სწავლობს ამ წესდებათა მიხედვით,—წარმოადგენს წითელი არმიის მაღალ სამხედრო დონის დამამტკიცებელ საბუთს. ეს ფაქტი მოწმობს ჩვენი არმიის სამხედრო აზრის წინსვლას, უდიდეს შემოქმედებითი სამხედრო მუშაობას, რომელიც ჩაატარა მან ამ ხნის განმავლობაში. წესდებები კი წარმოადგენს ორი ომის—იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის—გამოცდილების შენაერთს. მანევრები, ტაქტიკური მეცადინეობა, საველე მოგზაურობა, სამხედრო თამაში და მთელი სამხედრო სწავლება—ყოველივე ეს დამყარებულია ამ წესდებებზე, ყოველივე ეს განვლილ ორი ომის გამოცდილების უბრალო განმეორებას კი არ წარმოადგენს, არამედ ამ გამოცდილების ნიადაგზე—შემდგომ თვითგაუმჯობესებას. სამხედრო-ტექნიკურ დარგში წითელი არმიისათვის არა თუ უცხო არ არის მსოფლიო ომის გამოცდილება, არამედ, პირიქით, ის შეიარაღებულია თანამედროვე დონის სამხედრო-ტექნიკური საშუალებებით. ამას განსაკუთრებით მჭერმეტყველურად მოწმობს ჩვენი საჰაერო ფლოტი, საკუთარ საბჭოთა კონსტრუქციის თვითმფრინავი და მოტორი. თითქმის ახლად შექმნილი საჰაერო ფლოტი, მაღალ სამხედრო ღირსების წითელ სამხედრო მფრინავის აღზრდა—წითელი არმიის სამხედრო-ტექნიკური და სამხედრო ზრდის საუკეთესო ატესტატია.

ჩვენი ტექნიკის შემდგომი გაუმჯობესება უზრუნველყოფილია საბჭოთა ქვეყნის მიერ აღებული **ინდუსტრიალიზაციის ტემპით**: „ორგანიზაციულ ფორმების, წითელარმიელთა და მეთაურთა შემადგენლობის სწავლების, აღზრდის და სამხედრო მომზადების მხრივ ჩვენ უეჭველად ყველაფერი თავის რიგზე გვაქვს, ხუთწლედის მთავარ მიზნად და ძირითად შინაარსად დავისახეთ წითელი არმიის ტექნიკური ძლიერების აყვანა თანამედროვე პირველხარისხოვან არმიების დონემდე". (ვოროშილოვი).

სამოქალაქო ომიდან მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობაზე გადასვლის პერიოდში ლენინი შემდეგნაირად ახასიათებდა სამხედრო მშენებლობის ამოცანებს: „ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ არმიის შემცირების შემდეგ შევინარჩუნებთ მის ისეთ ძირითად კადრებს, რომლებიც მეტისმეტ ტვირთს არ დააკისრებს რესპუბლიკას შენახვის მხრივ და ამავე დროს არმიის რიცხვის შემცირებასთან ერთად ჩვენ უწინდელზე უკეთ უზრუნველვყოფთ იმის შესაძლებლობას, რომ ხელახლა დავაყენოთ ფეხზე და შევკრიბოთ კიდევ უფრო დიდი სამხედრო ძალა".

ეს ამოცანები განსაკუთრებით სრულად გადაჭრა **ტერიტორიალური სისტემის** გატარებით, რომელიც უზრუნველყოფს მცირე კადრების საშუალებით სამხედრო სამსახურის უნარის მქონე ერთი ასაკის მთელი მოსახლეობის სამი მეოთხედის მომზადებას ისე, რომ ეს მოსახლეობა დიდი ხნით არ მოსწყდეს საწარმოო მუშაობას.

ამჟამად ტერიტორიალური სისტემა წარმოადგენს **შეიარაღებულ ძალების საფუძველს** და სავსებით ცნობილია საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების მიერ. ეს სისტემა უზრუნველყოფს მებრძოლის საომარ და პოლიტიკურ მომზადებას, და აგრეთვე სამხედრო ნაწილების მომზადებას, რომლებიც თავისი შემჭიდროებით და გაწვრთნით არ ჩამორჩებიან საკადრო ნაწილებს.

14. თანამედროვე ომი შეუძლებლად ხდის, რომ ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის საკითხი გადაიჭრას მხოლოდ სამხედრო უწყების ძალებით. ის ამოცანები თავდაცვის მომზადებისათვის, რომლებსაც აყენებს ჩვენს წინაშე მომავალ ომის ხასიათი და სიდიდე, არ შეიძლება ამომწურავად განხორციელდეს მხოლოდ არმიის ფარგლებში. მომავალ ომს აწარმოებს არა მარტო უშუალოდ მომქმედი არმია, თავის ძალებით და საშუალებებით, არამედ მთელი სახელმწიფო მთლიანად, თავის სახელმწიფო და სამეურნეო აპარატით.

ზურგის თავის დროზე, ყოველმხრივ, გეგმაშეწონილ და შეუწყვეტელ მომზადებას თავდაცვისათვის (თანამედროვე პირობებში ეძლევა გადამწყვეტი მნიშვნელობა. სამოქალაქო, სახელმწიფო, პარტიულ, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების როლი ქვეყნის თავდაცვისუნარის განმტკიცების რთულ და ძნელ ამოცანის გადაჭრაში განსაკუთრებით დიდია. „ჩვენ ისე უნდა ავაგოთ ჩვენი ქვეყნის მეურნეობა, ისეთი მიმართულება უნდა მივსცეთ ჩვენს ეკონომიკას, როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის დარგში, რომ უკვე მშვიდობიან დროს, ანგარიში ვეწიოდეთ თავდაცვის საჭიროებებს". (ფრუნზე).

ინდუსტრიალიზაცია — ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის საფუძველია. საბჭოთა კავშირის მეურნეობა მტკიცედ მიიწევს წინ სოციალიზმის აღმშენებლობის გზით. წითელი არმიის ტექნიკური ძლიერება არ ჩამორჩება სოციალისტურ აღმშენებლობის განვითარების დონეს და დღითი-დღე იზრდება. „იმ შემთხვევაში, თუ იმპერიალისტები თავს დაგვესხენ, ჩვენ შეგვიძლია დავაყენოთ ჩვენი მეურნეობა საკუთარ მშობლიურ მრეწველობის ბაზისზე". (ვოროშილოვი).

საჭიროა კიდევ უფრო ჩქარი ტემპით განვავითაროთ ჩვენი ქვეყნის მეურნეობა, ავსწიოთ შრომითი დისციპლინა, გავატაროთ წარმოების რაციონალიზაცია, მოვაწყოთ მრეწველობის ახალი დარგები (ავიომშენებლობა, ავტო-მშენებლობა, ტრაქტორების მშენებლობა და სხვ.), გავაუმჯობესოთ ტრანსპორტი, წინ წავსწიოთ სოფლის მეურნეობა.

ამასთან ერთად სამხედრო საქმის თანამედროვე დონე განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანად აყენებს სამხედრო ცოდნის ფართო გავრცელებას, მშრომელთა ფართო ფენების მიერ სამხედრო საქმის პრაქტიკულად შესწავლას.

ყველა ეს ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარის განმტკიცებასთან, შეგნებული აქვთ მუშათა და გლეხთა ფართო მასებს. „ხუთწლიან საპერსპექტივო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით საჭიროა უზრუნველვყოთ არა მარტო საგეგმო და სამეურნეო ორგანოების ყურადღება თავდაცვის საკითხებისადმი, არამედ, რაც უმთავრესია, მთელი პარტიის დაძაბული ყურადღებაც". (საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობა). თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების სამი მილიონი წევრი, სამხედრო კუთხეების და სამხედრო ცოდნის წრეების მუშაობის სულ უფრო და უფრო განვითარება, მშრომელთა მჭიდრო კავშირი წითელ არმიასთან, ჩვენი მრეწველობის, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განუწყვეტელი ზრდა—იმის თავდებია, რომ წითელი არმიის არსებობის მე-11 წელი კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მოგვცემს მთელი ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის მომზადების საქმეში. მშრომელ მოსახლეობის ყურადღების თავდაცვის საკითხებისადმი მიზიდვის ფორმები და მეთოდები [illegible] განვითარებისათვის წარმოებულ მთელი მუშაობის აღრიცხვა დაყენებულია. მუშაობის კიდევ უფრო გაფართოება, ხარისხის გაუმჯობესება—ასეთია მეათე წლის თავის დირექტივა.

15. საბჭოთა კავშირის მშრომელნი წითელი არმიის ათი წლის იუბილეს რამოდენიმედ განსხვავებულ საერთაშორისო მდგომარეობაში დღესასწაულობენ, ვიდრე განვლილ შესვენების წლებში. გაიყვავდა წინააღმდეგობები კაპიტალისტურ მსოფლიოს შიგნით, აგრეთვე კაპიტალისტურ მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირის შორის. სულ უფრო და უფრო ეხდება ფარდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა „მშვიდობიანობის მოყვარე" განცხადებებს; ახალ სისხლისმღვრელ ომების საფრთხე სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება. საერთაშორისო კონსერვატიული ხროვები სულ უფრო და უფრო აშკარად და გულახდილად ეწევიან პროპაგანდას საბჭ. კავშირის წინააღმდეგ ომის სასარგებლოდ; ახდენენ საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, გარს ახვევენ ჩვენს ქვეყანას სიცრუისა და ცილისწამების ქსელს, თავხედური მოქმედებით ომისაკენ იწვევენ მას, აწყობენ ინტრიგებს, პროვოკაციებს. ამ მდგომარეობაში საკითხს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის მომზადების შესახებ ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა.

მუშათა კლასს და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელ მასებს მოულოდნელად ვერავინ დაესხმის თავს.

მეათე წლისთავის დღეს საბჭოთა კავშირის მშრომელნი მოახდენენ თავის შეიარაღებულ ძალების დათვალიერებას. ჩვენი კავშირის პროლეტარები დარწმუნდებიან, რომ შვიდი წლის შესვენება წითელმა არმიამ გამოიყენა თავის საომარი და ტექნიკური ძლიერების, სამხედრო გაწვრთნის და პოლიტიკურ შეგნების შეუწყვეტლად გაძლიერებისათვის. მუშათა კლასი ერთხელ კიდევ დარწმუნდება იმაში, რომ წითელმა არმიამ შეინარჩუნა და განავითარა ყველა ის საუკეთესო რევოლიუციონური და ბრძოლის ტრადიციები, რომლებზედაც ის იქმნებოდა და რომელთა წყალობით იმარჯვებდა; რომ ამ ტრადიციებმა, რომლებსაც შესვენების წლებში დაემატა სამხედრო გაწვრთნა და მხედრობის მნიშვნელოვანი ტექნიკური გაძლიერება, გადააქცია წითელი არმია მძლავრ შეიარაღებულ ორგანიზმად.

წითელი არმიის მეათე წლის თავი იქნება არა მარტო წითელი არმიის, არამედ აგრეთვე მთელი ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის შემოწმების დღე. იმპერიალისტების სამხედრო მზადების საპასუხოდ ჩვენ ერთხელ კიდევ განვაცხადებთ: ჩვენ გვსურს მშვიდობიანობა; საბჭოთა ხელისუფლება გააკეთებს ყველაფერს, რაც მასზე იქნება დამოკიდებული, რათა თავიდან აიცილოს ომი, ის მიიღებს ყველა ზომებს, რომ თუ იფეთქა ომის ხანძარმა, ის არ გადმოედოს ჩვენს ქვეყანას.

მაგრამ ჩვენ განვაგრძობთ წითელი არმიის განმტკიცებას, ვინაიდან ის წარმოადგენს მშვიდობიანობის და საბჭოთა კავშირის დამოუკიდებლობის დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას.

ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის საქმეში ჩვენ ჩავაბამთ მოსახლეობის კიდევ უფრო ფართო ფენებს.

ჩვენ მშრალად ვინახავთ თოფის წამალს ჩვენს საწყობებში.

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ თავზე მოგვახვევს ომი, ჩვენ გამოვაშკარავებთ წითელი არმიის და შეიარაღებულ ხალხის ისეთ შემჭიდროების ნიმუშს კომუნისტურ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების გარშემო, რომელიც შეარყევს მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოს საფუძვლებს.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

მუშურ-გლეხურ წითელი არმიის პოლიტიკური სამმართველო.

---

*) დასასრული იხ. „კომუნისტი" № 38.

საბჭოთა საქართველო

წერილები

საქართველოს გლეხთა სახლის მიღწევები

ოთხი წელია, რაც საქართველოს გლეხთა სახლი არსებობს. მუშურ-გლეხურმა მთავრობამ იმ მიზნით დაარსა ეს სახლი, რომ საქართველოს სხვა და სხვ. კუთხიდან ჩამოსულ გლეხებისათვის გაეწია დახმარება, როგორც ექიმობის და მკურნალობის მხრივ ისე იურიდიული რჩევა-დარიგების მიცემით და აგრეთვე შეეტანა მათში კულტურული განათლება და მათთვის საჭირო სამეურნეო დარგის გაცნობა.

გლეხთა სახლში არსებობს გაზეთ „ახალი სოფლის„ რედაქცია, რომელიც ამ ხნის განმავლობაში კულტურულ მუშაობას არ აწარმოებდა ჩამოსულ გლეხობაში. მაგრამ უნდა აღინიშნოს ,რომ ამ ბოლო ხანებში მათაც მიიღეს მხურვალე მონაწილეობა და სახლის თანამშრომლებთან ერთად ჩაბმულნი არიან გლეხობის გათვითცნობიერების საქმეში; ისინი კვირაში ერთხელ აკეთებენ მოხსენებას გლეხობასთან სახლში ახალი სოფლის მნიშვნელობაზე.

8 თებერვალს ამხ. მუშიშვილმა გააკეთა მოხსენება გლეხთა სახლის კლუბში, სადაც დიდძალი გლეხობა დაესწრო. მომხსენებელმა განუმარტა გლეხობას გაზეთ „ახალი სოფლის“ მნიშვნელობა სასოფლო მეურნეობის საქმის გაუმჯობესებისათვის და გაზეთზე ხელის მომწერთა ზრდა, რითაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გლეხებზე. გლეხების მხრივ აუარებელი შეკითხვები წამოიჭრა და ზოგიერთმა მათგანმა კამათში მიიღო მონაწილეობა. მოხსენების გათავების შემდეგ ამხ. მუშიშვილმა ორასამდე გლეხს დაურიგა უფასოთ. გაზეთები და ბროშურები.

საქ. გლეხთა სახლის გამგე თე. მჭედლიშვილი.

კოლექტივის დაარსება დააყოვნეთ.

თავასის თემი, შორაპნის მაზ.

ჩხარის საკრედიტო ამხანაგობამ ულარიბეს გლეხობას მეურნეობის გასაუმჯობესებლად ექვსი წლის ვადით დაურიგა სესხი, თითო კომლზე 50 მანეთი.

თავასის თემში ყველა ცდილობდა ესარგებლნა ამ გარემოებით და გამოითქვა აზრი, რომ ხსენებულ სესხით კოლექტიურად შეკავშირებულიყო რამოდენიმე ღარიბი მეურნე და ტყე მოეშენებიათ. ადგილიც გამოვყავით რვა ქცევა, მოვილაპარაკეთ ტყის მოშენებაზე და სესხიც მივიღეთ. სესხი კოლექტივის მეთაურისთვის უნდა ჩაგვებარებია და მუშაობაც უნდა დაგვეწყო, მაგრამ ზოგიერთმა ჩვენმა ამხანაგებმა გამოტანილი სესხით საშობაოთ ღორები იყიდა, ზოგმაც ცოლს კაბა შეუკერა, ზოგმა სხვა რამეში დახარჯა და ამნაირად ფული დანიშნულებას არ მოახმარა.

ეხლა ზოგიერთი წევრები გაიძახიან: ტყის მოსაშენებლად გადამიჯნული მიწა შორს არის და იქ ვერ ვიმუშავებთო, ხოლო როდესაც სესხს ღებულობდენ მაშინ ასე არ ამბობდენ.

პასუხი უნდა მოეთხოვოს იმ პირებს, რომლებმაც მეურნეობას არ მოახმარეს გამოტანილი სესხი და ისე დახარჯეს. ასეთები ბანკის წესდების დამრღვევნი არიან და კოლექტივის ამუშავებასაც ხელს უშლიან.

მომავალში აღარ უნდა განმეორდეს ასეთი შეცდომები.

მთ—რე.

ადვილად მოსაგვარებელი საქმე

(წერილი ხონიდან)

ქ. ხონის ტელეფონის ხაზი ამ ერთი წლის წინედ გადაკეთდა ორ ნამბიანად, რაც საშუალებას გვაძლევს დაუკავშირდეთ შორეულ ქალაქებს ტელეფონის საშუალებით, თუ სამტრედია-ხონს შუა იქნება ტელეფონის ორი ნამბი გაყვანილი.

ასეთი ნამბი სამტრედია-ხონს შორის უკვე არსებობს, მაგრამ ერთი მათგანი გაუქმებულია, თვით ხაზი კი სალია, რითაც შეიძლება ხონის და სამტრედიის ხაზი ორ ნამბიანად გადაკეთდეს, რაც არ გამოიწვევს არავითარ ხარჯებს, სარგებლიანობა კი დიდი გვექნება. ყოველდღიურად ერთი-მეორეზე 10—15-მდე იქნება მსურველი შორეულ ქალაქებს დაელაპარაკონ საქმეების გამო და თვით სხვადასხვა ორგანიზაციებიც მოითხოვენ ამას. როგორც სამტრედიას, ისე ხონსაც ექნება განსაზღვრული საათი მოცემული, როდესაც საშუალება გვექნება ლაპარაკისა სხვა ქალაქებთან, ამით კი ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაც ისარგებლებს და საზოგადოების მოთხოვნილებასაც დააკმაყოფილებს.

როგორც გავიგეთ, ეს საქმე მოსაგვარებლად ჯერ კიდევ გასულ წელს ჰქონია გადაცემული ფოსტა-ტელეგრაფის ოლქიდან მექანიკოს ჯაფარიძეს, რომელსაც ეს დავალება დღემდე არ შეუსრულებია, რისაც საჭიროა მიექცეს ყურადღება ფ.-ტ. ოლქ. სამმართველოს მიერ, ეს საქმე დროზე მოაგვაროს.

თუა.

მუშაობა გაცხოველდა

ს. ახალი სოფელი, მარტყოფის თემი

სოფ. ახალი - სოფელი მდებარეობს თბილისიდან 25—30 ვერსის მანძილზე. მიუხედავად ასეთი სიახლოვისა ეს სოფელი ძალიან ჩამორჩენილი იყო კულტურულად. აქ არ არსებობდა არც სკოლა, არც ქოხ - სამკითხველო და არც სხვა კულტურული დაწესებულება. 1925 წლამდე სოფელი თუტანელ გაჭირვებას განიცდიდა სკოლის შენობის უქონლობის გამო. სასწავლებელი მოთავსებული იყო ერთ პატარა, ძველს შენობაში, რომელიც ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა მოწაფეთა მოთხოვნილებას.

1924 წლიდან კი ახალ - სოფელში გაცხოველდა კულტურული და სააღმშენებლო მუშაობა. ამხ. ზ. მარტიაშვილის მეთაურობითა და თაოსნობით სოფელში აშენდა კლუბი, რომელიც იტევს დაახლოებით 200 კაცს. 1925 წლიდან მასვე თაოსნობით გლეხობა შეუდგა სკოლისათვის 5 ოთახიან შენობის აგებას, რომელიც უკვე დამთავრდა. დღეს სოფ. ახალსოფელში გაცხოველებული კულტურული მუშაობა მიმდინარეობს. ამ მუშაობაში ჩაბმული არიან, როგორც ადგილობრივი მასწავლებლები, ისე გლეხებიც.

ადგილობრივი მომუშავე, ამხ. ზ. მარტიაშვილი არავითარ ძალას არ იშურებს გლეხების ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მათი კულტურული დონის ასამაღლებლად, რაზედაც გლეხები მადლობას უცხადებენ მას ენერგიული და ნაყოფიერი მუშაობისათვის.

საჭიროა ადგილობრივმა აღმასკომმა მიიღოს ზომები სასწავლებლისათვის საჭირო სასწავლო და ხელსაწყო იარაღების შესაძენად.

მეთვალყურე.

წერილებიდან

დამნაშავეს პასუხი მოსთხოვეთ

ამარის თემი, რაჭის მაზრა

1923 წ. მიწის რეფორმის გატარების დროს, მაჭუკა რეხვიაშვილზე ჩამორთმეული ერთი ნაკვეთი მიწა ამარის თემის ს. ურავში გადაეცა გლეხ ვარლამ გაგნიძეს, რომელმაც ეს მიწა მიჰყიდა პორფილე რეხვიაშვილს. ხოლო ფორმალურად ისე მოაწყობინეს საქმე, ვითომც მათ ერთმანეთს გადაუცვალეს მამული.

სამაზრო ხელისუფლებამ პასუხი უნდა მოსთხოვოს კანონის დამრღვევთ.

მჭიებელი.

გავაცხოველოთ კულტმუშაობა

თამაკონის თემი, სენაკის მაზრა

ჩვენს თემში საკმაოდაა კულტურულ - ეკონომიური ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა სათანადოთაა დაყენებული გარდა კლუბისა და ქოხ - სამკითხველოსა. ქოხ - სამკითხველოში არ მოიპოვება შესაფერი ლიტერატურა, ხოლო კლუბი სრულიად მოუწყობელია.

აუცილებლად საჭიროა ამ ნაკლთა გამოსწორება.

სევ. მეხსი

სოფლის ქრონიკა

— **საექიმო პუნქტი.** სოფ. კაცხში (შორაპნის მაზრა) გაიხსნა საექიმო პუნქტი.

— **წყალსადენი.** სოფ. გუდანულებში (ერწოს რაიონი) წყალსადენის გამოსაყვანად გადაიდო 2.000 მანეთი.

— **ხიდი.** გუბის თემაღმასკომმა (ქუთაისის მაზრა) გადასწყვიტა მდ. გუბზე აგოს ხიდი, რისთვისაც გადაიდო 500 მანეთი.

— **სკოლები.** ბისლევის თემის გლეხებმა სკოლების შესაკეთებლად გადაიდეს 1.300 მანეთი.

— **ქოხ-სამკითხველო.** ციხიაში (ოკრიბა) გაიხსნა ქოხ-სამკითხველო.

— **ჭრა-კერვის სკოლა.** სოფ. ხიბოთში (ქუთაისის მაზრა) ახლო ხანში გაიხსნება ჭრა-კერვის სკოლა.

მუშათა ცხოვრება

ჩვენი მუშკორები კბილის სამკურნალო კლინიკაში

შაბათს, 11 თებერვალს, მოეწყო გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა ექსკურსია თბილისის კბილის სამკურნალო პოლიკლინიკაში. კლინიკის მთავარ ექიმმა ამხ. აპოლონ ურუშაძემ და უფროს ტეხნიკოსმა ამხ. ჩარკვიანმა ვრცლად აუხსნა მუშკორებს აღნიშნულ კლინიკის მნიშვნელობა. რა სარგებლობა მოაქვს ამ კლინიკას მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში და სხ. პირველად მუშკორებმა დაათვალიერეს ხელოვნურ კბილების განყოფილება. ხელოვნურ კბილებს აკეთებენ კაუჩუკისაგან. ამ განყოფილებაში მუშაობა განაწილებულია თანაბრად. თუ ერთი ტეხნიკოსი, მაგალითად, კბილების ფორმას ამზადებს, მეორე თვით კბილებს აწყობს, მესამე—ხარშავს მათ სათანადო აპარატში და ასე შემდეგ.

ამის შემდეგ ექსკურსანტებმა დაათვალიერეს რენტგენის კაბინეტი. რენტგენის კაბინეტი ახალი მოვლენაა კბილის მკურნალობის საქმეში. ამ აპარატით ექიმები ტყობილობენ, სად რა ავადმყოფობა აქვს კბილს. ბაქტერიოლოგიური კაბინეტი საუცხოვოდაა მოწყობილი. ამ კაბინეტის საშუალებით მრავალი ავადმყოფისათვის გამოუკვლევიათ და უამბიათ, როგორც გაყვითლებული წვენით, ისე თვით ადამიანის პირის ღრუდან ამოღებულ ბაქტერიებით. ბაქტერიოლოგიურ კაბინეტში არის მიკროსკოპი.

მუშკორებმა დაათვალიერეს აგრეთვე კბილის ამოსაღები განყოფილებაც. კლინიკაში ითვლება სულ—48 ექიმი და დაბალი მუშა-მოსამსახურე. ამ ერთ წლის განმავლობაში რეგისტრაციაში გატარებულია სულ—60.000 კაცი. კლინიკაში მკურნალობენ მხოლოდ დაზღვეულები, რადგან ჯერ-ჯერობით იგი მოუწყობელია და მეტი საშუალება არ არის, რომ უფასოდ ოჯახის წევრები და სხვ. მოსამსახურეები მოარჩინონ და კბილები ხელოვნურად ჩაუდგან.

მუშკორებზე ექსკურსიამ საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვა. დასასრულ მუშკორებმა მადლობა გამოუცხადეს ამხ. ურუშაძეს, რომელმაც არავითარი ენერგია არ დაიშურა და აუხსნა მუშკორებს ყოველი წვრილმანიც კი.

ს.—ო.

რომელი ვაგონი მოდის?

თბილისის ქუჩებში ტრამვაის მომლოდინე მგზავრი ხშირად ეკითხება ერთი-ერთმანეთს: რომელი ვაგონი მოდის? ბევრმა ნომერის წაკითხვა არ იცის. თანაც ეს ნომერი არ ჩანს შორიდან. ზამთრობით ხომ ნომრები ხშირად თოვლითაა დაფარული. როცა ვაგონი მოვა ახლოს მხოლოდ მაშინ გამოირკვევა მისი ნომერიც. არის ერთი არეულობა-ჩოჩქოლი. ამის მოწესრიგება კი სულ ადვილია.

საჭიროა მხოლოდ ვაგონების ნომრების და გზების გამოსაცნობად გამოვიყენოთ შუქი, რომელიც ყველა ვაგონს უძღვის წინ. დღეს ვაგონის სახურავზე ანთებულია ფერადი ელექტრო-სანათი: თეთრი, წითელი, ლურჯი და სხვა. ფერები ერთი მეორეშია არეული. შესაძლებელია ამ ფერადი შუქების გამოყენება რონოდების მიმართულების აღსანიშნავად.

მაგალითად ასე: ორი წითელი შუქი გაკეთდეს ერთი რომელიმე მიმართულების ვაგონზე, ორი თეთრი მეორეზე, ლურჯი მესამეზე. ერთი წითელი და ერთი თეთრი მეოთხეზე და ასე შემდეგ. ეს პატარა ცვლილება არავითარ ხარჯს არ გამოიწვევს. მცხოვრებლებიც შეეჩვევიან შუქით რონოდების გამოცნობას და ეს გარემოება გაადვილებს მგზავრობის საქმეს.

აღმასკომის კომუნალური სექციის სხდომაზე ერთმა დეპუტატმა უკვე წამოაყენა ეს საკითხი და გასაცნობად გადასცა ტრამვაის დირექციას. მაგრამ რა შეხედულებისაა ტრამვაის დირექცია ამ საკითხზე, დღემდე არაფერი იცის.

დირექციავ, გვიპასუხეთ რაშია საქმე. რად აყოვნებთ ამ უბრალო,—მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხის მოგვარებას?

ძველი მუშ.

თათბირი საუბნო კომიტეტში

რკ. გზ. საუბნო კომიტეტში შედგა თბილისის ყველა ადგილკომის თავმჯდომარეების თათბირი ქალთა აქტივთან ერთად. დღის წესრიგში იყო: ქალთა შორის მუშაობის შესახებ და საინსტრუქციო მოხსენება ამავე საკითხზე.

სანგარიშო მოხსენებები გააკეთეს სამმართველოს, საყუდის და საშემოსავლო სამსახურის ადგილკომებმა, რომლებმაც გააცნეს თათბირს ქალთა შორის მუშაობა. როგორც გამოირკვა მოხსენებიდან თბილისის უბანში ქალთა აქტივი დღე-დღეზე იზრდება, მაგრამ ადგილკომების მუშაობა ქალთა შორის მაინც მოისუსტებს. მომხსენებლებს არაფერი უთქვამთ პრაქტიკულ მუშაობის ჩატარების შესახებ.

ქალთა განყოფილების გამგემ ამხ. გეგეშიძემ აღნიშნა, რომ ადგილკომები ქალთა შორის არავითარ მუშაობას არ აწარმოებდნენ, ისინი არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევდენ ქალთა ორგანიზაციებს და არ აბამენ მათ მუშაობაში. ეს კი საგრძნობლად აფერხებს ქალთა წამოყენებას.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ადგილკომების მუშაობა ქალთა შორის ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად.

კავშირმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ქალთა ორგანიზაციებს და მიიღოს ზომები მომავალში იმ ნაკლის გამოსასწორებლად, რომელიც აღნიშნული იყო თათბირზე.

მუშკორი მეთვალყურე.

შრომის ინსპექტორი გამოარკვიე

(ხონის ძაფ-სახვევი ქარხანა))

ხონის ძაფ-სალებ ქარხანამ დიდი სარგებლობა მოუტანა ხონისა და ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლებს. ქარხანაში მუშაობენ ქალები, რომლების მდგომარეობა საკმაოდ გაუმჯობესდა. მუშები უმთავრესად ღარიბი წრიდან გამოსული არიან. მაგრამ შიგა და შიგ ვხვდებით აგრეთვე ანტი-საბჭოთა ელემენტებსაც. კავშირმა ამას ყურადღება უნდა მიაქციოს.

გარდა ამისა ქარხანაში მუშების უმრავლესობა დღიურად მუშაობს. რატომღაც ადმინისტრაციას არ უნდა, რომ ეს მუშები ჩარიცხოს თვიურ სამუშაოში. ზოგიერთ შეძლებულ პირებისათვის კი ადმინისტრაციას მზად აქვს თვიური სამუშაო. ის ნათლიმამობით ვისაც უნდა ჩარიცხავს შტატში.

იმედია შრომის ინსპექტორი გამოარკვევს ამ საქმეს.

თ. ბაქ-ნა.

გამოსარჩლება უადგილოა

გაზ. „კომუნისტი“-ს 28 თებერვლის 33 №-ში მოთავსებულია „მწვანე“-ს წერილი სათაურით „უხეში საქმის მართველი“, რომელშიაც ნათქვამია, რომ საზოგადოება „სოფლის კავშირი“-ს საქმის მმართველი მოქ. ნეიმანი თავის ხელქვეით თანამშრომლებს ხშირად ფეხების ბრახუნით და ლანძღვა-გინებით უმასპინძლდება“-ო. ამის შესახებ „სოფლის კავშირი“-ს თანამშრომლები რიცხვით 7 კაცი აცხადებენ, რომ ნეიმანის მხრივ მათ მიმართ არ ჰქონია ადგილი არც ლანძღვა-გინებას და არც ფეხების ბრახუნს. ამგვარი მოპყრობისათვის ჩვენ შეგვეძლო მიგვემართა ადგილკომისათვის ან გამგეობისათვის. დარწმუნებული ვართ, რომ არც ერთი მათგანი არ დასტოვებდა უპასუხოდ ჩვენ მიმართვას და დამნაშავეს მოსთხოვდა პასუხს. ამიტომ „მწვანე“-ს გამოსარჩლება ზედმეტია და უადგილო.

ხელს აწერს შვიდი კაცი.

ტრამვაის პარკი

„კომუნისტი“-ს მე-19 ნომერში მოთავსებული იყო წერილი სათაურით „აღარ გაიმეორებენ“. ამის შესახებ თბილისის ტრამვაის კომუნდირექცია გვატყობ. სპეციალური კომისია, რომელმაც გამოარკვია შემდეგი: ტეხნიკ მეტრეველისა და ნაზარა ოვანესოვის მიერ მუშების შრომის ხელფასის მითვისებას, როგორც ეს არის ნათქვამი წერილში, ადგილი არ ჰქონია. ხოლო დადასტურდა, რომ მუშებს მართლაც არ მიუღიათ 96 დღის ფაქტიური ნამუშევარი, ეს მიიღეს მათ მხოლოდ საქ. კომისიის გადაწყვეტილების შემდეგ.

საქ. ცაკ-ში

პერსონალური პენსიების მისაცემათ.

საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების გამგემ განკარგულება მისცა განყოფილების საფინანსო ნაწილს თებერვალში გადასცეს სახელმწიფო შემნახველ სალაროს 11.240 მანეთი პერსონალური პენსიების მისაცემათ იმ პირებისთვის, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით—რევოლუციის, მეცნიერების, სახელმწიფოს და საზოგადოების წინაშე. ამიერიდან ყველა იმ პირებს, რომელთაც პერსონალური პენსიები აქვთ დანიშნული თვის ყოველ ოც რიცხვში პენსიები მიეცემათ სახელმწიფოს შემნახველ სალაროდგან.

გლეხკომების სამაზრო ყრილობა დამთავრდა.

საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით:—ოზურგეთის სამაზრო გლეხკომების ყრილობა, რომელიც მოწვეული იყო 10 თებერვალს, დამთავრდა. სხვა მრავალ დადგენილებებთან ერთად ყრილობამ მიიღო დადგენილება, რომ მაზრაში მომუშავე ყველა გლეხკომებმა რაც შეიძლება მეტი შეიძინონ გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციები და ყოველ მხრივ შეუწყონ ხელი გლეხებში ამ სესხის ობლიგაციების ფართოდ გავრცელებას საქმეს.

ა.-კ. ეკონომიურ საბჭოში

სას.-სამ. პროდუქტების დამზადება

ა.-კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს მიმდინარე წლის 1-ლ აგვისტოსათვის შეადგინოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების 1928—29 წლის გეგმა.

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და კოპერატიულ ორგანიზაციებს დაევალა დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება წარმატებით იქნეს ჩატარებული, როგორც საორგანიზაციო, ისე ფინანსიური მხრივ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სურსათ-სანოვაგის დამზადებას. სათანადო დადგენილებების პროექტები წარდგენილი უნდა იქნეს დასამტკიცებლად ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში არა უგვიანეს ა.-წ. 1-ლ ივნისისა.

ა.-კ. კოოპერატიულ საბჭოს წინადადება მიეცა ერთი თვის განმავლობაში წარადგინოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში მოხსენება იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მიღებულია კოოპერაციის მიერ სას.-სამეურნეო პროდუქტების ფასების დასაკლებად.

პროფტეხნიკურ განათლების ფონდის განაწილება.

ა. კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა მიეცეს ა. კ. ს. ფ. ს. რ. შემავალ რესპუბლიკებს მათი კუთვნილი წილი პროფტეხნიკური განათლების ფონდიდან.

აზერბეიჯანის შუამდგომლობა, რათა გადიდებული იქნეს აზერბეიჯანის წილი ფონდში და ჩამოწერილი იქნეს 90.024 მან. 58 კაპ. განხილული იქნება ფონდში ახლად გადარიცხული თანხების მორიგი განაწილების დროს.

წითელი არმიის 10 წლის თავისათვის

სახ.-სამ. საკრედიტო სისტემის მონაწილეობა დღესასწაულში

ა. კ. სას.-სამ. ბანკმა შეიმუშავა წითელი არმიის ათი წლის თავის დღესასწაულში მონაწილეობის მიღების გეგმა.

გეგმის თანახმად, თბილისის გარნიზონის სამხედრო ნაწილებში, წითელ-არმიელებისათვის სასოფ.-სამ. საკრედიტო სისტემის შესახებ წაკითხული იქნება პოპულიარული ლექციები და მოხსენებები.

წითელი არმიის სახლთან წითელ-არმიელებისათვის მოეწყობა ბიბლიოთეკა სასოფ.-სამ. კრედიტის და სასოფ.-სამ. საკრედიტო კოოპერაციის შესახებ გამოცემულ პოპულიარულ ლიტერატურისაგან; ამ ბიბლიოთეკას შემდეგ რეგულიარულად მიაწვდიან სასოფ.-სამ. საკრედიტო სისტემის მიერ გამოცემულ ყველა წიგნებს და ბროშიურებს.

ამასთანავე გამგეობამ გადასწყვიტა შეიმუშაოს ინსტრუქცია წითელ-არმიელთა მეურნეობისათვის შეღავათიანი კრედიტების მიწოდების შესახებ.

რესპუბლიკანურ სასოფ.-სამ. ბანკებს წინადადება მიეცათ რესპუბლიკის მასშტაბით გაატარონ ანალოგიური ღონისძიებები.

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში

წითელი არმიის ნაწილების აღლუმში, რომელიც მოწყობილ იქნება წითელი არმიის ათი წლის თავზე, მონაწილეობას მიიღებენ თავდაცვა-ავიაქიმის სასროლო და პირველი დახმარების წრეები და ავიაქიმიური რაზმები. საზოგ-ებამ ადგილებზე დაგზავნა ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ რა სახით უნდა გამოვიდნენ აღლუმზე აღნიშნული წრეები და რაზმები.

აღლუმებში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე თბილისის მუშათა ათასეულები.

დღესასწაულის დღეს თავდაცვა-ავიაქიმის საზ-ბა ყოფ. სამხედრო ტაძრის ეზოში აწყობს ფართე სასროლო შეჯიბრს, რომელშიც მონაწილეობის მიღება წევრებს გარდა შეუძლიათ აგრეთვე სხვა მოქალაქეებსაც.

წითელი ჯარის ნაწილებში.

ტერიტორიალური ნაწილების ერთეულები, რომლებიც დაბინავებულ არიან დაბა-ქალაქებში და სოფლებში, წითელი არმიის ათი წლის თავის დღესასწაულს ჩაატარებენ მჭიდრო კავშირში ადგილობრივ მოსახლეობასთან.

დღესასწაულის ჩატარებაში ჩაბმული იქნებიან ცვალებადი წითელ-არმიელები, წვევამდელნი და თადარიგის მეთაურები.

დღესასწაულის დღეს მოეწყობა მოხსენებები, საღამო-წარმოდგენები და კინო-სეანსები.

მზადება ქალაქებში.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოსული ცნობების თანახმად, ადგილებზე გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს წითელ-არმიის დღისათვის. შექმნილია დღესასწაულის ჩასატარებელი კომისიები, რომლებშიაც შედიან ჯარის ნაწილების და სამოქალაქო დაწესებულებების წარმომადგენლები.

ზოგიერთ ქალაქებში დღესასწაულის დღეს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება მოაწყობს თანამედროვე ომის ინსცენიროვკას (ქიმიური თავდასხმა და მოგერიება), რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ჯარის ნაწილები და თავდაცვა-ავიაქიმის წრეები.

სოფლის სამხედრო კუთხეები მოაწყობენ შეჯიბრებს სროლაში.

თავდაცვის სასახლეები.

საბჭოთა კავშირის მთელ რიგ ქალაქებში წითელი არმიის ათი წლის თავზე გაიხსნება თავდაცვის სასახლეები. სასახლეებში მოწყობილ იქნება სასროლო, საარტილერიო, ქიმიური, საავიაციო და საინჟინერო განყოფილებები. სასახლეები ფართოდ იქნება გამოყენებული მოსახლეობის გასამხედროებისათვის.

სამხედრო ლიტერატურის გამომცემლობის საქმე

წითელი არმიის ათი წლის თავის აღსანიშნავად და საერთოდ სამხედრო ლიტერატურის გამოცემის საქმის შესახებ, სახელგამის გამგემ ამხ. ბ. ბიბინეიშვილმა ჩვენი გაზეთის თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

— სახელმწიფო გამომცემლობა წითელ-არმიელთათვის შესაფერ ლიტერატურის მიწოდებისა და მშრომელ მასაში სამხედრო ცოდნის გავრცელების მიზნით, შეუდგა სამხედრო გამომცემლობის საქმის გაფართოებას. სახელგამმა უკვე გამოსცა საკმაო რაოდენობით სამხედრო ლიტერატურა, რომელიც თავისი სიიაფით ხელმისაწვდომია მშრომელთა ფართო მასისათვის. სახელგამმა დღემდე გამოსცა სამხედრო შინაარსის შემდეგი წიგნები: თავდაცვის საკითხებზე—19 სახელწოდების წიგნი, თანამედროვე ომზე—18, თანამედროვე ომის ტეხნიკაზე—12, წითელი არმიის მიზნებისა და წყობის შესახებ—5, 2 წიგნი წითელი არმიის გამარჯვებებზე და ბრძოლებზე საბჭოთა კავშირის მტრებთან, წითელი არმიისა და მოსახლეობის შესახებ—5 წიგნი და სამხედრო შინაარსის მხატვრული ლიტერატურა—2 წიგნი.

ეს წიგნების უდიდესი ნაწილი უკვე გავრცელებული იქნა საქართველოს პროფკავშირების, პოლიტგანათლების მთავარ მმართველობის თბილისის აღმასკომის პოლიტგანის და სხვა დაწესებულებათა საშუალებით. წითელი არმიის ათი წლის თავის აღსანიშნავად სახელგამი 15 თებერვლიდან 1 მარტამდე აწყობს სამხედრო ლიტერატურის გავრცელების ორკვირეულს. ამ ხნის განმავლობაში სამხედრო ლიტერატურა სახელგამის ყველა მაღაზიებში გაიყიდება 50 პროცენტის ფასდაკლებით.

ორკვირეულის განმავლობაში სახელგამის მაღაზიებში ცალკე მოეწყობა სამხედრო ლიტერატურის ვიტრინები და მაღაზიების ფასადები მორთული იქნება შესაფერი პლაკატებით და წარწერებით.

სახელგამს განზრახვა აქვს ორკვირეული ჩაატაროს რაც შეიძლება ფართო მასშტაბით და დააინტერესოს მშრომელთა ფართო მასა სამხედრო ლიტერატურით.

როგორც აღვნიშნე,—განაცხადა დასასრულ ამხ. ბიბინეიშვილმა,—სახელგამს გადაწყვეტილი აქვს, რაც შეიძლება ფართო ნიადაგზე დააყენოს შემდეგში სამხედრო ლიტერატურის გამომცემლობა და ამ გზით ხელი შეუწყოს, როგორც მოსახლეობის გასამხედროებას, ისე წითელ-არმიელთა შორის კულტურულ დონის აწევის საქმეს.

მასალები საქართველოს შესახებ

„საბჭოთა დიდ ენციკლოპედიისათვის“

საბჭოთა დიდი ენციკლოპედიისათვის საქართველოს შესახებ წერილების დამზადების საკითხის განსახილველად გუშინ, 15 თებერვალს, საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში შედგა თათბირი განათლების სახ. კომისარიატის, სახ. უნივერსიტეტის და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლების მონაწილეობით.

თათბირმა განიხილა აღნიშნულ ენციკლოპედიის შედგენასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები და დაადგინა ენციკლოპედიისათვის საჭირო მასალების დამზადება შეუკვეთოს სპეციალისტებს.

თანახმად დადგენილებისა, საქართველოს ტერიტორიაზე მის საზღვრებზე და მოსახლეობაზე წერილების დაწერა მინდობილი აქვთ **ინგოროყვას** და **ალ. ჯავახიშვილს**, საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის და კოოპერაციის მუშაობის შესახებ—ამხ. **მ. ტოროშელიძეს**, საქართველოს ბიუჯეტის შესახებ მასალების დამზადება მიენდო ამხ. **მგალობლიშვილს**. საქართველოს სამეურნეო აღმშენებლობის პერსპექტივების შესახებ მასალების დამზადება მინდობილი აქვს ამხ. **ავაქოვს**. საქართველოს სასამართლოების მუშაობაზე წერილებს დასწერს ამხ. **ვარძიელი**, ხოლო ისტორიულ მიმოხილვას საქართველოზე დაამზადებს ამხ. **ფილ. მახარაძე**.

დაზღვეულთა საექიმო დახმარების საქმის რეორგანიზაცია

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა დაზღვეულთა საექიმო დახმარების ფონდის ორგანიზაციისა და განაწილების პროექტი. პროექტის მიხედვით დაზღვეულთათვის საექიმო დახმარების გაწევის საქმე საბოლოოდ გადადის ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების ჯანმრთელობის კომისარიატების და აგრეთვე ამიერ-კავკასიის რკინის გზათა გამგეობის ხელში.

დაზღვეულთა საექიმო ფონდები იყოფა: რესპუბლიკანურ, სამაზრო და სარკინიგზო ფონდებათ. სამაზრო ფონდი არ შევა ადგილობრივ ბიუჯეტში. იგი იქნება უშუალოდ ჯანმრთელობის სამაზრო ორგანოების გამგებლობაში.

რესპუბლიკანური ფონდები კი იქნება რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში.

ფონდების განაწილება მოხდება ცალკე რესპუბლიკების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოების დადგენილებათა მიხედვით.

ფონდების დასაარსებელ ანარიცხების რაოდენობა დაწესდება იმ კანონის მიხედვით, რომელიც მოქმედობს ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ ცალკე რესპუბლიკებში.

გლეხკორთა მოძრაობა საგარეჯოში

(წერილი გარე-კახეთიდან)

გლეხკორთა მოძრაობა თანდათან ფეხს იდგამს, თანდათან ვითარდება. საბჭოთა წყობილებამ გლეხკორესპონდენტების სახით წარმოშვა ახალი, მოწინავე მუშაკი, რომელიც თავგამოდებით იბრძვის სოფლად ბოროტმოქმედების, ცრუმორწმუნეობის, სამეურნეო ჩამორჩენილობის და საერთოდ უკულტურობის წინააღმდეგ.

ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს საგარეჯოს რაიონის გლეხკორთა მოძრაობა, რომელიც ჩამოყალიბდა პირველად სოფელ საგარეჯოში 1924 წლიდან. აქედან იწყება გლეხკორის რიცხვის ზრდა-გამრავლება და ადგილობრივ კომკავშირის უჯრედთან კედლის გაზეთ „წითელი საგარეჯოს“ გამოცემა.

როგორც ახალი ნაბიჯი, კედ-გაზეთის მუშაობა პირველად არ იდგა საჭირო სიმაღლეზე. ის უმთავრესად ეხებოდა ადგილობრივ კომკავშირის ყოფა-ცხოვრებას და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს. გაზეთში თანამშრომლობდენ უმთავრესად ადგ. კომკავშირის უჯრედის წევრები და ორი-სამი გლეხკორი, რომლებიც იმავე დროს მხურვალე მონაწილეობას იღებდენ ცენტრალურ პრესაში.

მცირე ხნის შემდეგ კედ-გაზეთ „წითელ საგარეჯოს“ გამოცემა შეწყდა. გლეხკორთა წინაშე მწვავედ დაისვა საკითხი სათემო ფარგლებში გლეხურ კედლის გაზეთის გამოცემის შესახებ. საკითხი გადაწყდა დადებითად. 1925 წლის, ივნისში რამოდენიმე გლეხკორის და მოწინავე ამხანაგების თათბირმა გადასწყვიტა გამოეცათ კედ-გაზეთი „საგარეჯოს თემის მოამბე“-ს სახელწოდებით, რომელსაც შემდეგში ეწოდა „სინათლე“.

კედ-გაზეთის „სინათლე“-ს ყოველკვირის გამოცემას პირველ ხანებში მრავალი დაბრკოლებები ეღობებოდა წინ. სარედაქციო კოლეგიის ენერგიულმა მუშაობამ მალე ნაყოფი გამოიღო. აღმოჩენილ იქნა საარსებო სახსარი, რედაქციისათვის გამონახული იქნა საკუთარი ბინა, გლეხთა სასოფლო ყრილობებზე მოხსენებების ჩატარებით—გლეხები გაეცნენ კედ-გაზეთის მნიშვნელობას და მისი არსებობის აუცილებლობას.ხელისუფლების ორგანოებიც მალე დაუახლოვდნენ გაზეთის მუშაობას და ამნაირად კედ-გაზეთი „სინათლე“ სწრაფად დადგა გაუმჯობესებისა და აღორძინების გზაზე. გაზეთის გაუმჯობესებას და გაშინაარსებას თან მოჰყვა გლეხკორთა რიგების გაზრდა-განვითარება.

1926 წლიდან გაზეთში შემოღებულ იქნა სხვადასხვა განყოფილებები: „პარტიული ცხოვრება“, „ჩვენი მეურნეობა“, „კოოპერაცია“, „პოლიტგანათლება სოფლად“ და სხვა. გაუმჯობესებული იქნა გაზეთის მხატვრული მხარე შინაარსი და სხვა.

ახლა საგარეჯოს გლეხკორები ამით აღარ დაკმაყოფილდნენ. მათ მოინდომეს მეზობელ სოფლებში კედ-გაზეთის დაარსება და გლეხკორთა მოძრაობის ჩასახვა-განვითარება. მალე ეს საქმეც გაკეთდა. მანავის თემში დაარსდა კედ-გაზეთი, რომლის ირგვლივაც შემოკრებილ იქმნა რამოდენიმე გლეხკორი. დაარსდა კედ-გაზეთები სოფ. ნინოწმინდასა, გიორგიწმინდისა და გაუმჯობესებულ იქნა სადგურ—საგარეჯოს რკ. გზის მუშა-მოსამსახურეთა კედ. გაზეთი საგარეჯოს გლეხკორების ხელმძღვანელობით.

ამნაირად საგარეჯოს გლეხკორებმა თავისი ნაყოფიერი მუშაობით ბევრი რამ გააკეთეს და გამოასწორეს საგარეჯოს რაიონის მშრომელთა სასარგებლოდ. იშვიათია დღეს რაიონში ისეთი გლეხი, რომელმაც არ იცოდეს გლეხკორის მიზანი და დანიშნულება.

ამ ბოლო ხანებში საკმაოდ ჩაებენ საგაზეთო მუშაობაში გლეხ-ქალებიც.

ამასთანავე ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დახმარება და ხელის შეწყობა, რომელსაც უწევენ საგარეჯოს გლეხკორებს ადგ. პარტიული კომიტეტი, თემაღმასკომები და სამართლის ორგანოები.

ალ. ბედიაშვილი.

ა.-კ. ვაჭ. კომისარიატში

საექსპორტო თათბირი

14 თებერვალს ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. შ. ელიავას თავმჯდომარეობით შესდგა ამიერ-კავკასიის საექსპორტო თათბირი რომელზედაც განხილული იქნა საკითხი ამიერ-კავკასიის მიმდინარე წლის საექსპორტო გეგმის სისწორით ამოყალიბების შესახებ იმ ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლებიც შეტანილი იქნა ამ გეგმაში რესპუბლიკანურ საექსპორტო თათბირებზე განხილვის დროს.

გეგმის განხილვის შედეგად მოყვა ის, რომ იგი გადიდებული იქნა 700.000 მანეთით; ამჟამად გეგმის საერთო თანხა აღწევს 14.500.000 მანეთს.

„სოვპოლტორგ“-ის განყოფილება ამიერ-კავკასიაში.

იმ მიზნით, რომ გაძლიერებული იქნეს მეორეხარისხოვან საქონლის გატანა ამიერ-კავკასიიდან და მაქსიმალურად გამოყენებულ იქნეს პოლონეთის ბაზარი. ა. კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დაადგინა დაშვებული იქნეს ამიერ-კავკასიაში სამუშაოდ პოლონეთ-საბჭოთა შერეული სააქციო საზოგადოება „სოვპოლტორგ“-ის წარმომადგენლობა. „სოვპოლტორგ“-ი ვალდებულია ფინანსები მიაწოდოს თავის ექსპორტს უმთავრესად უცხოეთის საშუალებების ხარჯზე.

რემედასში

რემედასის არსებობის 5 წლის თავი

რემედასის არსებობის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად 18 მარტს მთელს საქართველოში ჩატარებული იქნება საიუბილეო დღესასწაული.

რემედასის საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა რემედასის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს წინადადება მისცა ამ დღის ჩასატარებლად გამოჰყონ სპეციალური კომისიები პარტიულ, საბჭოთა პროფესიონალურ, კომკავშირის და მასიურ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების შემადგენლობით.

გარდა ჩვეულებრივ საღამოების და კრებებისა ადგილებზე უნდა მოეწყოს გამოფენები, კონკურსი რემედასის საუკეთესო კუთხის მოწყობაზე, უჯრედის მდივნობაზე და აქტივისტობაზე; სოფლებში უნდა გაიგზავნოს აგიტატორები, უნდა მოეწყოს რადიო-გადაცემა და დაიგზავნოს რემედასის ლიტერატურა. რემედასის საიუბილეო დღესასწაულში უახლოესი მონაწილეობა უნდა მიიღონ პოლიტემიგრანტებმა.

რემედასის ცენტრალურმა კომიტეტმა ადგილებს დაუგზავნა საიუბილეო ლოზუნგები.

ბამბის თესვის კამპანია 1928—29 წელში

ა. კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ მხედველობაში მიიღო რა ამიერ-კავკასიის მებამბეობის რაიონების საირიგაციო შესაძლებლობა და სხვა ეკონომიური ფაქტორები, რომლებიც მოქმედობენ თესვის კამპანიაზე, დაადგინა ბამბით დასათესავი სივრცე ცალკე რესპუბლიკებში განისაზღვროს შემდეგნაირად: აზერბეიჯანში—102.400 დესეტინა, სომხეთში—13.250 დეს. და საქართველოში—6400 დეს., სულ 122.050 დეს.

აღნიშნული სივრცე მიჩნეულია მინიმალურ სივრცეთ; შესაძლებლად არის ცნობილი მათი გაფართოვება, თუ ხელსაყრელი პირობები იქნება თესვის კამპანიის დასაწყისში და გათვალისწინებული იქნება თესვის კამპანიაზე მომქმედი ყველა ფაქტორები.

1928—29 წელში შერჩეული თესლით დათესილი უნდა იქნეს 94.950 დესეტინა ანდა მთელი სივრცის 77,8 პროც.; ა .კ. მებამბეობის კომიტეტს დაევალა მიიღოს ზომები იმისათვის, რომ მომავალ წელში მთელი სივრცე გადაყვანილი იქნეს შერჩეულ თესლზე.

ბამბის მოსავლიანობა მომავალ წელში ნავარაუდევია: აზერბეიჯანში—41,3 ფუთი, სომხეთში—52,5 ფუთი და საქართველოში—34,1 ფუთი დესეტინაზე (აღმოსავლეთ საქართველოში—38,4 ფუთი, დასავლეთ საქართველოში—20 ფუთი); ამისდამიხედვით ამიერ-კავკასიაში სულ შეგროვებული იქნება 5.168.750 ფუთი ნედლი ბამბა. მოსალოდნელი მოსავალი სისწორით ჩამოყალიბებული უნდა იქნეს ზაფხულზე.

ა. კ. მებამბეობის კომიტეტს წინადადება მიეცა ავანსები გასცეს გეგმით გათვალისწინებულ მთელ სივრცეზე, გარდა იმ სივრცისა რომელიც დასათესად გადაეცა კოოპერაციას (ამ სივრცეზე ავანსები გაცემული იქნება ა. კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან); ბამბის მოსავლიანობის გადიდებისაკენ მიმართულ ღონისძიებების წასაქეზებლად მიზან-შეწონილად არის ცნობილი, რომ შეიცვალოს ავანსების გაცემის შერეული სისტემა და ავანსები გაცემული იქნეს 1 მან. 25 კაპ. რაოდენობით ფუთზე საშუალო მოსალოდნელი მოსავლის მიხედვით; აღნიშნულ თანხაში არ უნდა შევიდეს მავნებლებთან საბრძოლველად გაცემული თანხები.

აბრეშუმის ახალი ქარხნები

ქ. ხონში დამთავრდა აბრეშუმის სახვევ-სართავ ახალი ქარხნის აგება. სააქციო საზოგადოება „საქართველოს აბრეშუმმა“ ქარხნისათვის საჭირო მოწყობილობა გამოიწერა საზღვარგარეთიდან. მანქანები უკვე მიღებულია და ამჟამად სწარმოებს მათი დადგმა.

ქარხანა წლიურად დაამზადებს 13.200 კილოგრამ აბრეშუმის ძაფს. ქარხნის საზეიმო გახსნა მოხდება მუშათა საერთაშორისო დღეს —1 მაისს.

მიმდინარე წელს დამთავრდება აგრეთვე აბრეშუმის სახვევ-სართავ მეორე ქარხნის აგება ქ. ოზურგეთში.

ქარხნის სამუშაოების წარმატებით შესრულებას ხელს უშლის ცუდი ამინდები, მაგრამ მუშაობა, საერთოდ მაინც შეუფერხებლად მიმდინარეობს. ამჟამად სწარმოებს რკინა ბეტონის ნაწილების შენება. ქარხანასთან მოწყობილია ახალი ელექტრო-სადგური, რომელსაც აქვს 135 ცხენის ძალა. ეს სადგური ენერგიას მიაწოდებს ქარხანასა და ქალაქსაც. ახლო ხანში დაიწყება საქვაბე განყოფილების მოწყობა, მოწყობილობა უკვე მიღებულია.

ქარხნის მოწყობა „საქართველოს აბრეშუმის“ გეგმით დაჯდება 600.000 მანეთი.

ქარხნის აგებასთან ერთად ოზურგეთის მაზრაში სწარმოებს თუთის ხეების გაშენება.

წელს ოზურგეთის მაზრაში იწარმოებს აბრეშუმის ჭიის სანიმუშო კვება და მეაბრეშუმეობის საქმეში გლეხებს შესაფერ ხელმძღვანელობას გაუწევენ სპეციალისტი ინსტრუქტორები.

ხუნაგის და ქუნთრუშას ეპიდემია მოისპო

უკანასკნელ ხანებში ხუნაგის და ქუნთრუშას ეპიდემია საგრძნობლად შემცირდა. ეპიდემიის განვითარებამ მაქსიმუმს მიაღწია დეკემბერში, როდესაც აღრიცხული იყო ქუნთრუშით დაავადების 214 შემთხვევა და ხუნაგით—120 შემთხვევა. იანვარში კი ეპიდემიამ დაიკლო 45 პროცენტით: ქუნთრუშით ავათ გახდა 160 ბავშვი და ხუნაგით 91. თებერვალში კი ეპიდემია კიდევ უფრო შემცირდა.

ეპიდემიასთან მებრძოლ საგანგებო სამეულის თავმჯდომარემ ექ. ლ. კამალოვმა ჩვენს თანამშრომელს განუცხადა:

— ამჟამად უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ თბილისში ქუნთრუშისა და ხუნაგის ეპიდემია აღარაა. სტატისტიკური ცნობებით ირკვევა, რომ ყოველდღიურად მთელ ქალაქში ავათ ხდება დაახლოვებით 3 ბავშვი, რაც სავსებით ნორმალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ისეთი დიდი ქალაქისათვის, როგორიც თბილისია.

ამიტომ ჩვენ მოვხსენით ყველა ის ზომები, რომლებიც შემოღებული იყო ეპიდემიასთან საბრძოლველად. გაუქმებულია აგრეთვე ფაქტიურად ეპიდემიასთან მებრძოლი საგანგებო სამეული, რომელიც ამჟამად მუშაობს იმისათვის, რომ მომავალში თავიდან აცილებული იქნეს ასეთი ეპიდემიები. ასე, მაგალითად მოზარდი თაობის მასიური აცრა ჩვენ განზრახული გვაქვს ბოლომდე ჩავატაროთ, რომ მომავალ წლებში ქალაქი დაზღვეული იქნეს საბავშვო ეპიდემიისაგან.

ფ. პ. კაზანცევი თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა მუხრუჭების გამომგონებელი, გზათა კომისარიატის სამუხრუჭო ბიუროს უფროსი ფ. პ. კაზანცევი.

საუბარი ამხ. კაზანცევთან

მისი ჩამოსვლის მიზნების შესახებ ამხ. კაზანცევმა ჩვენ თანამშრომელს აცნობა:

ამჟამად ა. კ. რკ. გზებზე გზათა კომისარიატის განკარგულებით სწარმოებს ცდები დიდი სიმძიმის მატარებლებით. ჩემს მიზანს შეადგენს ამ ცდებში მონაწილეობის მიღება და ამასთან ერთად ავტომატიურ მუხრუჭების მუშაობის გამოკვლევა მატარებლების მოძრაობის პირობებში.

ცდები, რომელსაც ამჟამად აწარმოებენ ა. კ. რკ. გზებზე, საშუალებას მოგვცემს გამოვარკვიოთ მატარებლის შემადგენლობაში საჭირო მუხრუჭების პროცენტი და ამავე დროს მოგვცემს ნათელ წარმოდგენას იმისას, თუ როგორი უნდა იქნეს მატარებლის შემადგენლობა შერეულ (ავტომატიურ და ხელით) დამუხრუჭების დროს.

ცდები უმთავრესად ჩატარებული იქნება სურამის საუღელტეხილო უბანზე (90.000 ფუთის სიმძიმის შემადგენლობით), ცდების დროს შემადგენლობის თავში მოთავსებული იქნება ჩემი სისტემის მუხრუჭებით მოწყობილი დიდი ცისტერნები, ხოლო ბოლოში—ხელის მუხრუჭებიანი პატარა ცისტერნები.

ცდების შედეგების გამორკვევა იწარმოებს სპეციალური იზოთერმიული ვაგონით, რომელიც ერთად-ერთია მთელ საბჭოთა კავშირში. თავისი მოწყობილობით ეს ვაგონი გაცილებით უკეთესია გერმანულ ვაგონებზე.

დასასრულ ამხ. კაზანცევი შეეხო მისი სისტემის მუხრუჭებით მოძრავ შემადგენლობის მოწყობას და განაცხადა, რომ ამჟამად ეს მუშაობა სწარმოებს ეკატერინეს, დონის და კავკასიის რკინის გზებზე. წელს ამ მუხრუჭებით მოძრავ შემადგენლობის მოწყობას შეუდგებიან შუა აზიის რკინის გზებზეც.

ამასთანავე ამჟამად აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე კაზანცევის მუხრუჭებით ეწყობა ორი სალდელი შემადგენლობა.

საბჭოთა ქარხნებმა უკვე დაიწყეს ამ მუხრუჭებით მოწყობილ ახალ დიდ (ოთხ ღერძიანი) ვაგონების გამოშვება.

მაისში ჩატარებული იქნება კაზანცევის მიერ გაუმჯობესებული ტიპის ცალგამტარ მუხრუჭის გამოცდა, რომელიც მიღებულია ყოველგვარ შემადგენლობისათვის.

სასამართლო

გარყვნილი ქმარი

ამბავი იწყება მიჯნურობით.

ვანო ბენეთაშვილს უყვარს 14 წლის ქალიშვილი — მარო ჯეირანაშვილი. მოსვენებას არ აძლევს. თავს აბეზრებს. სურს დაითანხმოს ცოლად გაყოლაზე.

შეიძრა მაჭანკლები, მოციქულები.

ქალის მშობლები დაითანხმეს. მარო მიათხოვეს ბენეთაშვილს.

დაიწყო ოჯახური ცხოვრება. მარო პატივს სცემს ვანო ბენეთაშვილს. სცდილობს მასთან თანხმობით ცხოვრებას.

ქმარიც, პირველ ხანებში, მოკრძალებით ეპყრობა ცოლს. არ აძლევს საბაბს უკმაყოფილებისას.

მიდის დრო და ბენეთაშვილი გულს იცრუებს ოჯახზე.

იწყება კინკლაობა. იწყება ყოველ დღიური უკმაყოფილება ოჯახში.

ბენეთაშვილს, რომელმაც ქვეყანა შესძრა მარო ჯეირანაშვილის გულის მოსანადირებლად, უკვე აღარ სურს მაროსთან ცხოვრება. აღარაფერი მოსწონს იმისი. ეპყრობა უდიერად.

არ ზოგავს არაფერს, რომ შეურაცხყოს, დაამციროს თავისი ცოლი და მით აიძულოს განშორდეს მას.

მარო ითმენს ყოველგვარ დამცირებას..

ცემა-ტყეპასაც კი.

ქმარმა მოიგონა ოინი. ცოლს დასწამა როსკიპობა.

განაცხადა მილიციაში, რომ მისი ცოლი როსკიპობას ეწევა და უნდა თავი გაანებოს.

მილიციამ საქმე გადასცა სასამართლოს.

ეს ამბავი ხდება მათი ცოლ-ქმრობის მეცხრე წელში.

მაროს უკვე ორი შვილი ჰყავს.

სასამართლომ ვერ ჰპოვა ვერავითარი საბუთი იმისა, რომ მარო მართლაც როსკიპობას ეწეოდა.

სასამართლომ განუმარტა ბენეთაშვილს, რომ თუ განშორება სურს ცოლთან, ამას არავინ უკრძალავს, მხოლოდ შვილები მიეკუთვნება დედას და მათი სარჩო გადახდება ვანოს.

ეს, რასაკვირველია, არ იყო ქმრისთვის ხელსაყრელი. ამაზე უარი სთქვა ვანომ და დაიწყო ფიქრი ახალ ოინებზე.

ღამეა. ცოლი უცდის ქმარს. არ იძინებს მის მოსვლამდე, რომ საყვედური არ შეხვდეს მისგან.

კარები იღება და ქმარს შემოჰყავს სახლში ვიღაც მიკიტანი სტეფანეშვილი.

— აბა, მარო, ჩვენი შერიგების მაღარიჩი გადავიხადოთ. ეს ჩემი კარგი მეგობარია და ვახშამში გავუმართე. — ლაპარაკობს ქმარი.

მარო დატრიალდა. თვალის დახამხამებაში გაშალა სუფრა.

დაითვრა „სტუმარი“.

— აბა, ეხლა ლოგინი გაუშალე სტუმარს უკვე გვიანია.

ლოგინი მზად არის.

— ეხლა კი გვერდში მოუწვექი, თორემ ხომ იცი ჩემი ამბავი. შავს დღეს დაგაყენებ. ჩვენ შეთანხმებული ვართ, რომ ერთმანეთის პატივი ვსცეთ, როგორც „რიგი და წესია“. ის ჩემს ცოლთან, მე — მის ცოლთან. ასეთია ჩვენი პირობა. ენა არ დასძრა.

შერცხვენილმა ცოლმა ვერაფერი უთხრა ვერაგ ქმარს და დაუწვა გვერდით მიკიტანს.

სტეფანეშვილს გაეღვიძა. ხედავს, რომ მის მკლავზე სძინავს მაროს. გაუკვირდა და თანაც...

— არა უშავს, ჩვენ შემდეგ გავსწორდებით, დაუძახა მეორე ლოგინიდან მასპინძელმა.

მიკიტანმა სტეფანეშვილმა უჩივლა სიაჩულს ბენეთაშვილისას. მაროს მართლაც შეუყვარდა სტეფანეშვილი, მით უფრო, რომ ქმარი ამის ნებას აძლევდა.

მარო წერილებსაც სწერდა სტეფანეშვილს და შესჩიოდა ბედს, რომ მას ასეთი გარყვნილი ქმარი ხვდა წილად.

— ძმაო ჩემო, აქამდე ხომ ჩემი ცოლი შენს განკარგულებაში იყო. გადახდა უნდა ვალს. ეხლა ერთი შენი ცოლიც დამითმე. შევეცვალოთ ერთმანეთს.

— უეჭველად, მაგრამ მაგაზე ვერ დაგეთანხმები. შენი ცოლის დათმობისათვის მე ძალა არ დამიტანებია, ეს იყო შენი სურვილი. ჩემი ხასიათი კი ვერ შეურიგდება იმას, რომ ჩემს ცოლთან სხვა დაწვეს. თუ კაცი ხარ, ყველაფერს აგისრულებ, მხოლოდ ამას ნუ მთხოვ, — უპასუხა სტეფანეშვილმა.

შუა დღეა. ვანო ბენეთაშვილი ყანაში მუშაობს.

— შენ მანდ ოფლში იწურები და შენს ცოლთან ოთახში სტეფანეშვილი ბუდობს, —ეუბნება მეზობელი ბენეთაშვილს.

— რაო! ვინა? ვინ შეურაცხყო ჩემი ოჯახი? მე მაგათ ვუჩვენებ, — ვითომ გაიკვირა ეს მისთვის ჩვეულებრივი ამბავი ბენეთაშვილმა.

გაიქცა სახლში და „ყასიდათ“ ხანჯალით გაიწია ცოლისაკენ, მაგრამ არ გაუშვეს.

— როსკიპო, გარყვნილო, უნამუსო, — უყვირის ბენეთაშვილი თავის ცოლს.

— შენ თვითონ არ მითხარი, კავშირი იქონიე ამ კაცთანო? განა შენი მუქარით არ იყო, რომ ამ კაცთან დავწექი?

ბენეთაშვილმა კვლავ მიმართა სასამართლოს.

სასამართლო დარწმუნდა, რომ აქ ბენეთაშვილის ჩვეულებრივ ოინს აქვს ადგილი და პირუთნელივე პასუხით გამოისტუმრა ის.

როცა ბენეთაშვილს „იშკილები“ არ გაუვიდა, რომ ვერ მოიცილა თავიდან ცოლი სხვადასხვაგვარი ხრიკებით, მან გადასწყვიტა საზიზღარი რამ.

ერთ დღეს მიეპარა თავის ცოლს და ხანჯალი რვაჯერ ჩასცა. ცოლი გარდაიცვალა იქვე.

საქმე ადგილობრივ გაარჩია თბილისის სამაზრო სასამართლოს სესიამ.

ვანო ბენეთაშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ათი წლით.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე ამხ. ბერიშვილი, სახალხო მსაჯულები: კოპაიაშვილი და ლეკიშვილი, პროკურორი ჯანჯღავა, მდივანი სხვიტა.

ვერ.

ქრონიკა

დახმარება უმუშევრებს

შრომის სახალხო კომისარიატმა მიიღო 12.000 მანეთის მანუფაქტურა, რომელიც გაუნაწილა თბილისის, ბათომის და ქუთაისის უმუშევართა კოლექტივებს.

ფართალი

შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ცნობით მიმდინარე წელს თბილისისათვის სულ მიღებული იქნება: 8.400.000 მეტრი ბამბის ქსოვილი,—235.000 მეტრი შალი და 1.400.000 მეტრი სელის ქსოვილი. აქედან პირველ მეოთხედში უკვე შემოზიდულია მთელი რაოდენობის 30 პროც.; ამ მეორე მეოთხედში შემოტანილი იქნება 23 პროც.; მესამეში—27 პრ.; ხოლო მეოთხეში—20 პროცენტი.

საბეითლო ინსტიტუტი

ამიერ-კავკ. სახალხო კომისარიატის დადგენილებით წელს ბაქოში გაიხსნება ამიერ-კავკ. საბეითლო ინსტიტუტი.

თევზის ქონის და ქინაქინის მიღება

ჯანსახკომის ფარმაცევტიულმა განყოფილებამ მიიღო და მაზრებს შორის გაანაწილა 490 კილოგრამი ქინაქინა და 5 ტონა (5.000 კილო) თევზის ქონი. გარდა ამისა, მიღებულია აგრეთვე პირამიდონისა და ფენაცეტინის დიდი პარტია.

თბილისის აფთიაქებში დანაწილებულია—1.000 კილოგრამი თევზის ქონი.

ქუნთრუშას ეპიდემია ზუგდიდის მაზრაში

ჯანმრთელობის კომისარიატში მიღებულია დეპეშა ზუგდიდის მაზრიდან, რომელშიაც ნათქვამია, რომ უკანასკნელ ხანებში ქუნთრუშას გავრცელებამ იქ ეპიდემიის ხასიათი მიიღო. სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილება თხოულობს დაუყოვნებლივ გადაიგზავნოს მაზრაში ქუნთრუშას საწინააღმდეგო შრატი.

თბილისის აღმასკომში

◆ **ბოტანიკური ბაღი** გაფართოებული იქნა 15 დესეტინით, რომელზედაც წელს იწარმოებს სუბტროპიკულ მცენარეების გაშენება.

◆ **წყალსადენი.** თბ. აღმასკომმა სოფ. გორანში წყალსადენის გასაყვანად გადადო—2.500 მანეთი.

მიწსახკომში

◆ ადგილებზე აგრო-მომსახურების გაძლიერების მიზნით მიწსახკომმა გადასწყვიტა მაზრებზე მიამაგროს ცენტრში მომუშავე სპეციალისტი აგრონომები.

◆ **ვაზის მყნობა.** მიწსახკომმა დაადგინა ვაზის მყნობის საქმის გაფართოების მიზნით ვაზის სანერგეებში შემოიღოს მსურველთათვის მყნობის სწავლების წესი.

კრებები და მოხსენებები

◆ **ქართულ ენის კაბინეტში** (მე-14 შრ. სკოლა) დღეს, საღამოს 7 საათზე შესდგება გრამატიკის სემინარის მორიგი სხდომა, რომელზედაც ვ. თოფურია წაიკითხავს მოხსენებას: „მეტყველების ნაწილების სწავლების საკითხი“. ამავე დღეს, საღამოს 6 ს. შესდგება არაქართული სკოლების ქართულ ენის სემინარის მუშაობა.

◆ **სოციალურ ჰიგიენის აუდიტორიაში,** დღეს, საღამოს 8 საათზე შესდგება თბ. ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების მორიგი კრება, რომელზედაც მოხსენებებს წაიკითხავენ: ა. ახვლედიანი—„საშოს ხელოვნური აღდგენა“. დ. ჯავახიშვილი—„მე-6 საკავშირო სამეცნიერო საორგანიზაციო საკურორტო ყრილობა“.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტში.** პარასკევს, 17 თებერვალს, დღის 12 საათზე შესდგება უნივერსიტეტის პროფსექციათა აღმასბიუროს პლენუმი. დღის წესრიგშია: გეგმების დამტკიცება და მიმდინარე საკითხები.

შეცდომის გასწორება

ამხ. ვ. იმედაძის წერილში („თესვის კამპანიის ამოცანები“, რომელიც მოთავსებული იყო ჩვენი გაზეთის გუშინდელ №-ში) გაპარულია შემდეგი შეცდომები:

1. მეორე კალონაში წერია: კულტმეურნეობაში ჩაბმულთადმი“; უნდა იყოს: ...„კოლექტიურ მეურნეობაში ჩაბმულთადმი“. 2. მესამე კალონაში წერია: „...თვითეულ დღიურზე თაპონიური სოის თესლი იძლევა მოსავალს არა ნაკლებ ერთი მეათედისა, უკიდურეს შემთხვევაში არა ნაკლებ ერთი მეოცედისა“; უნდა იყოს: ...„ყოველ დათესილ მიწაზე (დღიურზე) იაპონური სოის (მუხუდო) არა ნაკლები ერთი მეათედი ყოველ შემთხვევაში არა ნაკლები ერთი მეოცედი—აი დღევანდელი დაკვრითი ამოცანა“. 3. მესამე კალონაში წერია: „უაღრესი მნიშვნელობა აქვს ცოცხალ ღობის დარგვას (მწვანე ღობე)“; უნდა იყოს: ...„უაღრესი მნიშვნელობა აქვს გარეული ლიმნის (ტრიფოლიეტკას) დარგვას ცოცხალი ღობის გასაკეთებლად“.

ხელოვნება

ბ. ლავრენევი „რღვევა“-ს წარმოდგენაზე

რუსთაველის თეატრში

შაბათს, 14 თებერვალს, რუსთაველის სახ. თეატრში გამართულ „რღვევა“-ს მესამე წარმოდგენას დაესწრო აღნიშნულ პიესის ავტორი—**ბორის ლავრენევი,** რომელსაც წარმოდგენის დამთავრებისას დამსწრე საზოგადოებამ და თეატრის თანამშრომლებმა მხურვალე ოვაციები გაუმართეს. ლავრენევმა წარმოსთქვა მოკლე მისასალმებელი სიტყვა, რომელშიაც სხვათა შორის სთქვა:

— ჩემს სიცოცხლეში პირველად ვესწრები წარმოდგენას ქართულ თეატრში. მიუხედავად იმისა, რომ მე არ მესმის ქართული ენა, მე აღტაცებაში მომიყვანა ჩემი პიესის გმირების ასე მოხდენილად განსახიერებამ. პიესის საუცხოვო დადგმამ, მსახიობების მშვენიერმა თამაშმა და მაყურებელთა განსაკუთრებულმა ინტერესმა წარმოდგენისადმი მე ისეც განმაცდევინა საკუთარი შემოქმედება. ვგრძნობ, რომ რუსთაველის თეატრი თავისი შემოქმედებით და მიღწევებით დიდ მოვლენას წარმოადგენს ჩვენს თანამედროვე საბჭოთა თეატრალურ სინამდვილეში.

ბ. ლავრენევის სიტყვა მხურვალე ტაშმა დაფარა. ბ. ლავრენევმა რუსთაველის თეატრის წარმოდგენების საოქმო წიგნში ჩასწერა შემდეგი:

— ძვირფასო ამხანაგებო! გულწრფელად, მხურვალედ მივესალმები საქართველოს ახალგაზრდა თეატრს, რომელმაც ასეთი საუცხოო წარმოდგენა გვაჩვენა. იმ შეერთებულმა, მშვენიერმა და რთულმა მუშაობამ, რომელსაც ახასიათებდა ნამდვილი შემოქმედება და აქტიორთა კოლექტივის მთლიანობა და რომელიც მე ვნახე „რღვევაში“, მე ღრმად ამაღელვა.

წრფელი გულით ვუსურვებ რუსთაველის თეატრის ყველა თანამშრომლებს ასეთივე ენერგიით და აღფრთოვანებით განაგრძოთ მუშაობა ეროვნული თეატრის განვითარების გზაზე.

მიიღეთ ჩემი გულწრფელი მადლობა
ბორის ლავრენევი.

ბ. ლავრენევი „რღვევა“-ს შესახებ

— რუსთაველის სახ. თეატრში დადგმულმა „რღვევა“-მ განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე—განაცხადა ბ. ლავრენევმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში.

იმ დადგმებთან შედარებით, რომელიც მე მინახავს საბჭოთა კავშირის ყველა დიდ ქალაქებში, რუსთაველის თეატრში დადგმული „რღვევა“ უთუოდ დიდი გამარჯვებაა ქართველი რეჟისორისა და მსახიობების პიესის შინაგანი ბუნების გაგების და მისი განსახიერების მხრივ. აქ უბრალო დეტალიც კი არაა უყურადღებოდ დატოვებული. წარმოდგენა განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მასიურ სცენებში. მეტად ეფექტიურია და კარგათაა შესრულებული მეოთხე აქტი, როცა „ავრორა“ ილაშქრებს პიტერზე. ფინალის ასე გადაჭრა თავდებია რეჟისორის დიდი კულტურისა და გემოვნების.

რაც შეეხება პიესის კონსტრუქტიულ განსახიერებას, იგი ერთ საუკეთესოდ მიმაჩნია.

თამაშის მხრივ არ შეიძლება ორი აზრის გამოტანა. რუსთაველის თეატრის მსახიობებმა თავიანთი მოხდენილი თამაშით შესძლეს ყველა დაბრკოლებათა დაძლევა და საუცხოვოდ განასახიერეს ჩემი პიესის გმირები. მათ დიდი აქტიორული კულტურა, მომზადება და ალღო გამოიჩინეს მასიურ სცენების გადმოცემაში.

ქართულ ენაზე „რღვევა“-ს წარმოდგენას მე დავესწარი, როგორც მაყურებელი და მოხარული ვარ, რომ საკუთარი შემოქმედება ისე ძლიერ განვიცადე, როგორც მისი პირველი წარმოდგენა ვახტანგოვის სახ. თეატრში მოსკოვში.

გარეკახელ გლეხთა რჩეულ მომღერლების კონცერტი

ა.-წ. თებერვლის 11 გაიმართა ფრიად საინტერესო კონცერტი, რომელიც მოწყობილ იქნა ი. მჭედლიშვილის ინიციატივით და შეიცავდა აღმოსავლეთ საქართველოს ხალხურ შემოქმედების სასიმღერო ნიმუშებს. ი. მჭედლიშვილის მოხსენების შემდეგ „ქართული ხალხური თეატრი და მისი მსახიობები“, გარე-კახელ გლეხთა გუნდმა შეასრულა მრავალი ხალხური სიმღერა, დაყოფილი პროგრამის მიხედვით სამ კატეგორიათ: შრომის სიმღერები, გლეხურ ყოფა-ცხოვრების გამომხატველი სალხინო და სანადიმო სიმღერები ამგვარი დანაწილება კონცერტის პროგრამაში, ჩვენის აზრით მიუღებელია სიმღერის ტექსტალურ შინაარსის მიხედვით. ჩვენთვის უფრო საყურადღებოა სიმღერების მუსიკალური შინაარსი. ის კი შეიძლება დავყოთ ასე: სოფლის საკუთარი შემოქმედება, ქალაქ-ბაზრის ზეგავლენის მატარებელი ხალხური შემოქმედება და ხალხური, უცხო ტომთა ზეგავლენის მატარებელი. მუსიკალური მეცნიერებისათვის პირველი კატეგორიის სიმღერები დიდ განძს წარმოადგენენ, როგორც უტყუარ ხალხური სტილის და ამ სტილის მაჩვენებელ თავისებურობებისა. გარე-კახეთის გუნდის მიერ კარგად შეწყობილია ამ კატეგორიიდან სიმღერები მკისა („ჰეგი-ჰოგი“), მხედრული ორპირად, მაყრული ორპირად, მუშური და ხელხვავისა, სალამური და ჩაკრულო. ყველა ის სიმღერები რომელნიც საერთოდ უცხოა ქალაქ ბაზრის ცხოვრებისათვის და ამიტომ რჩება სოფელში ხელ-უხლებლად, არ კარგავს მელოდიურ მოხაზულობას და ჰარმონიულ წყობის თავისებურობას; ამ სიმღერებმა კი, რომელნიც სხვადასხვა აკუსტიურ მიზეზების გამო ეჩვევიან ქალაქ ბაზრის ყურთა-სმენას, ძლიერს სასიმღერო პოპულიარობა, და ხალხური ფანტაზიის მიხედვით დაიყვეს სხვადასხვა ვარიანტებით, ბევრ შემთხვევაში დაჰკარგეს თავისი მოხაზულობა და ჰარმონიული წყობა და სწორედ ამ სახით შესრულა ისინი გარე-კახელთა გუნდმა. ამ მეორე კატეგორიის წარმომადგენლებათ გარე-კახელთა პროგრამაში ჩაითვლება სიმღერები: თამარ ქალო, ბერიკაცი ვარ, ძლიერ სტიროდა, თვით კახური მრავალჟამიერიც კი და სხვა. ამის მაჩვენებლად ჩაითვლება გუნდის სიმღერაში პარალელურ ტერციების (ორი ბგერა ერთმანეთთან დაშორებული ერთის და ნახევარის ან და ორის სრული ბგერის მანძილით) მსვლელობა პირველ და მეორე მოძახილში და ამასთან შეკავშირებული ბანის ნაბიჯები დომინანტის (სამი და ნახევარი ბგერა) მანძილზე და სხვ. ამ სიმღერების შემოწმება გუნდისათვის სოფლელებს საერთოდ უნდა ენდელებოდეთ, ვიდრე ქალაქელებს. ამის მიზეზად ჩაითვლება ის, რომ თანამედროვე ქალაქელის აკუსტიური აპარატი ევროპიულ მუსიკის ზეგავლენის გამო დაშორებულია ბუნებრივ წყობას და შეჩვეულია ტემპერაციაქმნილ ბგერათა მიმდინარეობასთან (ტემპერაციაქმნილ ბგერათა მიმდინარეობაში ყოველი ნაბიჯი დომინანტის მანძილზე ბგერის ერთი მეასედით ნაკლებია იმავ ნაბიჯზე ბუნებრივ წყობისა), რომლის კუთვნილებათ ჩაითვლება პარალელური ტერციები და დომინანტის მანძილზე ნაბიჯები. ბგერათა ბუნებრივი მიმდინარეობა კი ქალაქის სმენას მიაჩნია შეცდომათ, და ამიტომ, როდესაც გარე-კახელები შესანიშნავად ასრულებდენ პირველ კატეგორიის სიმღერებს, ბუნებრივი მიმდინარეობის კილოს დაცვით, ბევრ მსმენელთათვის კილოს ამგვარი მოქცევა უნდა ყოფილიყო უცნაური. სიმღერათა მესამე კატეგორიის ნიმუშად ჩაითვლება გლეხ-კაცის ჯაბაურის ფანდურზე დამახილი, რისაც ნათლად ემჩნევა სპარსეთის ზეგავლენა და რაც წარმოადგენს სპარსულ შაიათურის გარდატეხას გლეხის ფსიქიკაში. ამგვარი სიმღერები მუსიკალურ მეცნიერებისათვის ინტერესს არ წარმოადგენენ, ვინაიდან სპარსულ მუსიკის ანალიზი მოსძებნის მასალას სპარსულ მუსიკის ბუნებრივ წყაროებში.

კონცერტმა მიიზიდა დიდძალი ხალხი და დასტოვა აუდიტორიაზე დიდი შთაბეჭდილება.

ჯ. მ.-უ.

შემთხვევები

4 კაცის დაჭრა

გუშინწინ, საღამოს 11 საათზე, ვანო გრიგოლის ძე მანუკიანცმა თავის ძმა არშაკას დახმარებით ბებუთით სასიკვდილოთ დაჭრა ეკატერინე ხაჩმანუკიანცი (მცხ. მაშხალის შესახვევი ნომერი 24). საავადმყოფოში მიყვანისას ხაჩმანუკიანცის ქალი გარდაიცვალა. ამავე ბოროტმოქმედებმა იმავე ღამეს მძიმედ დაჭრეს იაკობ მეგრელიძე და რაფიელ ხაჩმანუკიანცი, ხოლო ამ უკანასკნელმა მსუბუქად დაჭრა კისერში ვანო მანუკიანცი.

იაკობ მეგრელიძე და რაფიელ ხაჩმანუკიანცი გაგზავნეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

ბოროტმოქმედნი: ვანო და არშაკ მანუკიანცები დააპატიმრეს.

ვანო მანუკიანცი, როგორც დაჭრილი, მოათავსეს ცენტრალურ გამსახლის საავადმყოფოში.

შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ იუსტიციის სახალხო კომისარიატის მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი ხ. მესარქიშვილი და სისხლის სამართლის მილიციის წარმომადგენელი ტ. კოპალეიშვილი.

ზემოხსენებულ ბოროტმოქმედებას წინ უძღოდა შემდეგი გარემოება:

ვანო და არშაკ მანუკიანცსა და რაფიელ ხაჩმანუკიანცს შორის წინათ არსებობდა მტრული განწყობილება. ორი დღის წინათ რაფიელის ძმამ, არამ ხაჩმანუკიანცმა შეიძინა სათევზე ბადე და გუშინწინ საღამოს გადიხადა „მაღარიჩი“. ქეიფის შემდეგ არამ და რაფ ხაჩმანუკიანცი ეტლით მივიდნენ სახლში. მათ მაშხალის შესახვევში შეხვდა ვანო და არშაკ მანუკიანცი. რაფიელ ხაჩმანუკიანცი და ვანო მანუკიანცი წაილაპარაკეს. რაფიელს მიეშველა მისი რძალი ეკატერინე. მანუკიანცმა იძრო ბებუთი და ჩასცა ქალს. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო იქვე მყოფმა პირებმა. შეიქნა ბებუთების და კეტების ტრიალი. ბრძოლა ნახევარ საათზე მეტი გაგრძელდა. ხმაურობაზე მივიდენ ხელისუფლების წარმომადგენელნი და დამნაშავენი დააპატიმრეს.

თავდასხმა

გუშინწინ, ღამის 12 საათზე, კონსტანტინე ეფრემის ძე ხილაევს ყოფ. შერემეტიევის ქუჩაზე (დიდუბის და ფოთის ქ. კუთხეში) დახვდა უცნობი მოქალაქე, რომელმაც „ნაგანის“ რევოლვერის ტარი დაარტყა მას თავში. უცნობ პირს რევოლვერი გაუვარდა ხელიდან. ხილაევმა სწრაფად აიღო რევოლვერი, თავდამსხმელი კი სწრაფად მიიმალა.

ხილაევმა მომხდარ ამბის შესახებ აცნობა მილიციას, რომელმაც ბოროტმოქმედი დააპატიმრა. იგი აღმოჩნდა ნიკოლოზ ივლიანეს ძე შილაკაძე (მცხ. გორის ქ. № 14).

ყუმბარის მსხვერპლი

მლაშე ტბის მახლობლად (მე-11 სამილიციო რაიონი) მწყემსმა ალექსი უნკანჭიშვილმა მინდორში იპოვა ზარბაზნის ყუმბარა. გასინჯვის დროს ყუმბარა გასკდა და უნკანჭიშვილი სასიკვდილოთ დააშავა.

კოოპერატივის გაძარცვა

გუშინ, საღამოს კედლის გამონგრევის საშუალებით გაძარცვეს კოოპერატიული მაღაზია, მდებარე გერმანელთა ახალშენში. წაიღეს 600 მანეთის საქონელი.

გვამის პოვნა

გუშინ,საღამოს კრაპოტკინის ჩიხში № 4 იპოვეს 75 წლის იოსებ ვაშაკიძის გვამი.

გვამს ძალდატანებითი სიკვდილის ნიშნები არ ეტყობა.

ქურდის შეპყრობა

გუშინ, დღისით მილიციამ დააპატიმრა ტიმოთე ანატოლის ძე ზაგალიევი, რომელმაც გაქურდა მე-13 საბავშვო ბაღი.

კინო

კინემატოგრაფიულ ამერიკანიზმის რეციდივი

სახკინმრეწვმა გამოუშვა თავისი მორიგი სურათი, „ქალი ბაზრობაზე ნაპოვნი“, დადგმული ახალგაზრდა რეჟისორ მაკაროვის მიერ. ამ სურათზე ღირს მკითხველის ყურადღების შეჩერება. არა იმიტომ, რომ ის სახკინმრეწვის სურათია, ანდა რაიმე საინტერესოს და სენსაციურს წარმოადგენს, არამედ იმიტომ, რომ ამ სურათით ჩვენ ნათლად შეგვიძლია დავინახოთ, თუ რას ნიშნავს ამერიკულ-ბურჟუაზიულ კინემატოგრაფიის გავლენა.

ამერიკულ კინემატოგრაფიას პირველი ადგილი უჭირავს დღემდე მსოფლიო კინემატოგრაფიაში. ამიტომ არც არის საკვირველი, რომ ის გავლენას ახდენდეს სხვა ქვეყნების ნაკლებად განვითარებულ კინოზე. მაგრამ ჩვენ საბჭოთა ქვეყანაში განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო, რათა ამ გავლენას ადგილი არ ჰქონდეს. ამერიკული სურათები იმიტომ წარმოადგენენ ჩვენთვის უდიდეს საშიშროებას, რომ ისინი ფორმალურად და ტეხნიკურად მშვენივრად არიან გაკეთებული. ხშირად სურათი ისე კარგად არის შესრულებული, რომ მტკიცე თვალსაზრისის მქონე მაყურებელშიც მეტად ძლიერ უარყოფით ემოციონალურ რეაქციას იწვევს. ამგვარ გატაცებას ადგილი რომ არ ჰქონდეს, საჭიროა ემოციონალურ გარემოს ცუდ გავლენას რაციონალური საშუალებებით ვებრძოლოთ. ეს კი აუცილებლად დიდი გამარჯვებაა ბურჟუაზიულ კინემატოგრაფიის ფორმალ მიღწევებისა. ამიტომ არის, რომ ხშირად ჩვენი კინემატოგრაფიის მუშაკები იმყოფებიან ამ ცუდ გავლენის ქვეშ.

ასე მოუვიდა ამ შემთხვევაშიაც მაკაროვს. მან მოისურვა ძველი ამერიკულ კინოს მეთოდებით ეჩვენებინა ახალი იდეა, იდეა კერძო საკუთრების წინააღმდეგ ბრძოლისა. მიაღწია თუ არა მან რაიმე დადებით შედეგს? ჩვენ დაბეჯითებით უნდა ვთქვათ, რომ მაკაროვი აქ სასტიკად დამარცხდა. მთავარი იდეა დადგმისა სურათში დაიკარგა. ჩვენ, ერთ დროს სახკინმრეწვის ხელმძღვანელებმა, აუცილებლად შეცდომა დაუშვით საქმის უცოდინარობის გამო, როდესაც შევეცადეთ ამერიკული კინემატოგრაფიის საშუალებით დადებით რეზულტატის მიღებას. ცხვრის ფარა სამწყსოდ მგელს ჩავაბარეთ. შედეგად ჩვენ მივიღეთ სურათი, რომელიც მოუხედავათ წარწერებისა, მონტაჟის ტენდენციურობისა, ვერავითარ დადებით შედეგს ვერ იძლევა. სურათის დადგმა მხოლოდ მაშინ იქნებოდა გამართლებული, რომ მაყურებელს ემოციონალურ საშუალებებით შეეგრძნო კერძო საკუთრების ინსტიტუტის აბსოლიუტური სისაძაგლე. სურათი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა მისაღები, თუ მაყურებელი მხატვრულ ფაქტის ზეგავლენით გაიგებდა, თუ რა საზიზღროებამდის მიდის ადამიანი, რომ შეინარჩუნოს ფერმა კერძო საკუთრებათ. ამ შემთხვევაში სულ ერთია სად განვითარდებოდა მოქმედების სიუჟეტი, აქ, საქართველოში, თუ სადმე სხვა ქვეყანაში. მე არ ვიცი, რატომ გონიათ ზოგჯერ, რომ, რადგან ჩვენი სახკინმრეწვი სდგამს სურათს, ის აუცილებლად ქართულ შინაარსზე უნდა იყოს აშენებული. თუ გადასაღები მასალა ხელს უწყობს და სწორი სოციალური დაკვეთაც არის, რატომ არ შეიძლება სხვა ქვეყნის მასალის აღება. საქმე ამაში კი არ არის, არამედ იმაშია, რომ მაკაროვმა ვერ შესძლო მთავარი იდეის განხორციელება, რადგან მის გაფორმებას ის ამერიკანულ-ბურჟუაზიულ კინოს ხერხებით მიუდგა. ჩვენ მივიღეთ სენტიმენტალური მელოდრამა, რომლის დრამატიული და კინემატოგრაფიული განვითარება საშუალო ამერიკული სურათის შაბლონს წარმოადგენს. ამ მხრივ სურათი სხვა სურათებთან შედარებით იქნებ კარგადაც არის გაკეთებული. პირველ ნაწილში იმის მაგივრად, რომ მოცემული ყოფილიყო ძმათა ბრძოლა ფერმისათვის, ჩვენ დავინახეთ უბრალო ბანალური სიუჟეტის განვითარება, რომელიც ზოგ ადგილას რეჟისორის მიერ იმდენად კარგად იყო გაკეთებული, რომ არ შეიძლებოდა კარგი შთაბეჭდილება არ დაეტოვებია მაყურებელზე. მით უმეტეს, რომ ვახაძის, ლამბაშიძის, მაჩაშვილის და განსაკუთრებით მარჯანის კარგი კინემატოგრაფიულ გამომეტყველებაზე დამყარებული თამაში და ოპერატორის ნამუშევარი ოსტატურად იყო გაკეთებული.

სურათის მეორე ნაწილი, სადაც უნდა ყოფილიყო გაცხარებული ბრძოლა ფერმისათვის, გადაიქცა დრამატიულ სანახაობად ვახაძისა და ბელეცკაიას გულწრფელ სიყვარულისა. ეს ადგილი სცენარში ისე, როგორც ის ნაჩვენებია ეკრანზე, ძალზედ მეტ სიყალბის შთაბეჭდილებას სტოვებს. ერთის მხრით, წარწერებით რეჟისორს უნდოდა ეჩვენებინა, რომ არავითარ გულწრფელ სიყვარულს ადგილი არა აქვს და რომ მთელი სიყვარულის თეატრი მოგონილია ფერმის ხელში ჩასაგდებად, მაგრამ მეორე მხრით, მსახიობის თამაში, რეჟისორის დაკვეთით, კადრების საერთო კომპოზიცია, განათება და საზოგადოთ მუშაობის მთელი სტილი მიმართულია იმისაკენ, რომ რაც შეიძლება მეტის ძალით და კინო-საშუალებების განსაკუთრებულ გამოყენებით ჩვენ გვაჩვენოს ორი არსების გულწრფელი სენტიმენტალური სიყვარული (მაგ. კადრები: დედის სურათთან, ტყეში ვახაძის და ბელეცკაიას შორის კუკლუცი თამაში, შვილის აკვანთან და ასე შემდეგ). ეს სრულებით ანელებს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც შეიძლებოდა შექმნილიყო იმ ხაზიდან, რომლის მეტად ბნელი კონტურები თითქოს მოჩანდა სურათის დასაწყისში. ბელეცკაია იმდენ სექსუალურია ამ კადრებში, რომ ჩვენის აზრით აქ მეტის მეტ, სრულებით გაუმართლებელ გადაჭარბებას აქვს ადგილი. როგორც სენტიმენტალური მელოდრამა, მაკაროვმა ეს სურათი ეგებ კარგადაც შეასრულა. მაკაროვი, როგორც ეტყობა, კარგი მოწაფეა პროტოზანოვ-პერესტიანის და კლასიკურ კინემატოგრაფიულ სკოლის. მან ამ მიმართულებით მთელი კოლექტივი კარგად აამუშავა. განსაკუთრებით ოპერატორი ენგელსი. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ ხაზს კინემატოგრაფიაში არაფრის გაკეთება არ შეუძლია საბჭოთა მშრომელ მაყურებლისათვის.

ამ სურათმა ყველას ნათლად დაუმტკიცა, თუ რატომ არ შეიძლება ამერიკულ მეთოდებით საბჭოთა რევოლიუციონურ კინემატოგრაფიულ ფაქტის შექმნა. თუ ჩვენ გვინდა ახალი პროლეტარული კინემატოგრაფია, კინემატოგრაფიულ ამერიკანიზმს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ.

ვ. მაჭავარიანი.

რკინის გზაზე

მატარებლის დამტვრევა ლიხი-ხაშურის შუა

14 თებერვალს, ღამის სამ საათზე, ლიხი-ხაშურის შუა დაიმტვრა საბარგო მატარებელი № 107. სრულიად დაიმსხვრა ხორბლით დატვირთული შვიდი ვაგონი. ხორბალი დაიბნა. დაზიანებულია ორი ორთქლმავალი და რამოდენიმე ვაგონი. მოკვდა ერთი უბილეთო მგზავრი, რომლის ვინაობა ვერ გამოარკვიეს. მოძრაობა შეწყვეტილი იყო შვიდი საათის განმავლობაში.

როგორ მოხდა დაჯახება

მატარებელი № 107 სადგ. ლიხში მივიდა 14 თებერვალს დაახლოებით ღამის სამ საათზე—27 დატვირთული ვაგონის შემადგენლობით. მატარებელი უნდა გაეგზავნათ ხაშურში, მაგრამ უკანასკნელმა თავისუფალ ხაზის უქონლობის გამო მატარებელი არ მიიღო.

რათა ორთქლმავლები (მატარებელი ორი ორთქლმავალით მიდიოდა) არ გაჩერებულიყო უსაქმოდ, ისინი მოხსნეს შემადგენლობას და გაგზავნეს ხაშურში.

რამოდენიმე ხნის შემდეგ, უორთქლმავლოდ დარჩენილი შემადგენლობა მოულოდნელად დაიძრა ადგილიდან. ლიხიდან—ხაშურისაკენ დაღმართია და შემადგენლობაც მასზე სწრაფად დაეშვა. მე-328 კილომეტრზე მატარებელი წამოეწია ორთქლმავლებს და დაეჯახა.

შემადგენლობიდან ზემოდ აღნიშნული შვიდი ვაგონი სრულიად დაიმსხვრა, ხოლო ორთქმავლები და რამოდენიმე სხვა ვაგონი დაზიანდა. გადარჩენილი ვაგონები დააბრუნეს უკან ლიხში.

ხაშურიდან შემთხვევის ადგილზე გაიგზავნა დამხმარე მატარებელი, რომლის საშუალებით ხაზი გაწმინდეს და მოძრაობა აღადგინეს 15 თებერვალს დღის 10 საათზე.

რა ირკვევა

მომხდარ შემთხვევის ანალიზიდან ირკვევა, რომ აქაც ადგილი ჰქონდა მატარებელზე მყოფ გზის აგენტების დაუდევრობას, რომელთაც არ დაამუხრუჭეს უორთქლმავლოდ დარჩენილი შემადგენლობა.

გამოყოფილია სპეციალური კომისია ამ შემთხვევის მიზეზების გამოსარკვევად.

ავიაქიმში

უჯრედების მუშაობის გამოკვლევა.

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების თბილისის საბჭო ამჟამად აწარმოებს სამხედრო ნაწილების, წარმოებების და დაწესებულებების ავიაქიმ-უჯრედების მუშაობის გამოკვლევას.

დღევანდლამდის გამოკვლეულია 10 უჯრედის მუშაობა.

გამოკვლევის მიზანია გამორკვევა იმის, თუ როგორ მუშაობენ უჯრედები, რამდენად არიან დაკავშირებულნი სარაიონო საბჭოებთან და რა ხასიათის მასიურ მუშაობას აწარმოებენ.

თბილისის საბჭოს ცნობით, უჯრედების მუშაობა შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. უჯრედებთან არსებობს სამხედრო კუთხეები, პირველი დახმარების და სასროლო წრეები, ტირები და სამხედრო ბიბლიოთეკები.

ამ დღეებში თბილისის საბჭო შეუდგება რკინის გზის მთავარ სახელოსნოების უჯრედების გამოკვლევას.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 16 თებერვალი

დღეს, 16 თებერვალს, რადიო-მუშაკთა დასასვენებელი დღეა, გადაცემა არ იქნება.

პარასკევი, 17 თებერვალი.

17 თებერვალს თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

სამომხმარებლო კოოპერაციის როლი საგლეხო სესხის პოპულარიზაციის და რეალიზაციის საქმეში—ქართულ ენაზე.

საუბარი: მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები—ქართულ ენაზე.

საერთაშორისო მდგომარეობა—თურქულ ენაზე.

საუბარი ბიოლოგიაზე—რუსულ ენაზე.

შემნახველი სალაროების მნიშვნელობა—ქართულ ენაზე.

რა სთქვა საკ. კ. პ. (ბ) მე-15 ყრილობამ სოფლად მუშაობის შესახებ—სომხურ ენაზე.

კომკავშირის გაზეთი—ქართულ ენაზე.

ოპერა „ტაის“-ის ტრანსლიაცია.

ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

ტეხნიკური კონსულტაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

ა. კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, ხუთშაბათს, 16 თებერვალს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გზავნის შემდეგ უმუშევრებს. კვალიფიციურ მუშაკთა პირველი სექციიდან: ოლღა ტატიშვილი; გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: დანიელ მეგრელიშვილი, თედორე დოლიძე და თედორე გიგინეიშვილი. შრომის ბირჟის მედსექცია უმუშევართა საყურადღებოთ აცხადებს, რომ დამატებით მიღებულია მოთხოვნილება რუსეთიდან მედპერსონალზე. დაწვრილებით ცნობების მისაღებად მსურველმა უნდა მიმართოს შრომის ბირჟის მედსექციას.

იუსტ. განყოფილება

დადგენილება.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოისა.

7 საათის სამუშაო დღის პრაქტიკულად განხორციელების საკითხის შესამუშავებლად რესპუბლიკანური კომისიის მოწყობის შესახებ.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა. კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის იანვრის 19-ს თარიღისა და № 4 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის შესრულებისათვის,—7 საათის სამუშაო დღის პრაქტიკულად განხორციელების საკითხის შესამუშავებლად, ს. ს. რ. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წ. ოქტომბრის 15-ს მანიფესტის თანახმად (ს.ს.რ.კ. კან. კ. 1927 წ. 61 №-რი, მუხ. 613), მოეწყოს რესპუბლიკანური კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე—საქართველოს ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი ამხ. თოდრია და წევრნი: საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ყურულაშვილი და საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ჭიჭინაძე.

2. წინადადება მიეცეს რესპუბლიკანურ კომისიას თავისი მოქმედებისათვის იხელმძღვანელოს 7 საათის სამუშაო დღის პრაქტიკულად განხორციელების საკითხის შესამუშავებლად არსებული ამიერ-კავკასიის კომისიის მიერ შემუშავებული დირექტივები.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ლ. ქართველიშვილი.
საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგ.
ს. [illegible]
1928 წ. თებერვალი 15.
თბილისი — სასახლე.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი მისცეთ ამ ჩემ განცხადებას ჩემი გამოცემული რუსულ - ქართული ლექსიკონის შესახებ.

მე გადავწყვიტე სასწრაფოდ გამოუშვა შენიშვნები და შესწორებები იმ შეცდომებისა, რომლებიც გამოეპარა პირველ ტომში, და დავურიგო უფასო დამატებად პირველი ტომის მყიდველებს და ხელისმომწერლებს.

ხოლო რაც შეეხება მე-II-ე ტომს, მიღებული იქნება ყოველგვარი ზომები შესაფერი ძალების მოწვევის საშუალებით, რათა იგი იქნას პირველზე უკეთესად დამუშავებული და გადახედული.

რუს.-ქართ. ლექსიკონის რედ. - გამ. **ი. აბულაძე.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

სახ. უნივერსიტეტის პედაგ. ფაკულტ. არსებული ახ. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა მოწვეულია დღეს, 16 თებერვალს, დღის 12 საათზე. საღამოს 6 საათზე კი მოწვეულია ამავე უჯრედის მორიგი კრება.

წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

— : —

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საორგ.-აღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს სასწრაფოდ გამოცხადდენ აღნიშნულ განყოფილებაში (ოთახი 9) ამხ. თარხანოვთან:

ილია გრიგოლის ძე რიჟენკო, პალადი ალექსანდრეს ძე დარახველიძე, გრიგოლი დავითის ძე ინწკირველი, ნიკოლოზ ტრ. ვერევიჩევი, ილია ვასილის ძე ცხოვრებოვი, ვლადიმერ ფრანცის ძე სლოტინსკი, პურუროვი; მიხეილ მაქსიმეს ძე ისაევი, კონსტანტინე პეტრეს ძე ოლხოვი და ვლადიმერ ვასილის ძე გავრილჩევი.

იმ შემთხვევაში თუ დასახელებული ამხანაგები არ იმყოფებიან თბილისში ვთხოვთ სათანადო პარტორგანიზაციებს შეგვატყობინონ მათი მისამართი.

სახ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტთან არსებულ ახ. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 16 თებერვალს, საღამოს 6 საათზე შესდგება ამავე უჯრედის დახურული კრება.

წევრ-კანდიდატთა დასწრება აუცილებელია.

— : —

საქ. ა. ლ. კ. კ. ლენინის რაიკომის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ შაბათს 18 თებერვალს, საღამოს სრულ 5 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბის შენობაში შესდგება კომკავშირის პოლიტ-განათლების მესამე კონფერენცია. ყველა პოლიტ-სკოლების მიმდინარე პოლიტიკის და გაზეთის წრეების დელეგატების, ხელმძღვანელების, უჯრედების აგიტ-პროპ ორგანიზატორების დასწრება კონფერენციაზე სავალდებულოა.

— : —

სამკურნალო ფაკულტეტის პარტკოლექტივის ბიურო იტყობინება, რომ შაბათს, 18 თებერვალს, საღამოს 6 საათზე უნივერსიტეტის შენობაში მოწვეულია სამკურნალო ფაკულტეტის პარტკოლექტივის (კომუჯრედის) კრება. დასწრება აუცილებელია.

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 15 თებერვალს, ღამის 9 საათსა და 20 წუთზე ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანი
1—3

სამუდამოდ გულმოკლულნი და თავზარდაცემულნი: მეუღლე გაიანე, შვილები: ეკატერინე (ცაბურა), ლიდა, შუშუ, ვალიკო, გოგოლია და ძმა ევთიმე ცოლშვილით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მღვდელი

ლავრენტი ლაზარეს-ძე
ხოშტარიას

გარდაცვალებას ს. სუჯუნაში (სენაკის მაზრა), დაკრძალვა იქვე შაბათს, 18 თებერვალს. 1449

ღრმათ დამწუხრებულნი: სალომე, ტაია, აკაკი ცოლშვილით, ვერა, კალი, ვარლამი და ბაგრატ მაჯაგალაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს პირველის საყვარელ ძმის, მეორის ცოლისძმის და უკანასკნელთა აღმზრდელ ბიძის მღვდელი

ლავრენტი ლაზარეს-ძე
ხოშტარიას

გარდაცვალებას ს. სუჯუნაში (სენაკის მაზრა), დასაფლავება იქვე შაბათს, 18 თებერვალს. 1449

გაუბედურებული მეუღლე მიხეილი, შვილები: ჯუანშერი და ქეთევანი, მშობლები: ზაქარია და თეკლე, დედამთილი და მამამთილი ნინო და იოსები ვარდოშვილები, მაზლები—გიორგი, შალვა ვარდოშვილები და მული ანა ვარდოშვილი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ა. წ. 14 თებერვალს, დილის 11 საათზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

შურა (საშა) ზაქარიას ასული
ვარდოშვილისა

დაკრძალვა მოხდება დღეს 16 თებერვ., დღის 3 საათზე. გამოსვენება საკ. ბინიდან კუმისის ქ. № 42 პეტრე პავლეს სასაფლაოზე (ავლაბარში) (ეღ)

გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფნი დედა მელანია ცომაია, ქმარი ერემია დიმიტრის-ძე გულისაშვილი, შვილით, რძლებით და შვილისშვილებით, ძმები ვანო და ანდრო ცოლშვილით, შვილი კოტიკა ცომაია, დები: ანეტა ცომაია, მარიამი ზაალიშვილისა და ელისაბედ კონტრიძისა ქმარშვილით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 14 თებერვალს, საღამოს 7 საათზე გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

ნინო ზაქარიას ასული
ცომაია-გულისაშვილისა

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ საღამოს 6 საათიდან. გამოსვენება შაბათს, 18 თებერვალს, ნაშუადღევის სამ საათზე საკუთარ ბინიდან —ჟორესის (ყოფ. კირკის) 65. 1447 2—1

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფი მამა ტაიელ შარვანის-ძე კობახიძე, დედა ოლღა და ლიუბა, ძმა ვალიკო და ციბალიკო კობახიძეები, მამიდა მარო, ბებია დესპინა, დეიდა ლიზა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ მათი საყვარელი და დაუვიწყარი

ჟორჟიკა კობახიძეს

უდროოდ დაკარგვას, რომლის დაკრძალვა მოხდება ვერის ახალ სასაფლაოზე, ხუთშაბათს, 16 თებერვალს, 3 ნახ. საათზე. გამოსვენება კომუნალური ქ. № 66 (ყოფ. ვორონცოვის ქ.) 1448

---

14 თებერვალს, გარდაიცვალა

ნატალია მიხეილის ასული
სიჭინავა

რასაც იუწყებიან მისი ნათესავები და მეგობრები. გამოსვენება პარასკევს, 17 თებერვალს. დღის 4 საათზე ქალ. 1-ლი კლინიკ. ინსტიტუტიდან (ყოფ. ალექსან. საავადმყ.) კუკიის სასაფლაოზე. 1451 2—1

სრულიად საქართველოს სოცდახღვევის კომიტეტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ ა. წ. 13 თებერვალს, გარდაიცვალა კომიტეტის თანამშრომლის ამხ. კოტე ასანიშვილის მეუღლე

ეკატერინე სოლომონის ასული
ასანიშვილისა

დაკრძალვა ა. წ. 16 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან—19 თებერვლის ქუჩა, № 29. 1446

ღრმად დამწუხრებული მეუღლე კოტე (კონსტანტინე) ასანიშვილი შვილებით: ელიკო, ქეთო და თენგიზი, დედა ნატალია და ვერა გოგოლაძეები, დედამთილი მარიამ ასანიშვილისა აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ამა წლის 13 თებერვალს, ღამის 9 საათზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

კატო სოლომონის ასული
ასანიშვილისა

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება 16 თებერვალს ნაშუადღევის 4 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან—19 თებერვლის ქუჩა, № 29. ნ. 615 2—2

თავზარდაცემული მაზლები: გიორგი, ვანო, ლადო და ვასიკო ასანიშვილები, მულები: ნინა ხახუტაშვილისა, ანიჩკა მირაქაშვილისა, ჟენია აბესაძისა, თამარა ბოკერიასი და ქსენია ასანიშვილი, სიძეები: არკადი მირაქაშვილი გიორგი აბესაძე, ვალიკო ბოკერია და რძლები კატო და სირანე ასანიშვილები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი რძალი

კატო ასანიშვილისა

დაკრძალვა მოხდება ა.წ. 16 თებერვალს ვერის ახალ სასაფლაოზე ნ. 615 2—2

ღრმად დამწუხრებული ბიძა ნიკოლოზი—ცოლით მარიამით, შვილები: საშა და ნინო გოგოლაძეები, ბიძაშვილები: ოლია თავისი ვაჟით (შურა) ალექსანდრე მედვედოვები, მანია და მარგალიტა ასანიძეები, ანა და ვალენტინა ხმალაძეები, ანდრია თავისი მეუღლით თამარით და შვილით ავთანდილით, ნუნუ და ვერა ჯალალიშვილები, სიძეები—ვასილ ასანიძე და ონისიმე ხმალაძე აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ეკატერინე (კატუშა) ასანიშვილისა

დაკრძალვა მოხდება 16 თებერვალს, საღამოს 4 საათზე. ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან—19 თებერვლის ქუჩა, № 29. (ე)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ელისაბედ იოსებ ასული კაპანაძისა შვილებით: ნიკოლოზ (კოლია), ბიქტორ, ნადია ბარბაქაძისა, შუშანიკა შანიძისა, ძმა ერასტი, რძალი ატატო თავის შვილებით, სიძეები: ამბროსი გედევანის-ძე ბარბაქაძე და ვანო ალექსის-ძე შანიძე, შვილისშვილები: ეთერი, მედეია და ფრიდონ ბარბაქაძეები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. 14 თებერვალს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

აბესალომ დარისპანის-ძე
კაპანაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება სოფ. ბოსლევში (შორაპნ. მაზ.) ა. წ. 18 თებერვალს, დღით შაბათს, საღამოს 4 საათზე. 1454

სამუდამოდ გულმოკლულნი და თავზარდაცემულნი მშობლები: ანა (ანიჩკა) და ზაქარია, ბაბუა ერმილე, ბებია მაშო და ბიძა სიმონ შარაშიძეები, ბებიები პელაგია და ტერეზია, ბაბუა სიმონი, დეიდები: ელენე, ირინე, მარო, თინა, თამარ და ბიძა პეტრე ნესხები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ ა. წ. 15 თებერვალს, დილის 3 ნახ. საათზე ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ყველასათვის საყვარელი და დაუვიწყარი პატარა

ოთარ (ოთარიკო) ზაქარიას-ძე
შარაშიძე

გამოსვენება მოხდება პარასკევს, 17 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათზე, საკუთარ ბინიდან ჩერქეზიშვილის მოედანი, № 9. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. (ე)

აპოლო
სოლეი
პროლეტარი (ავლაბარში)
არფასტო
ოდეონ
დარბაზი
სახკინმრეწვის თეატრები

საქართველოს სახკინმრეწვის მხატვრული ფილმი
„ქალი ბაზრობიდან“
რეჟისორი - ზ. მაკაროვი, ოპერატორი - ვ. ენგელსი.
მთავარ როლებში: ბ. ბელეცკაია, ვახაძე, მურუსიძე, ინაევი, ლამბაშიძე
პრემიერა უცხოეთის სურათი **მოჯადოებული კუნძული**
უკანასკნელად თბილისში **რა საჭიროა ცოლის გამოცვლა**
საუკეთესო ამერიკული ტრიუკებიანი ფილმი **„სპიდ“** 1 და 2 სერია
ანონსი მხატვრული შედევრი „დრამა ცირკში“ 0—13

ცირკი „კოლოს“
ტელეფ. № 8—64
ნ. 613 4—1

ხუთშაბათს 16, პარასკევს 17, შაბათს 18, და კვირას 19 თებერვ.
გრანდიოზული სანახაობანი საქვეყნოდ სახელგანთქმულ ცხოველთა მწვრთნელის
ა. ა. დუროვის და მისი ოთხფეხა მსახიობების გამოსვლა
პირველად! **გაწვრთნილი ვირთხები მფრინავი**
კატა - ვირთხები მგზავრები
პირველად! **ცოცხალი კარუსელი!** პირველად! **გაწვრთნილი პელიკანები**, გაფრენა ცირკის მთელს სივრცეზე და სხვ. №№ **ამერ. გაუჩები. ძმ. არდანები. 5 პოლდი** და სხვ.
კვირას 19 თებერვალს **დღისით სანახაობა** საღამოს სრული პროგრამით. დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე მონაწილ. **ა. ა. დუროვი** და მისი ცხოველები.
დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი. რწმუნ. კ. გროდზიცკი. ადმინისტრატორი მ. ტადე.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება № 132

ბინის ქირის დებულების მე-4-ე, მე-5-ე და მე-6-ე მუხლების რედაქციის შეცვლის შესახებ

1928 წელი თებერვლის 10

1. ბინის ქირის დებულების მე-4-ე მუხლის დასაწყისი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით: „მუშა - მოსამსახურე და აგრეთვე სამხედრო პირი, სატარიფო განაკვეთის რაოდენობის მიხედვით, იხდის კვადრატიულ მეტრზე....

2. ამავე დებულების მე-5-ე მუხლის ბოლოს დაემატოს „არ მიიღება ანგარიშში აგრეთვე ის ფული, რომელსაც სამხედრო პირი იღებს ძირითადი ჯამაგირის დამატებად ბინის, კომუნალური და სხვ., კმაყოფის სახით“.

3. ამავე დებულების მე-6-ე მუხლიდან ამოიშალოს სიტყვები“: და აგრეთვე სამხედრო პირები“....

4. ეს დადგენილება ძალაში შედის ა.-წ. მარტის 1-დან.

თბილისის საბჭოს თავმჯდომარე —სუხიშვილი.
საბჭოს მდივანი — თხილავა.
ნ. 618



მოითხოვეთ ახალი წიგნები
წითელი არმიის ათი წლისთავისათვის სახელგამის ყველა მაღაზიებში
სამხედრო ბიბლიოთეკის
წიგნები იყიდება
50% ფასდაკლებით
ნ. 429
25—7

წინადადება ეძლევა
ივანე დავითის ძე გოთუას
ერთი კვირის განმავლობაში
გამოცხადდეს
გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში
(რუსთაველის პროსპ. № 34)
წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებულ იქნება
სათანადო ზომები
გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა
2—1

იყიდება
იაფათ
საბეჭდი მანქანა
რუსული შრიფტით
გაზ. „კომუნისტი“-სმთავარი კანტორა, რუსთაველის პროპ. № 34. 4—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძმწელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ექიმი **ს. ი. ანდრეევა**
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ტელეფონი 11—78

ექიმი
ნ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე, გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელინსკის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის)

4 კინოში
ერთდროულად
აპოლო,—სოლეი,
მინიონი,—პროლეტარი
წარმატების გამო გრძელდება დადგმა საქართველოს სახკინმრეწვის მხატვრული ფილმის
ქალი ბაზრობიდან
რეჟისორი—ზ. მაკაროვი
ოპერატორი—ვ. ენგელსი
ქალი—ბელა ბელეცკაია
ის — ა. ვახაძე
ქმარი— ა. მურუსიძე
ნ. 617

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 20 თებერვალს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 41 რუსთაველის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სასადილო „რიონჰესი“-ს მოძრავ ქონებას: სასადილოს მოწყობილებას, როგორც ვენურ სკამებს, ძაგიდებს, სპილენძეულობას, ფრაკებს და სხ. შეფასებულს 690 მანეთი 65 კაპ. სახალხო კვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 14 თებერ. 1928 წ. თარიღით, № 391 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 616

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გ. ქ. ჯინჭველაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 18 თებერვალს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 1 (შუშის ქარხანაში) ბაღდადის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ბილჩინსკის მოძრავ ქონებას: 10000 კვარტიანის ბოთლებს, 4000 სასმელების ბოთლებს, 15000 მაზის ბანკებს, სიუჯის აუზს, რკინის კასრებს, დასადგმელ სასწორს, მაზუთის მილებს, ქურის და ვაგონების გამომწევ ლებიოდკას და სხვ. შეფასებულს 2000 მანეთად, ქიმიკოსთა კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 11 თებერვლის 1928 წ. თარიღით, № 362 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 614

დაიკარგა: პირადობის მოწმობა ამელიონე ხვედელიძეს, სახელზე, ჩ. გ. 1452

დაიკარგა: ლომბარდის ქვითარი № 80023, ჩ. გ. 1450

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიქსოვნე, ბუსილო) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამო. 7—8 საათამდე. 13—1

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 25—

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82.

კბილის ექიმი
დავით სავვატის ძე
რიქინაშვილი
კბილების და პირის სნეულება, ლომბები და ყოველგვარი ხელოვნური კბილები ავადმყოფთა მიღება: 10—2 საათ. და 5—7 ს. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთველის და ლენინის მოედანის კუთხე.

ექიმი **მეგრაბიანცი**
ფილტვების ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილის 9—1 და საღ. 6—8 საათზე.
ენგელსის ქ. № 23. (ყოფ. ბებუთოვის) 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი
სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 საათ. სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02 25—1

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 68